რევაზ ძნელაძე

გაურკვეველი დიალექტის ტოპონიმური სისტემა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2005

უაკ (UDC) 809.463.1 – 087
ბ 713

ძვირფასი მასწავლებლების – ლევან ქაჯაიას და კორნელ დანელიას ნათელ სხოვნას უძღვნის ამ წიგნს მადლიერი ნამოწაფარი

ნაშრომში განხილულია გურიის გეოგრაფიულ (მიკრო და მაკრო) სახელთა ტოპონიმიკური წარმოება. გამოყოფილია ტოპონიმთა პრეფიქსული, სუფიქსური, პრეფიქსულ-სუფიქსური გაფორმება. ყველა მათგანი გაანალიზებულია დეტალურად. ცალკეა გამოყოფილი ო- პრეფიქსისა და ბანური სუბსტრატის საკითხი. შენიშნულია, რომ ტოპონიმწარმოებულები (რა-თქმა უნდა, ზოგიერთი მათგანი) დამატებით საფუძველს ქმნიან გურული დიალექტის კილოკაკური დაყოფისათვის.

„გურული დიალექტის ტოპონიმიკური სისტემა“ სათანადო დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, ონომასტიკის საკითხთა მკვლევარებ და ამგვარი თემები დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეც. დოქტორი, პროფესორი პ. ცხადია

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი რ. ქურდაძე
ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი, დოცენტი მ. ლომია

© რ. ძნელაძე, 2005

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005
თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-51-12-1

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი გაგრძელებაა ჩვენი წიგნისა „გურული დიალექტის ტოპონიმური ლექსიკა“, ამიტომ, გამეორება რომ არ გამოგვეიეიდეს, არაფერს ვამბობთ გურიის ეთნო-გენეზისის შესახებ. არ მიმოვიხილავთ იმ ისტორიულ წყაროებს, რომლებიც უტყუარ ცნობებს გვაწვდიან გურიის სამთავრისა და გურული დიალექტის ჩამოყალიბება განვითარების პროცესებზე. არაერთხელ აღგეინიშნავს, რომ გურულ კილოში დაცულია ისეთი არქაული ფორმები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ენის ისტორიის გასათვალისწინებლად. „ლექსიკაში გამოელენილი მანიზმებთან ერთად განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ისეთი, მანურთან საერთო მოელენები, როგორიცაა რედუქციის სისუსტე, სახელების ბრუნებისას, ფონეტიკური პროცესები, წინადადების ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალი მმნების დრო-კილოთა მეორე სერიაში (კაცმა მეეიდა, კაცმა დაპირდა – კაცი დაჰპირდა) ხოლო არქაიზმებისაგან საგანგებოდ აღსანიშნავია თავისებურებები სახელთა მმნის რიცხვში შეთანხმებისას, კაუზატივის წარმოება, ზოგიერთი დრო-კილოს ფორმები ნანათესაობითარი მიმართულებით, ადამიანის საკუთარ სახელთან წინადადების ინდეფინიტიური კონსტრუქციის შემთხვევები და სხვ“.[1]

ტოპონიმთა მიღების სხვა ხერხებთან ერთად ტოპონიმიკური წარმოება (პრეფიქსული, სუფიქსური, პრეფიქსულ-სუფიქსური) ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალებაა. ჩვენ გამოვიკვლიეთ რა ჩვენ მიერ შეკრებილი 11000 ერთული, დაწვრილებით გავაანალიზეთ ყველა მაწარმოებელი, რომელიც კი დავადასტურეთ გურიის ტოპონიმიაში. ცალკეა გამოყოფილი მა-

[1] ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961 წ. გვ. 414.

ნური სუბსტრატი, სათანადო კვალიფიკაცია დავუძებნეთ ღ თაესართიან სახელებს. შევეცადეთ, დაგვედგინა გურული დიალექტის ტოპონიმიკური სისტემის ქართველურ ტოპონიმიკურ სისტემასთან შესაბამისობა. რამდენად შევძელით დასახული მიზნის მიღწევა, ამის შეფასება სპეციალისტების და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვინდია. ჩვენ გულისყურით მოვეკიდეთ ნებისმიერ შენიშვნას თუ გამოხმაურებას ნაშრომში გამუქებული საკითხების შესახებ.

თავი I

პრეფიქსული და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება

§1. ო- პრეფიქსი და მანური სუბსტრატის საკითხი

ცნობილია, რომ მეგრულ-ჭანური (მანური) ო- პრეფიქსი მასალობრივადაც და მნიშვნელობითაც შეესატყვისება ქართულ სა-ს, რომელიც დამოუკიდებლივ (იშვიათად), ან სხვადასხვა პრეფიქსებთან ერთად (ჩვეულებრივ) აწარმოებს მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობებს (ბმნური ფუძეებისაგან) და დანიშნულების სახელებს (სახელურ ფუძეთაგან). მეგრული ენის ცნობილი მკვლევარი ი. ყიფშიძე წერდა: „О префикс в именах и причастиях, выражающих место чего-либо, местопребывание, орудие, долженствование, предназначение“[1]

პ. ცხადაიამ დაწვრილებით შეისწავლა სამეგრელოს ტოპონიმიაში ო- პრეფიქსის გამოყენების შემთხვევები და მისი მიმართება ქართულ სა- და სვანურ ლა//ლე პრეფიქსებთან[2].

ი. მეგრელაძის მიერ გურიის ტოპონიმიაში გამოვლენილ მეგრულ-ლაზურ სუბსტრატში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია ო- პრეფიქსიან სახელებს. კერძოდ, მისი წიგნის „Лазский и мегрельский слой в гурийском“ 21-ე პარაგრაფში „Топонимические названия с лазско-мегрельским префиксом О.“ გაანალიზებულია 13 ასეთი ტოპონიმი. ესენია: **ობოდირა, ოზურგეთი, ოკაბინე, ონჭიკეთი, ონჯალეთი//ონჯარეთი, ორაგვე, ოროკი, ოქონა, ოყვავილა, ოჩე** (და ამასთან დაკავშირებული „ნაოჩვარი“), **ოჩხამურა** და **ოცხანა**. მომდევნო პარა-

---

[1] ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского языка, Ленинград, 1914, с. 292.

[2] პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 42-54, 62-66.

ერაფშიც დასახელებულია ო- პრეფიქსიანი სახელები, რომელთა შესახებ ავტორი შენიშნავს: „на них указывают только в качестве примеров и не разбираю во всех деталях“ (იქვე, გვ. 87). ჩამოვთვლით ამ ტოპონიმებსაც: **ოთარო, ოთოკვირი, ოკარტე, ოკვანათი, ოკვარი, ომფარეთი, ორაფო, ოსკონჯირე, ოფიშტია, ოჩეჩხა, ოჩონჩხა, ოხცანმური, ოჭილაური, ოხტომე**.

გურიაში ფიქსირებული „მეგრული დამახასიათებელი თვისებების“ მქონე საგეოგრაფო სახელთა შორის ი. ჯავახიშვილის დასახელებული აქვს ო- თავკიდურიანნიც: **ოჩხამური** (ო- ჩსამ//ჩხომ „თევზი“), **ოჭილაური** (შდრ. სა-ჭილაო). **ონჭიკეთი, ონჯოხეთი, ოცანა**[1]. მანურ ტოპონიმიკურ სუბსტარტთა ამ სიას ი. ყიფშიძემ მიუმატა **ორაგვე**, ხოლო ს. ჟღენტმა – **ოდიში, ორკე, ოჩე, ოფეთი, ოჩონჩხე**.[2]

ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთაგან **ოროკი** და **ოჩე**, რასაკვირველია, უნდა განვისილოთ არა როგორც ტოპონიმიკური, არამედ როგორც ლექსკური სუბსტრატი. გურიის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია **ოროკ**– ფუძიანი 26 გეოგრაფიული სახელწოდება, რომლებიც შერქმევიათ სახნავებს, ტყეებს, ფერდობებს და სხვა წვრილ ობიექტებს. ესენია: **ოროკა, ოროკაი** (ხუთიან), **ოროკე, ოროკი** (19-გან), ოროკი გურულ დიალექტში ცოცხალი ლექსიკური ერთეულია. ალ. ღლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ეკითხულობთ: **ოროკი** (გურ.) ნარიყალი ნიადაგი, სახნავ-სათესი მიწა“. ი. მეგრელიძის განმარტებით, ოროკი მწირი მიწაა. მკვლევარი გამოყოფს ო- პრეფიქსს და **როკ** ფუძეს და თვლის,

[1] იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 428.
[2] ს. ჟღენტი, გურული კილო, გვ. 22.

რომ ეს ტერმინი ქართულად უნდა ითარგმნოს, როგორც **სა-როკ-ე**.[1]

როკი როგორც გურულში, ისე მეგრულში აღნიშნავს ჯირკს, კუნძს, ხმელ ტოტს.

-ოჩე სიტყვაც ზანიზმად ითვლება. მეგრულში იგი ნიშნავს ფართო ყანას, საბატონო მიწას. გურულში მცირე სემანტიკურ გადახრასთან გვაქვს საქმე: „ახალგაკაფული ადგილი. კარგ-მოსავლიანი მიწა". გურიაში **ოჩე** ხუთგანაა ფიქსირებული მიკ-როტოპონიმად. როგორც ვთქვით. **ოროკი//ოროკე** და **ოჩე** წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებიც გურულ დიალექტში მე-გრულიდანაა შესული და უშუალოდ, დამატებით მორფოლო-გიურ საშუალებათა გამოყენების გარეშე, იქცნენ იმ ადგი-ლების საკუთარ სახელებად, რომლებსაც კიდეც უნდა აღინიშ-ნაყდნენ თავისი შინაარსით. საზოგადო სიტყვას, კერძოდ, ჰიდ-რონიმულ ტერმინს წარმოადგენს აგრეთვე **ოთონთო**, რაც სახნავის სახელად ქცეულა სოფ. კაპრუანში. **ოთონთო** ეწო-დება დიდ ტლაპოს, ლაფს, ტალახს.

უეჭველია, რომ ზანიზმია, კერძოდ, მეგრული ტოპონიმიკური სუბსტანტია **ორაგვე, ოქონა, ოცხანა, ოკარტე** (პ. ცხადაიას ცნობით **ოკარტე//ოყარტე** სამეგრელოშიცაა ფიქსირებული).

ი. მეგრელიძე განიხილას ტოპონიმებს — **ოზურგეთი, ონჭი-კეთი, ონაჯალეთი//ონჯარეთი, ომფარეთი** და აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში **ო-** პრეფიქსიან ლაზურ-მეგრულ გეოგრა-ფიულ სახელებს ბოლოში დართვია ქართული **-ეთ** სუფიქსი. ამ რიცს დავიმატებთ ჩვენ მიერ მოპოვებულ მსგავსი წარმოების ტოპონიმებს: **ონიშეთი, ორმეთი, ოსკინათი, ოღრალეთი, ოყინეთი, ოშხუნათი, ოშხუნარეთი, ოჩინეთი.**

---

[1] ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

ამგვარი წარმოების ტოპონიმებთან დაკავშირებით გასარკვევია საკითხები: ისინი სუბსტრატული სახელწოდებებია თუ ნაჯვარი, ორენოვანი? -ეთ სუფიქსი ტოპონიმს დაერთო თუ ო-პრეფიქსთან ერთად მონაწილეობდა გეოგრაფიული სახელის წარმოქმნაში? როგორც ჩანს, **ონჭიკეთის** ტიპის ტოპონიმები არაა ერთნაირი წარმომავლობისა. გურულში ცოცხალი ლექსიკური ერთეულებია: **ზრუგი** (გურიაში ვეაქვს ტოპონიმები; **ზრუგაი** – ოთხგან, **ზრუგეთი**, **ზრუგაწყვეტილა** ორგან, **ზრუგადაღმა** და სხვ. გურულში **ზრუგი** ნიშნავს მცირე ბორცვს, ამაღლებულ ადგილს), და **ჭინკა** (გურიაში გვაქვს მიკროტოპონიმები: ჭინკეს ქვაი, ჭინკაის ღელე, ჭინკას ხიდი, საჭინკიე, სიტყვა ჭინკა ამავე მნიშვნელობით დასტურდება მეგრულშიც. **ოზურგეთი** (<ოზრუგეთი<ზრუგი), **ონჭიკეთი** (<ჭინკა) წარმოადგენენ არა განურ სუბსტრატებს, არამედ ქართულ ტოპონიმებს, რომლებიც წარმოქმნილია გურულში არსებული განური მორფოლოგიური სუბსტრატისა (ო- პრეფიქსის სახით) და ქართულ -ეთ სუფიქსის ერთდროული გამოყენებით აბორიგენული მოსახლეობის ქართიზაციის პერიოდში. ვიმეორებთ: ო- გამოყენებულია ტოპონიმთა საწარმოებლად და დამკვიდრებული ქართი მოსახლეობისა და ადგილობრივი ზანი მოსახლეობის თანაცხოვრებისას, ე.ი. ზანთა ქართიზაციის პირველ პერიოდში. ამავე წარმოებისა უნდა იყოს **ოყინეთიც** (ხევი ქვემო ნატანებში), მიუხედავად იმისა, ქართული **ყინ** გვექნება ნაყარაუდევი ამოსავალ ფუძედ თუ მეგრული **ცინ** „ცივი, სიცივე“ და **ოშხუნათიც** (ტოგიეთში), რომლის ამოსაყალი ფუძე **შხუნა** გვაქვს გურულშიც („ახალგაზრდა ხშირი ტყე“) და მეგრულშიც.* **ოყინეთი** (<ყინ//ცინ, ოშხუნათი (<შხუნა).

---

* პ. ცხადაიას განმარტებით: „სახოვედ განაკაფი ნორჩი ტყე“, „ახო“.

არსებობს ო--ეთ ცირკუმფიქსიან გურულ გეოგრაფიულ სახელთა მეორე რიგიც, რომელსაც მიეკუთვნება ტოპონიმები: **ონჯალეთი//ონჯარეთი, ონიშეთი და ოღრალეთი.**

ი. მეგრელიძე ტოპონიმს **ონჯალეთი//ონჯარეთი** უკავშირებს განურ „ჯალ“ (: ქართ. ძელ „ხე“) სიტყვას და ტოპონიმს ხსნის როგორც „საძელეთი“[1]. ბემო იმერეთში დადასტურებულია ტოპონიმი **საძელე** (ტყე სოფ. მოლითში), სადაც ამგვარი სახელდება გამართლებულია იმით, რომ ამოსაყალი სიტყვა ძელი აღნიშნავს არა ზოგადად ტყეს, არამედ გათლილ ან დახერხილ მორს, ლარტყას, რომელიც გამოიყენება სამშენებლო მასალად. ამრიგად, **საძელე**, როგორც ტოპონიმი, გამოხატავს ტყის დანიშნულებას და ამით გამოძებნილია სასელსაღები ობიექტის (ამ შემთხვევაში ტყის) სხვა მსგავს ობიექტთაგან გამოსარჩევი, განმასხვავებელი ნიშანი. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ახლო-მახლო სხვა ტყე არ იყო საძელე. **ონჯალეთის** შემთხვევაში კი, თუ ამოსაყალ ფუძედ ჩათელით **ჯალ//ჯარ** სიტყვას მისი ძველქართული მნიშვნელობით „ხე“, დარღვეულია სახელსაღები ობიექტის სხვა მისი მსგავსი ობიექტების სიმრავლისაგან გამორჩევის, გამოცალკევების პრინციპი. ჩვენი აზრით, **ონჯარე** (>ონჯალე) ზანური ტოპონიმიკური სუბსტრატია და თავის დროზე წარმოიქმნა, როგორც სოფლის მოსახლეობის თავშეყრის ადგილის სახელი. სამეგრელოში მრავლგანაა ტოპონიმი **ოჯარე//ონჯარე** და ეს ისეთი ადგილებია, სადაც იმართებოდა „**ჯარალუა**“ – თავშეყრა და ხალხური გართობა-თამაშობანი ამა თუ იმ რელიგიურ ღღესასწაულთან, თუ უქმე ღღესთან დაკავშირებით. ამას ადასტურებს გურიაში ტრადიციად ქცეული მსგავსი მოულენა „**ჯარიანობაც**“ – ახალგაზრდების თავშეყრა, ცეკვა-თამაში, ერთმანეთის გაცნობისა და დაკავშირების მიზნით. ამგვარი თავშეყრა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან წარსულს ჩაბარდა და მისი ადგილი კინომ

[1] ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

და სოფლის კლუბში ჩატარებულმა კულტურულმა ღონისძიებებმა დაიჭირა, თუმცა 70 წელს მიტანებული ზოგი გურული ასეთი თვშეყრის არსებობის ცოცხალ მოწმედ გამოდგება. მეგრული ტოპონიმიკური სუბსტრატი უნდა იყოს აგრეთვე **ონიშე** „სანავე“. ასე შეიძლება ეწოდოს ადგილს მდინარეზე, ან ტყეს, სადაც ნავისათვის საჭირო მასალას მოიპოვებენ. ონჯარეთსა და **ონიშეთში** ქართული ტოპონიმიკური სუფქსი **-ეთ** შემდეგი დროის დანართია და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელწოდების ტოპონიმიურობის ხარისხის ამაღლებით ტოპონიმთა რიგში მისი სტაბილურობის მიღწევას ემსახურება (შდრ. ბრუგი და ბრუგეთი).

ამავე რიგში უნდა განვისილოთ **ოღალეთი** (ტყე სოფ. ორაგვეში), თუკი შეუძლებლად არ მივიჩნევთ უ სმოვანის რედუქციას ამოსავალი ფუძის თავდიკურ კომპლექსში. (უ-ს რედუქცია შეუძლებელი არ არის, ოღონდ ენის განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურზე ხლებოღა ალბათ).

ჩვენი აზრით, მეგრული საბოგადო სიტყვა **ოღურალე** „სასაფლაო“ იქცა ტოპონიმად, რომელსაც ქართიზაციის პროცესში დაემატა **-ეთ** სუფიქსი, ხოლო მიღებული **ოღურალეთი** დროთა განმავლობაში, ე.წ. სიტყვის დამოკლების ტენდენციით, გაღაიქცა **ოღრალეთად**.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას აგრეთვე ი. მეგრელიძის მიერ გაანალიზებულ რამდენიმე **ო-** პრეფიქსიან სახელწოდებაზე. ესენია: **ოყვავილა, ოჩენჩხა, ოჩონჩხა,** ამათგან ოყვავილა მდინარეა სოფ. ზემო აკეთში. მისთვის ამოსავალ ფუძედ ნავარაუდევია ქართული სიტყვა **ყვავილი**. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ტოპონიმს საფუძვლად უდევს გურული დიალექტური სიტყვა **ყვავილა**. ასე ეწოდება ერთგვარ ბალახს, რომლის

ლიტერატურული სახელწოდებაა ჭოტანა[1]. **ოყვავილა** წარმოქმნილია ქართიბაციის ან მის მომდევნო პერიოდში მანური მორფოლოგიური სუბსტრატის დახმარებით.

ტოპონიმ **ოჩერჩხაში** გამოყოფილია ორი ფუძე- „**ოჩე**" „ვაკე" და **ჩხე** „მალარია" და მთლიანად სახელწოდება თარგმნილია როგორც малярийная равина[2]. ანალოგიურად **ოჩონჩხაც** დაყოფილია **ოჩე** და **ჩხა** ფუძეებად. ვფიქრობთ, აღნიშნული ტოპონიმები ეთფუძიანია, წარმოქმნილი სახელებია და არა კომპოზიტები. გურულში გვაქვს სიტყვები **ჩე[რ]ჩხ//ჩო[რ]ჩხ//ჩორჩხინ**, რაც აღნიშნავს ქვებამოშვერილ ადგილს, კლდეს (ამავე შინაარსს შეიცავს მეგრული გეოგრაფიული ტერმინი **ჩხორჩხი**), ასეთი ადგილები კი სშირია მდინარეთა კალაპოტებში, წყლისპირებზე, ჩასჩქერებთან. აღნიშნული დიალექტური ფუძეებიდან წანური ო- პრეფიქსით წარმოქმნილან ტოპონიმები: **ოჩერჩხა//ოჩორჩხა** – ღელე სოფ. ბემო აკეთში, **ოჩორჩხა** – ღელის ქვემოწელი სოფ. ქვედა ძიმითში, **ოჩორჩხინა** – საძოვარი სოფ. გვიმრალაურში, **ოჩორჩხონაი** – ჩანჩქერი სოფ. ჩოჩხათში, **ოჩორჩხონას** ღელე – ღელე სოფ. ჯუნმერეში, **ოჩორჩხინას** – წყალი – ღელეები სოფ. განთიადსა და კონჭაკათში, **ოჩოჩხა** – სასნავი სოფ. გორაბერეჟოულში, **ოჩოჩხე** – ჩანჩქერი სოფ. ასკანასა და მშვიდობაურში, **ოჩოჩხონაი** – ჩანჩქერი სოფ. ცაცხვიანში (შდრ. სოფლის სახელი **ჩოჩხათი**).

ოჭლაური ბორცვს ეწოდება სოფ. თაქპანტაში. ი. მეგრელიძის აზრით, მისთვის ამოსავალია მეგრული გეარი **ჭილაია**, მაგრამ გურული დიალექტის ტოპონიმიკურ სისტემისათვის არ

[1] ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 67.
[2] ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

არის დამახასიათებელი **ო-** პრეფიქსითა და **ურ//აურ** სუფიქსით ანთროპონიმული ფუძიდან წარმოქმნილი სახელწოდებანი. ამასთანავე, გვარი ქართველურ ენებში გაფორმდა მოგვიანებით, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც გურულში უკვე აღარ მოქმედებდა ზანურიდან ნასასხები **ო-** პრეფიქსი, ამიტომ **ოჭილაური**-სათვისაც ამოსავალი უნდა იყოს **-ილა** სუფიქსიანი ანთროპონიმი (რაც ჩვეულებრივია გურულისათვის), რომელსაც დართვია კუთვნილება-წარმომაყვლობის **-ურ** (//**ურა**) სუფიქსი. ამით ჩვენ მოხსნილად გვეჩვენება ოჭილაურის **ზანიზმების** საკითხი. იგივე უნდა ითქვას გურიის ისეთი მიკროტოპონიმების მიმართ, როგორიცაა **ოდილაური, ოთიაური, ონდილაური, ორაგოული, ოფოურა, ოშაპოურა, ოხრადაული**, ამათში თავკიდური **ო-** ფუძისეულია და არა მეგრული საწარმოქმნო ელემენტი.

ოჩხამურა მდინარეა სოფ. უკანავაში, სოლო **ოჩხამურე** ტყეა სოფ. ზემო ონჭიკეთში. ი. მეგრელიძე ამ ტოპონიმისათვის ამოსავლად მეგრული **ჩხომ** სიტყვას მიიჩნევს და, მაშასადამე, **ოჩხომურე** ნიშნავს „სათევზეს“. ცნობილია სხვა მოსაზრებაც. გიორგი როგავამ უნიერსიტეტში წაკითხულ ერთ-ერთ მოხსენებაში წარმოადგინა ახლებური ეტიმოლოგია, რომლის თანახმადაც **ოჩხამური**-სათვის ამოსავალია მეგრული **ჩხამ**, რომელიც შეესაბამება ქართულ **ცხემ** ძირს (ცხემლა სიტყვაში, რომელსაც გურულსა და იმერულში შემორჩენილია მნიშვნელობა „რცხილა“.)

გურიაში 260-მდე **ო-** თაეკიდურიანი ტოპონიმია. ი. მეგრელიძეს გაანალიზებული აქვს 27. ბოგი მათგანის ეტიმოლოგია სარწმუნო ჩანს, ბოგისა, როგორც ეს ზემოთაა აღნიშნული, ახლებურად შეიძლება გავიაზროთ. რაც შეეხება ამ ტიპის დანარჩენ ტოპონიმებს, მათი ერთი ნაწილის

თაეკიდური **ო-** წარმოადგენს საზოგადო სახელის საწყის ბგერას. ასეთი სიტყვებია: **ობოლი** (ტოპონიმებია: ობლების მიწა, ობლის ადგილი, ობლის საცივი, ობლისეული, ობოლაი ნაძვი, ობოლი ნაძვი, ობოლი წიფელა, ობოლი ქვა), **ოთხი** (ოთხზიარი, ოთხპექტრიანი, ოთხპანტები), **ომანო** (ომანოები). **ორი** (ორბინაი, ორბობალაი, ორთეალაი, ორთვალი, ორი ღელე, ორღელე, ორმოსავალა, ორმოჯე, ორმუხა, ორმ-უხე, ორმწკრივიანი, ორნიგზები, ორპოტიკა ღელე, ორქვაეე, ორშოლტა, ორშპალა, ორწითელა, ორწყალა, ორხიდა), **ორპირი** (ორპირაი, ორპირი, ორპირაის ღელე, ორპირღელე) და სხვა.

ასეთსავე ტოპონიმებში თაეკიღური **ო-** ზოგ შემთხვევაში ანთროპონიმისეულია. დავასახელებთ სათანადო მაგალითებს: **ოთარი** (ოთარ მგელაძის ნამოსახლარი, ოთარეს ადგილი), **ოლია** (ოლიას წყალი, ოლიესოული, ოლინკას ჩაი, ოლღაის ტერასები), **ოლიფანტე** (ოლიფანტაის ჩაი, ოლიფანტეს სათხე). **ომაინი** (ომაინის ნასახლები, ომაინეს ნიგვზები), ომარი (ომარიეს მორიო) და სხვ.

დანარჩენი 50-მდე **ო-** თავკიდურიანი ტოპონიმი სხვადასხვა წარმომაელობისაა. მათი ერთი ნაწილი წარმოადგენს საზოგადო სახელს, გურულ (ან მეზობელ) დიალექტებში არსებულ სიტყვა-ტერმინს, რომელიც ტოპონიმად ქცეულა მორფოლოგიური ელემენტებით გაფორმების გარეშე. ესენია: **ოთონთო** – სახნავი სოფ. კაპრუანში. ალ. ღლონტის განმარტებით, გურულ დიალექტში ოთონთო აღნიშნავს დიდ ტლაპოს, ლაფს, ტალახს (შდრ. მეგრული თვინთვი „რბილი"). **ომანოები** – ადგილის სახელი მთაზე სოფ. კოხნარში. „ომნო (გურ.) სორო, ხერელი ტურისა", მელასი"[1]. მეგრული ომანეც ზუსტად ამასვე ნიშნავს.

[1] „სიტყვის კონა", გვ. 427.

ორომონი – ჩაის პლანტაცია სოფ. აცანაში. იმერულში **ორომი** ეწოდება შეგუბებულ ღრმა წყალს. როგორც ჩანს, ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით გურულშიცაა გავრცელებული. საერთოდ იმერულსა და გურულს ბევრი საერთო ტერმინი აქვს. ამის საბუთად დაეასახელებთ **ო-** თავკიდურიან მაგალითებს: ოლაღუა (მცენარეა – ოროვანდი). ორნაბი (მცენარეა უნაბი), ორტოლი „ორფა, ორმაგი", ორშუმო „ხრიკა" ქვეერიდან ღვინის ამოსაღები", **ოღრო** „კრატერი", **ოჭვათო** „საწვეთელა", **ოჭივარა** „ჭოჭინა, ოჭიორა", **ოხაკუა** – იგივე ოლაღუა. **ოხატუა** (მცენარეა „ოსერო"). **ოჯინჯალა** „დირე და მასზე ჩამოკიდებული ნაჭა" და სხვ.

ორონაი – სასნაეი სოფ. გულიანში; **ორონა//ვორონა** – ღელე სოფ. ზედა უჩსუბში. გურულში **ორონა** ვაზის ერთგვარი ჯიშის სახელია. **ორწოხი** – გზა სოფ. ჭაჭიეთში, კლდოვანი ფერდობი სოფ. ეაკიჯეარში. ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, მრავალობითი რიცხვის ფორმით ქართულ სალიტერატურო ენაში აღნიშნავს ვიწრო და ძნელად მისასვლელ ადგილებს მთებსა და ხეებში[1]. გურულში კი ის ნიშნავს: „ვიწრო და ტალახიან ბილიკს, უფრო ორლობეს შუა გაყვანილს". **ოტურიანი** – ფერდობი სოფ. იანეთში. **ოტური** ერთგვარი ქლიავია აჭარულში, მესხურში, გურულში. **ოფოურა** – გორა სოფ. განთიადში, **ოფოურე** – საძოვარი სოფ. ეოეოურში. ეს სიტყვა ვაზის ერთგვარ ჯიშს აღნიშნავს გურულში. ზმოთ აღნიშნული სიტყვა-ტერმინები, ჩვენი აზრით, ზანური წარმომავლობისა არ უნდა იყოს.

საინტერესოა ის ტოპონიმები, რომლებიც **ო-** თავკიდური აშკარად პრეფიქსია, ხოლო ამოსავალი ფუძე ოდენ გურულის, ან გურულ-მეგრულის საზიარო კუთვნილებაა. წარმოვაეადგენთ

[1] ქეჟლ. ტ.VI

ამ ტოპონიმებს: გურულში გვაქვს სიტყვა **ჩიჩქინი**. იტყვიან, წყალი მოჩიჩქინებსო, როცა წყალი ჩქრიალით გადადის ქვებზე (შდრ. ამავე მნიშვნელობის მქონე მეგრული **ჩქარჩქალი**). ამ სიტყვებიდან გურულში ნაწარმოების ჩანჩქერების სახელები, ერთი მხრივ, **სა-** პრეფიქსით (**სა-ჩიჩქინე** – ჩანჩქერთა სახელებია სოფ. გოგოლესუბანში, შუა ფარცხამაში, შუა განახლებაში, ხოლო **საჩიჩქინიე** ასევე ჩანჩქერია სოფ. გოგოურში, საბანაოა სოფ. ნაკადულში), ხოლო მეორე მხრივ, მისი შესატყვისი მეგრული **ო-** პრეფიქსით: **ოჩიჩქინა** – წყარო სოფ. ქვემოხეთში, **ოჩიჩქინე** – ჩანჩქერი სოფ. ჩომეთში. ერთსა და იმავე ფუძესთან ტოპონიმთა საწარმოებლად ქართული **სა-** და მეგრული **ო-** პრეფიქსების პარალელური გამოყენება დასტურდება აგრეთვე ფუძესთან **კობრი**, რაც ერთგვარი თევზის სახელია: **საკობრიე** ადგილის სახელია სოფ. შეკვეთილში, **ოკობრიე** კი ტბაა სოფ. გეიმრალაურში. არის კიდევ ერთი მეგრულ-გურული (და იმერული) სიტყვა, რომელსაც გურულში **ო-** დართვია და ტოპონიმად ქცეულა. ესაა ჯიშკილა „ღანძილი“. **ოჯიშკილე** ფერდობისა და ამ ფერდობზე მდებარე წყაროს სახელია სოფ. ჭინათში. **ოზახველა** სახნაეია სოფ. ცაცხვიანში. ინფორმატორების აზრით, ზახველი რაღაც მცენარეა. შესაძლოა ეს იყოს ძახველა, აქაც მეგრული მორფოლოგიური სუბსტრატია ტოპონიმის მაწარმოებელი.

არსებობს ისეთი **ო-** პრეფიქსიანი ტოპონიმებიც, რომელთა ამოსავალი ფუძე ოდენ მეგრული ენის კუთვნილებაა. ესენია, უპირველეს ყოვლისა, ხალხის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები **ონტყოლი და ოხოჯური**. მთიან სამეგრელოში აღნუსხულია სამ ათეულზე მეტი **ოხოჯური**, რაც ყველგან ვაკის ან ოდნავ დახრილი ადგილის სახელი აღმოჩნდა. „ოხოჯური არის სამეურნეო ტერმინი ისეთი ადგილის

აღსანიშნაეად, რომელიც ხარით იხენება"[1]. გურიაში სამგან მეორდება ტოპონიმი **ოხოჯური** (ბორცვი სოფ. ომფარეთში, კუთხე სოფ. ხრიალეთში, ციტრუსების პლანტაცია სოფ. ღრმაღელეში). ი. ყიფშიძე „მეგრული ენის გრამატიკისათვის" დართულ ლექსიკონში განმარტავს **ნტყოლუა** მმნას და მისგან წარმოქმნილ მომავალდროიან **ორტყოლაშე** – грязная, запруженная вода"[2]. მთიან სამეგრელოში ტოპონიმებად ჩაწერილია ასეთი ვარიანტები: **ონტყოლუ ონტყოლაშე, ონტყოლეში, ონტყოლიში, ნტყოლუა** ტალხში ტოპვა, ხოლო **ონტყოლ** – „სალაფაო, ტლაპო, ტალახი".[3]

გურიაში გვაქვს მხოლოდ ერთი ასეთი გეოგრაფიული სახელწოდება. ესაა **ონტყოლი** – საძოვარი სოფ. ჩხაკორაში (ეს სოფელი ბახმაროს ალპურ საძოვრებს ესაზღვრება, არაა გამორიცხული, მეგრელი მწყემსების შერქმეული იყოს. ეს კიდევ ახალი ფენა იქნება ზანიზმებისა, რომელიც მიიღო ხალხმა. მელვინეობასთან დაკავშირებული მეგრული ტერმინებია **ოჭნახი** „საწნახელი" და **ორჩხაშე** „ქვევრის სარეცხი", რასაც გურულში მოუცია ფორმა **ორჩხუში//ორჩხუმი**. ამ სიტყვათაგან არის წარმოქმნილი ტოპონიმები **ოჭნახელი//ოჭნახელაი** – ფერდობი სოფ. აცანაში, **ორჩხუმი** – ტყე სოფ. ქვაბაღში, **ორჩუში//ორჩხუში** ტყე სოფ. ნაბელღავში, **ურჩხუში** – ტყე სოფ. ქვაბღაში. გვაქვს ასეთი ტოპონიმებიც: **ოლაკვე** (მეგრ. „სალეკეია") – საძოვარი ქვემო ჩიბათში და **ოხინჭკილე** – ტყე სოფ. ჭინათში (ხინჭკი მეგრულში აღნიშნავს ერთგვარ მცენარეს).

---

[1] პ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია", თბ. 1985, გვ. 64.
[2] ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.
[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

§2. ნა- პრეფიქსი გურიის ტოპონიმიაში

ნა- ქართველურ ენებში ერთ-ერთი უძველესი და მრავალფუნქციანი პრეფიქსია. იგი გამოიყენება როგორც ზმნურ, ისე სახელურ სიტყვათწარმოებაში: ზმნათაგან აწარმოებს ნამყო დროის საობიექტო მიმღეობას, ხოლო სახელთაგან — წინა ვითარების სახელებს[1]. აღნიშნული პრეფიქსი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა სუფიქსთან ერთად იხმარება, მაგრამ გვხვდება დამოუკიდებლადაც (იშვიათად).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველურ ენებში თავდაპირველად გავრცელებული იყო ოდენპრეფიქსული წარმოება, ხოლო პრეფიქსულ-სუფისური წარმოება მეორეულია. ამასთანავე, წინა ვითარებას, როგორც ჩანს, გამოხატავს მხოლოდ ნა-, სუფიქსები კი ერთი ფუნქციისანი არიან და, ჩვეულებრივ, შეიძლება მათი მონაცვლეობა[2].

ნა- ხშირია გეოგრაფიულ სახელებში, სადაც მას, ჩვეულებრივ ახლავს **-არ//ალ, ევ, -ავ, -ებ, -ურ, -ეთ, -ის** სუფიქსები[3].

ნა- პრეფიქსისიანი ფორმები გურულში, გარდა მათთვის ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, ზოგ სხვა სპეციფიკურ მნიშვნელობასაც გამოხატავენ, მაგალითად, ინსტრუმენტატივს, ნახმარ მოძველებულ საგნებს[4].

ნა- ერთ-ერთი პროდუქტიული პრეფიქსია გურიის ტოპონიმიაში, სადაც იგი 600-ზე მეტ შემთხვევაში გვხვდება. კონკრეტული სურათი ასეთია:

---

[1] ბ. ჯორბენაძე, ქაროული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 315.

[2] რ. გაბეჩავა, ქართული სიტყვაწარმოება და მისი სწავლება სკოლაში, თბ., 1971, გვ. 39

[3] თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961, გვ. 154.

[4] ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 534.

ნა- წინა ვითარების სახელებში

ცნობილია, რომ ოდენ **ნა-** პრეფიქსი მიმღეობურ ფორმებში სმირად გვხვდება, წინავითარებისს ასელებშიც კი – იშვიათად. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, ტოპონიმიაშიც იჩინა თავი, სადაც სახელთა წარმოსაქმნელად **ნა-** პრეფიქსთან ერთად მთელი რიგი სუფიქსებია გამოყენებული. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ფშავის, ერწო-თიანეთის, მთიულეთ-გუდამაყრის, აჭარის, ზემო იმერეთის ტოპონიმიკურ მასალებში ან არ მოიპოვება, ან ძალზე იშვიათია ოდენ **ნა-** პრეფიქსით წარმოქმნილი სახელები (ზემო იმერეთის ტოპონიმიიდან: ნა-სახლი, ნა-სახტრ-ი). გურიის ტოპონიმიიდან შეგვიძლია დაგასახელოთ რამდენიმე ოდენ **ნა-** პრეფიქსიანი სახელური წარმოების ტოპონიმი. ესენია: **ნა-საყდრ-ი, ნა-სახტრ-ი, ნა-კარტობილ-ი, ნა-ჟოლ-ი,** ([ბ]ჟოლი „თუთა"), **ნა-გვზით-ი, ნა-საყდლ-ი** (< საყაღელი „ერთი საყენი შეშა. დაწყობილი შეშა"), **ნა-შხუნა** (< შხუნა „ნორჩი ტყე") ამ უკანასკნელ შემთხვევაში პრეფიქს-სუფიქსის (**ნა-ა**) გამოყენების შთაბეჭდილება იქმნება. სინამდვილეში კი ნა-ა შეიძლება გამოიყოს მხოლოდ **ნა-ფლარტ-ა** ტოპონიმში (ფლარტე „სველი ჩამონგრეული მიწა"). საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ კარტობილ და საყდარ// სახტარ ფუძებიდან წინაავითარების სახელები, ჩვეულებრივ იწარმოება პრეფიქს-სუფიქსებით: **ნა-არ-ა, ნა-არ-ე, ნა-ე, ნა-ელ-ა**: **ნა-კარტობილ-არ-ი, ნა-კარტობილ-არ-ე, ნა-კარტობილ-ე ნა-სახტრ-ალ-ი, ნა-სახტრ-ალ-ა, ნა-სახტრ-ელ-ა...**

ნა-ე პრეფიქსით წარმოება ორიოდე შემთხვევაში სხვა წინა ვითარების სახელებთანაც დასტურდება: **ნა-კარტობილ-ე, ნა-ფლარტ-ე, ნა-შენობ-ე, ნა-ციხვარ-ე.**

ჩვეულებრივ კი გურიის ტოპონიმიაში წინა ვითარების ნა- პრეფიქსთან იხმარება **არ –ალ** სუფიქსი: ნა-წისქვილ-არ-ი, ნა-

ჩაი-არ-ი, ნა-ქუბ-არ-ი, ნა-ოყ-არ-ი (< ოყი//უყი „ყამირი, ნასვენი მიწა“), ნა-არხ-ალ-ი, ნა-რუ-ალ-ი, ნა-რაგვ-ალ-ი (< რაგვი „ფრინველთ დასაჭერი მახე“), ნა-ტრაკტორ-ალ-ი და სხვა.

ქართული ენის დიალექტებში, არსებული გამოკვლევებისა და გამოქვეყნებული ტოპონიმიკური მასალების მიხედვით, **ნა-არ//ნა-ალ** ცირკუმფლექსების გარდა, პროდუქტიულობით გამოირჩევა **ნა-ევ**. გურიის ტოპონიმიაც ასეთსავე სურათს წარმოგვიდგენს. ამას ადასტურებს საილუსტრაციო მასალა: ნა-ბაკ-ევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი, ნა-მარნ-ევ-ი, ნა-ნალი-ევ-ი, ნა-სიმაგრ-ევ-ი, ნა-ქალაქ-ევ-ი, ნა-ურმ-ევ-ი, ნა-ყიშლ-ევ-ი (< ყიშლა (თურქ.) — „საზამთრო საძოვარი და სადგომი“), ნა-ჭალ-ევ-ი და სხვ. სამაგიეროდ ძალზე იშვიათია **ნა-ავ** პრეფიქს-სუფიქსიანი წინა ვითარების გამომხატველი ტოპონიმები. ფიქსირებული გვაქვს: ნა-ბეღლ-ავ-ი, ნა-სელ-ავ-ი.

ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში წინა ვითარების სახელების საწარმოებლად **ნა-** პრეფიქსთან ერთად მრავლობითობის **-ნ, -ებ** სუფიქსების გამოყენება ტოპონიმიაში იშვიათად ხდება. როგორც ჩანს, დასავლურ დიალექტებში ამ თვალსაზრისით საპირისპირო სურათია მ. ალავიძისა და მ. ჩიქოვანის მიერ გამოქვეყნებულ ლეჩხუმურ ტოპონიმიკურ მასალებში, ი. ბაქრაძის, შ. აფრიდონიძისა და ვ. ჯოჯუას მიერ შედგენილ და 1987 წელს გამოქვეყნებულ „ზემო იმერეთის ტოპონიმიაში“ საკმაო რაოდენობით მოიპოვება **ნა-ებ** პრეფიქს-სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებანი: ნა-ფარეხ-ებ-ი, ნა-ბოსლ-ებ-ი, ნა-ბოსტნ-ებ-ი, ნა-ეკლესი-ებ-ი, ნა-კანტორ-ებ -ი...

მსგავსი ვითარებაა ზემო აჭარის ტოპონიმიაშიც. მ. ქამადაძე წერს: „ზემოა ჭა- არულ მეტყველებაში მრავლობითის -ებ სუფიქსი განსაკუთრებული ინტენსიობით ხასიათდება. ეს ვი-

თარება აისახა მხარის ტოპონიმიაშიც"[1] და მოჰყავს წინა ვითარების გამომხატველი ტოპონიმები: ნა-ფლარტ-ებ-ი, ნა-ყავრ-ებ-ი, ნა-ჩამურ-ებ-ი და სხვ. იქვე აღნიშნულია, რომ „ასეთი ტიპის ფორმებში -ებ სუფიქსი ფუნქციურად თავისუფლად ენაცვლება -ევ-ს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მისი ფარდიცაა. **ნა-ევ** და **ნა-ებ** აფიქსებიანი სახელები სემანტიკურად ახლოს დგას ერთმანეთთან, ორივე წინა ვითარების გამოხატვას.[2]

ნა- პრეფიქსთან **-ევ** და **-ებ** სუფიქსების მონაცვლეობა ხდება საზოგადო სიტყვაწარმოებაშიც და ტოპონიმიაშიც. თ. ზურაბიშვილი აღნიშნავს: „ზოგჯერ ხდება სუფიქსთა მონაცვლეობა და **-ევ** სუფიქსის ნაცვლად **-ებ** ბოლოსართი იჩენს თავს „-ებ და -ევ სუფიქსების მონაცვლეობა წინავითარების აღმნიშნელ ტოპონიმიკურ სახელებშიც ხდება[3]. **-ევ** და **-ებ** სუფიქსების ასეთი პარალელიზმის ძირითად მიზეზად მიჩნეულია ენებითი გვარის ნამყო დროის **ნა-** პრეფიქსიანი მიმღეობისა და წინა ვითარების სახელების სემანტიკური სიახლოვე[4], ნააბანოები ტიპის ტოპონიმები ხშირია გურულშიც **ნა-ატმ-ებ-ი, ნა-ბარამბულ-ებ-ი,** (< ბარამბულა ღომის ჯიშია ერთგვარი), **ნა-ბოგვ-ებ-ი** (< ბოგვი ბალახია ერთგვარი), **ნა-ბოსლ-ებ-ი, ნა-ეკლესი-ებ-ი, ნა-კუხრ-ებ-ი** (კუხურაი ღომის ჯიშია), **ნა-ლობი-ები-ი** და სხვ. მრ.

რას გამოხატავს ეს **-ებ** ამგვარ შემთხვევაში — ფუძით გამოხატული საგნის სიმრავლესა თუ იგი **-ევ** სუფიქსი მონაცვ-

---

[1] მ. ქამადაძე, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, მისივე მუშო აჭარის ტოპონიმია, თბ., 1992, გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 32.

[3] თ. ზურაბიშვილის, ნა-ევ და ნა- აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წივნი I, 1972, გვ. 136.

[4] იქვე, გვ. 151.

ლეა? სამიოდე ტოპონიმში ისინი კიდევაც ენაცვლებიან ერთმანეთს პარალელურ (ერთი ობიექტის გამომხატველ) სახელწოდებებში, მაგალითად, **ნა-ბახჩ-ებ-ი//ნა-ბახჩ-ევ-ი** (ტყე სოფ. ჭაჭიეთში), **ნა-ქალაქ-ებ-ი//ნა-ქალაქ-ევი-ი** (ტყე სოფ. წიფნაგვარაში), უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოებ სხვადასხვა ობიექტის სახელებში ზოგან **ნა-ებ** გვაქვს და ზოგან კი – **ნა-ევ**: **ნა-ნალი-ებ-ი** ფერდობია სოფ. წიაღობანში, ხოლო **ნა-ნალი-ევ-ი** სოფ. ქაქუთი. **ნა-საკირ-ებ-ი** დაეკებაა სოფ. დობიროში, ხოლო **ნა-საკირ-ევ-ი** ტყეა სოფ. კოკათში. ასევე, ნა-სიმაგრ-ებ-ი ფერდობია სოფ. ჭანიეთში, **ნა-სიმაგრ-ევ-ი** კი გორაა სოფ. ნიაბაურში. მსგავსი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება. ყოველივე ეს კი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ **ნა-ებ** და **ნა-ევ** თითქმის თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს გურიის ტოპონიმიაში. ამასთანავე არ არის გამოსარიცხი ის მოსაზრებაც, რომლის თანახმად ოღენ **-ებ** ზოგ შემთხვევაში მაინც მატოპონიმებელი სუფიქსია.

წინავითარების **ნა-** პრეფიქსს ძალზე იშვიათად ახლავს **-ერ-ელ-ურ** სუფიქსები: **ნა-გბ-ერ-ი, ნა-ნალი-ერ-ი, ნა-კარვ-ელ-ი, ნა-ციხ-ურ-ი** და სხვ. საქართველოს მთლიანი ტოპონიმია ჯერჯერობით არ არის გამოცემული. ყოველ შემთხვევაში დღემდე გამოქვეყნებულ ტოპონიმიკურ მასალებში **ნა-ერ** და **ნა-ელ** აფიქსები არ ჩანს. ასე რომ, აღნიშნულ ცირკუმფლექსებში შესაძლოა გურული დიალექტის თავისებურება აღმოჩნდეს. განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. ორმაგი სუფიქსაცია წინავითარების გამომსატველ ტოპონიმებში, კერძოდ, ის შემთხვევები, როცა წინავითარების პრეფიქსის თანმხლებ **-არ** სუფიქსს წინ უძღვის **-ევ** ან **-ავ**. ა. შანიძე „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ წერს: „ზოგ შემთხვევაში **-ევ** სუფიქსს **-არ-ი**

დართვია და ხმოვნის ამოღების გზით **ვ-არ-ი** გაკეთებულა". თ. ზურაბიშვილის დაკვირვებითაც, „ზოგ შემთხვევაში ერთ ფუძესთან ერთდროულად ორი სუფიქსიც ყოფილა გამოყენებული, როგორც **-ევ**, ისევე **-არ**, ან **-ურ**, სადაც ზოგან **-ევ-ის -ე** ხმოვანი ამოვარდნილია: ნა-დოკვარი, ნა-ციხვარი, ნატბე[ვ]ური და სხვ.[1] ეს გარემოება დამახასიათებელია მრავალი დიალექტისათვის. გამონაკლისი არც გურულია, რომლის ტოპონიმიაში ხშირია **ნა-ვ-არ** აფიქსებით წარმოქმნილი სახელები: **ნა-ბახჩ-ვ-არ-ი, ნა-ზაოდ-ვ-არ-ი, ნა-კამბეჩ-ვ-არ-ი, ნა-კაპეტ-ვ-არ-ი** (←კაპეტი „ყამირი დიდი ხნის დაუმუშავებელი მიწა: **ნა-ოდ-ვ-არ-ი, ნა-ოჩ-ვ-არ-ი** (ოჩე „ახალნაკაფი კარგმოსავლიანი მიწა"), **ნა-პურ-ვ-ალ-ი, ნა-ფაცხ-ვ-არ-ი, ნა-ფოშტ-ვ-არ-ი, ნა-ქალაქ-ვ-არ-ი, ნა-ღომ-ვ-არ-ი, ნა-ციხ-ვ-არ-ი, ნა-ხარ-ვ-ალ-ი, ნა-ჯოგ-ვ-არ-ი** და სხვ. აქ დასახელებული თექვსმეტი მაგალითიდან **-ვ-არ** სუფიქსის წინ ძირითადად (12 შემთხვევაში) გვაქვს ერთმარცვლიანი (ზოგი რედუქციის შედეგად) ამოსავალი ფუძე.

საფიქრებელია, რომ **-ვ-არ** სუფიქსიანი წინა ვითარების სახელები დღეს წარმოიქმნებიან პირდაპირ, **-ევ-არ, ავ-არ** ორმაგსუფიქსიანი შუალედური ფორმის გაელის გარეშე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ იშვიათ შემთხვევაში **-ევ, -ავ** შეკვეცის გარეშეც არის წარმოღგენილი, მაგალითად, **ნა-ბაკ-ევ-არ-ი, ნა-ბელღ-ავ-არ-ი**.

ისმის საკითხი, რა არის ის **-ა, -ა-ი, -ე** დაბოლოებანი, რომელნიც მისდევენ **-არ, -ალ, -ურ, -ევ, -[ე] ვარ** სუფიქსიან წინა ვითარების გამომხატველ გურულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს?

---

[1] თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართული ენის სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 154.

ზოგი რეგიონის ტოპონიმიაში **ნა-** პრეფიქსს ბოლოში ახლავს **ა-** სუფიქსი. მაგალითად, მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავში, ხევში, ზემო იმერეთში (აჭარულში მ. ქამადაძის მიერ წინა ვითარების გამომხატველ ტოპონიმებად მიჩნეულ ნა-ყიდ-ა-ი და ნა-კაფ-აი სინამდვილეში მიმღეობებია). მეორე მხრივ, ჩვეულებრივია ამ **-ა** სუფიქსის გამოჩენა **-არ, -ალ,** აგრეთვე **-ავ, -ევ, -ურ** სუფიქსების მომდევნოდ, ფშავის ტოპონიმიაში დადასტურებულია ნა-სვილ-არ-ა, ნა-ფუტკ-არ-ა, მთიულეთ-გუდამაყარში ნა-ურმ-ალ-ა, ნა-ჩახტ-არ-ა და სხვ. ერწო-თიანეთში ნა-ქერ-ალ-ა, ნა-დუქნ-არ-ა, ნა-ღორ-ალ-ა და სხვ. ზემო იმერეთში — ნა-ფაცხ-ევ-ა, ნა-ფუტ-არ-ა, ნა-ქერ-ალ-ა, ნა-ღორ-ევ-ა, ნა-ხიდ-ურ-ა, ნა-ბეღლ-არ-ა და სხვ. ამგვარი წარმოება ტოპონიმებისა გურულ დიალექტშიც ჩვეულებრივია: **ნაბხჩ-ვ-არ-ა, ნა-ბოსლ-არ-ა, ნა-ბოსტნ-არ-ა, ნა-ბრინჯ-ალ-ა, ნა-დუქნ-არ-ა, ნა-პუნქტ-არ-ა, ნა-ისრ-არ-ა, ნა-რაგვალა, ნა-ფაცხ-ვ-არ-ა** და სხვ. დამოწმებულ მაგალითთა უმრავლესობა ქვემოგურული კიკოლკაის ბონაშია ფიქსირებული, ორიოდე შემთხვევა კი — ზემო გურულში.

როგორც ჩანს, აღნიშნულ ბოლოკიდურ **—ა-ს** მატოპონიმებელი ფუნქცია აქვს, როგორც გურულისაეე **სა-ვაც-ი-ა, სა-რეცხ-ელ-ა, ძელისაყარ-ა** ტიპის სახელებთან, ასევე ზემოთ დასახელებულ მაგალითებშიც[1]. როგორც ცნობილია, გურულში ბოლოკიდური **-ა** მქონებლობის ან კნინობითობის სუფიქსია (ორ- და მეტმარცვლიან სახელებში). ამ რიგის ყველა სახელი სახელობითში დაირთავს -ი ბრუნვის ნიშანს[2]. ეს -ი ხშირად გეხვდება წინა ვითარების გამომხატველ ტოპონიმებშიც, რო-

---

[1] რ. ძნელაძე, -ა, -იან, -ოვან სუფიქსთა ფუნქციისა და განაწილებისათვის ქურიის ტოპონიმიაში. მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, № 1, 1981 წ.

[2] ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ. 1989, გვ. 523.

მელთაც აქვთ **-არ-ა, ალ-ა, -ევ-ა** დაბოლოებანი. მაგალითები: **ნა-ბეღლ-ავ-ა-ი, ნა-ბრინჯ-ვ-ალ-ა-ი. ნა-გომ-არ-ა-ი,** და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოგურულში ერთსა და იმავე სოფელში შესაძლებელია გექონდეს წინა ვითარების გამომხატველი ტოპონიმები ყველა შესაძლო დაბოლოებით, როგორიცაა **-არ-ი, -არ-ა, -არ-ა-ი-, -ალ-ი, -ალ-ა, -ალ-ა-ი, -ავ-ი, -ავ-ა, -ავ-ა-ი**; ამის საგანგებოდ აღნიშვნა იმიტომაა საჭირო, რომ საბოლოდო ლექსიკაში უფრო მეტი ერთგვაროვნობა გვაქვს და **-ა**-ზე დაბოლოებული ფუძეებისათვის ჩვეულებრივია სახ. ბრუნვის ნიშნის დართვა.

ზემო გურიაში ფიქსირებულ წინა-ვითარების გამომხატველ ტოპონიმებს, ჩვეულებრივ, **-ე** დაბოლოება აქვთ. მაგალითად, **ნა-ბამბ-არ-ე, ნა-დაფნ-არ-ე, ნა-პურ-ალ-ე, ნა-ფაცხ-ვ-არ-ე, ნა-ღომ-არ-ე, ნა-ციხ-ვ-არ-ე** და სხვ. ცნობილია, რომ „ზემოგურულში ამ რიგის ფორმებთან სახელობით ბრუნვის ნიშანი, ჩვეულებრივ, არ დასტურდება, მაგრამ შემორჩენილია მისი რეფლექსი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის სახით: ნაფოტაი > ნაფოტეი > ნაფოტე“[1].

ამრიგად, **ნა-ბამბ-არ-ე** ტიპის ტოპონიმებში ბოლოკიდური **-ე** მიღებულია **-ა-ი** დაბოლოებიდან, მაგრამ ეს ისტორიულად. ამჟამად ამგვარი წარმოებისას **-ე** გამოიყენება, როგორც მშამბარეული სუფიქსი, რომელიც უპირისპირდება ქვემოგურულის **-ა**-ს და რომელსაც აგრეთვე შესაძლოა მატოპონიმებელი ფუნქცია ჰქონდეს. წინა ვითარების სახელების ამოსავალი ფუძეები, ჩვეულებრივ, მარტივია (არხი > ნაარხალი, ქუბი > ნაქუბარი, ღომი > ნაღომარე...) ან წარმოქმნილი (სა-ისლ-ე > ნასაისლარი, სა-კირ-ე > ნასაკირალი, სა-ძირკვ-ელ-ი > ნასაძი-

[1] ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 524.

რკვლები...). უნდა აღინიშნოს, რომ **ნა** პრეფიქსი გურიის ტოპონიმიაში თითქმის არ გვხვდება საკუთარ სახელებთან. იშიათი გამონაკლისია **ნა-სუფს-არ-ი** და **ნა-ფიჩორ-ალ-ი**. ამით გური დიალექტი უპირისპირდება მეზობელ დიალექტს ზანური ენისას – მეგრულს, სადაც ნა- როგორც ნაწილობრივ საგანგებო ტოპოფორმანტი, ხშირად ერთვის გვარ-სახელებს, აწარმოებს ე.წ. ანთროპოტოპონიმებს, რომლებიც გამოხატავენ, რომ ამ კონკრეტულ ადგილას ფუძით გადმოცემული გვარის მატარებელი ცხოვრობდა, ან ეს ადგილი მას ეკუთვნოდა[1].

ტოპონიმებად ქცეული ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გურულში წარმოქმნილია ოდენ -ნა- პრეფიქსით. მაგალითად, ნა-თხარ-ი, ნა-თოვ-ი, ნა-კაფ-ი, ნა-კურთხ-ი, რა-ტეხ-ი. ნა-ყიდ-ი*, ნა-შენ-ი. (ასეთ ფორმებს შეიძლება ახლდეს მატოპონიმეელი -ა: ნა-რუჯ-ა, ნა-შენ-ა, ნა-ხვერ-ა...), ძალზე იშიათია **ნა-ებ** აფიქსების გამოყენება[2]. (ამასვე იდასტურებს ალ. ღლონტის ნაშრომი, ტოპონიმიკური ძიებანი VIII, სუფსა-ნატანების ხეობები, თბ., 1993 წ. გვ. 123-139. იხ. ტოპ. მასალა).

საკელევ რეგიონში ფიქსირებულია: **ნა-ტან-ებ-ი, ნა-ზვინებ-ი....** ამავე რიგშია **ნა-სვენ-ებ-ი, ნა-შენ-ებ-ი**, (ეს **-ებ** პირველი სერიის თემის ნიშანია თუ ნა-ს თანმხლები სუფიქსი?) და **ნა-შვავ-ებ-ი** (შეავი გეოგრაფიული ტერმინიცაა. ამიტომ აქ **-ებ** მრავალობითობის ან მატოპონიმებელი სუფიქსიც შეიძლება იყოს).

---

* „... ის ზმნები, რომლებიც საზოგადოდ უზმნისწინოდ იხმარება, ენებითი გვარის მიმღეობას უმეტესად ნა-თი აწარმოებენ: თქვა – ნათქვამი, იყიდა – ნაყიდი". (იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 576).

[1] პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 166-174.

[2] ეკ. ოსიძე. მიმღეობა ქართულში, თსუ შრომებში, 67, 1957.

ყველა სხვა შემთხვევაში **ნა-** პრეფიქსს ახლავს **-არ//-ალ** სუფიქსი, რომელთაც ზოგ შემთხვევაში ემატება **-ა, -ა-ი, -ე, ნა-მეხ-არ-ი, ნა-ხიზ-არ-ი, ნა-ომ-არ-ი,** ან კიდევ: **ნა-ჩხუბ-არ-ე//ნა-ჩხუბ-არა** (ქედი სოფ. წიფნარში), **ნა-ხიზარ-ა//ნა-ხიზ-არ-ი** (ტყე სოფ. ზომელთში), **ნა-ხიზ-არ-ე, ნა-ფიც-არ-ე, ნა-ჩუქ-ალ-ე,** და სხვ.

§3 სა- გურიის ტოპონიმიაში

სა- ისევე, როგორც **ნა-** უძველესი ქართული პრეფიქსია, ისიც ორმაგი ფუნქციისაა: სახელურ სიტყვაწარმოებაშიც მონაწილეობს და ზმნურშიც. ორსავე შემთხვევაში წარმოქმნილი სახელები სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგანან — გამოხატაეენ დანიშნულებას. „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ ამომწურავადაა წარმოდგენილი აღნიშნული აფიქსისი გამოყენების ასპექტი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ **სა-** პრეფიქსის დამოუკიდებლივ ან ზოგად სუფიქსთან ერთად აწარმოებს: 1. ზმნის ფუძისაგან მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობას; 2. სახელის ფუძისაგან დანიშნულების სახელებს, პირველ შემთხვევაში **სა-ს** ახლავს **-არ (ალ), -ალ, -ულ** ან **-ო** სუფიქსი: **სა-წერ-ი, სა-კეთებ-ელ-ი, სა-მკა-ულ-ი, სა-ჩივ-არ-ი, სა-რჩ-ო...** ხოლო მეორე შემთხვევაში **-ე, -ო, -ურ (-ულ), არ(-ალ),** სა-ყურ-ე, სა-ქვეყნ-ო, სა-ფეს-ური, სა-ბუდ-არ-ი....[1]

სა- პრეფიქსთან გამოყენებულ სუფიქსებს შორის ყველაზე ხშირია **-ე** და **-ო**. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ 1. **სა-ე** გამოსატავს დანიშნულებას, განკუთვ-

[1] ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 372-375.

ნებას; 2. სა-ო იგიეეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ მას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისაგან აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად მედსართაეებია: სა-ექიმ-ო, სა-ჯარ-ო,... 3. ამ ტიპის წარმოება ხშირად გეოგრაფიულ სახელებშია გამოყენებული[1].

სა-

ცნობილია, რომ ძველ ქართულში პროდუქტიული იყო ოდენ სა- პრეფიქსით სახელთა წარმოება და ამ წარმოების ზოგი ფორმა შემოინახეს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებმა. მაგრამ გამოქვეყნებული ტოპონიმიკური მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულის დიალექტებში ძალზე იშვიათია სა- პრეფიქსით სახელთა წარმოება სახელური ფუძეებისაგან (მაყალითისათვის შეგვეძლო დაგვესახელებინა სა-შუბ-ი, სა-ძმორ-ი, სა-ხევ-ი ერწო-თიანეთის ტოპონიმიიდან), ხოლო ზმნურ ფუძეთაგან ამგვარი წარმოება შედარებით უფრო გავრცელებულია. ფიქსირებულია ასეთი მიკროტოპონიმები: მთიულეთ-გუდამაყარში სა-ლოკ-ი[2] („ზოგადი სახელია ადგილებისა, სადაც ცხვარს, ძროხას დანაყილ მარილს უყრიან და ალოკინებენ"). სა-ჩქეფ-ი, სა-შალავ-ი და სხვ. ერწო-თიანეთში სა-დგომ-ი („როცა ხალხი მუშაობდა, აქ დგებოდა, ისვენებდა"[3]), ხევში – სა-ყენ-ი („თივების დასაყენებელი ადგილი"[4]). და სხვ. ზემო იმერეთში ოდენ სა- პრეფიქსით ნაწარმოები რამდენიმე ათეული ტოპონიმია და ყველა მათ ანისათვის ამოსავალია ზმნური ფუძე: სა-რეკ-ი, სა-რეცხ-ი, სა-რიყ-ი,

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 133.
[2] გ. ხორნაული, მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 73.
[3] ვ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 159.
[4] ე. ოთინაშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971, გვ. 59.

სა-ქუხ-ი, სა-წრეტ-ი, სა-წრუპ-ი, სა-წურ-ავ-ი, სა-სილავ-ი, სა-ტოპავ-ი, სა-ქოლავ-ი და სხვ.[1]

გურიის ტოპონიმიაში ოდენ **სა-** პრეფიქსიანი დერივატები (მათი რაოდენობა ორ ათეულს აღწევს) მხოლოდ და მხოლოდ ზმნური ფუძეებიდანაა წარმოქმნილი, ე.ი. სიტყვათწარმოებითი პროცესის თვალსაზრისით ისინი მყოფადი დროის საობიექტო ძიძღეობებია. დავასახელებთ ზოგ მათგანს: **სა-გუბ-ი** (სახნავი სოფ. გეიმრალაურში, საძოვარი სოფ. უკანავაში), **სა-ქუხ-ი** (ტყე სოდ. ახალსოფელში), ხიდისთაეში, სათეეზაო ადგილი სოფ. ბუქსიეთში), **სა-ხვეტ-ი** (ფერდობი სოფ. გოგიეთში) და სხვ. როგორც ვხედავთ, საწარმოებელ ფუძედ გამოყენებულია, ძირითადად, მეორე სერიის ფორმა. ამასთანავე, წარმოებაც არის შესაძლებელი: სა-ქუხ-ია, საქუხ-იე, სა-წრუპ-არ-ა და სხვ.

აღმოჩნდა, რომ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ქართული დიალექტებისათვის, ტოპონიმიის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაახლოებით მსგავსი სურათი დგინდება: ოდენ **სა-** პრეფიქსით სახელთა წარმოება სახელის ფუძისაგან ან არ გეხვდება, ან ძალზე იშვიათია, ხოლო ზმნური ფუძეებისაგან წარმოება შედარებით პროდუქტიულია.

სა–ე

სა-ე პრეფიქს-სუფიქსი, როგორც ცნობილია, აწარმოებს დანიშნულების სახელებს, ე.ი. მისთვის, ჩვეულებრივ, ამოსავალია სახელური ფუძე. ამ ტიპის წარმოება გვხვდება ქართული ენის ყველა დიალექტის ტოპონიმიაში, დაწყებული მოსეურით (სა-ორბ-ე, სა-ძელ-ე, სა-ზურგ-ე....) და დამთავრებული აჭარულით (სა-თხ-ე, სა-მარილ-ე, სა-მელ-ე....).

---

[1] ი. ბაქრაძე. ზემო იმერეთის ტოპონიმიკური მასალები. თბ., 1987.

მსგავსი ტოპონიმები დასტურდება გურიაშიც: **სა-აგურ-ე, სა-ბჟოლ-ე, სა-ბუ-ე, სა-გუგულ-ე, სა-ისლ-ე, სა-კავ-ე, სა-კიბორ-ჩხალ-ე, სა-სირ-ე** (38 მიკროტოპონიმი), **სა-სკ-ე** (7 მიკროტოპონიმი), **სა-ჭიაყულ-ე** და მრ. სხე. ამ ტიპის ტოპონიმები თითქმის თანაბრადაა გაერცელებული ზემო თუ ქვემო გურიაში. მაგალითად, **სასირე** ფიქსირებულია ზემო გურიის სოფლებში – ეანში, ზომელთში, ზემო ფარცხმაში, ზემო ონჭიკეთში, ბასილეთში, ხევში, ინტაბუეთში, ნაკადულში, მეწიეთში, ჩომეთში და ქვემო გურიის სოფლებში, ეწერში, ჭალაში, ომფარეთში, ჯუნეწერში, კონჭკათში და სხვ.

როგორც ეხედავთ, **სა-ე** პრეფიქს-სუფიქსით დანიშნულების სახელების წარმოებისას არა გვაქვს განსხვავება ზემოგურულსა და ქვემოგურულს შორის, რაც, ალბათ, სალიტერატურო ქართულის პოზიციის განმტკიცებას უნდა მიეწეროს. მაგრამ, რაც შეეხება ზმნური წარმომაელობის ტოპონიმს – **საგორავე-ს**, რაც დადასტურებულია ზემოგურულის ზონის ოთხ სოფელში – ზემო ფარცხმაში, ზემო ონჭიკეთში, ბუქსიეთსა და ნაბეღლავში, უნდა ითქვას შემდეგი: აქ ბოლოკიდური **-ე** სა- პრეფიქსს კი არ ახლავს, არამედ წარმოადგენს **-ა**ი დაბოლოების რეფლექსს, რაზეც საუბარი გვექნება **სა-ა** კონფიქსებით ტოპონიმთა წარმოების განხილვისას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ გურულში სა-ე აფიქსებით ნაწარმოებ ტოპონიმთა ამოსავალ ფუძედ საკუთარი სახელი არ შეგვხვედრია და 2) ამგვარ სახელებს ზოგჯერ მათთვის ჩვეულებრივი და თავდაპირველი ზედსართაული ფუნქცია აკისრიათ: **სათესლე ყანა** - სათიბი სოფ. ჩხაკოურაში, **სამარილე გორი** – საძოვარი ბახმაროში და სხვ.

სა–ო

ზემოთ უკვე დამოწმებულია ა. შანიძის დაკვირვება **სა-ე** და **სა-ო** პრეფიქს-სუფიქსებით სახელების წარმოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი აზრით, **სა-ო-ს** მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს. მართლაც, „საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შეტანილ **სა-** პრეფიქსიან სახელთაგან **-ო** სუფიქსი ახლავს ასამდე გეოგრაფიულ სახელს, ხოლო **-ე** მხოლოდ სამოცამდე სახელს. განსაკუთრებით ხშირია **სა-ო** აფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები – დასახლებული პუნქტების სახელები. მაგალითად, კახეთში ვეხვდება – სანავარდო, საგარეჯო... თიანეთში – საკრეჭიო, საყარაულო; ქართლში – საკორინთლო, საგურაბო, სათემო, საცხავატო; იმერეთში – საწისქვილო, სათემო, საბანო... ლეჩხუმში – სალეთოდიანო; ფშაველში – სამევარდნო; აჭარაში – სახალვაშო. გურიაში კი არც ერთი **სა-** პრეფიქსიანი ოიკონიმი არ მოგვეპოვება. **სა-ო** აფიქსებით ნაწარმოები სახელები თითქმის ორჯერ მეტია **სა-ე-თი** ნაწარმოებზე. ამოსაყალია, ძირითადად, საზოგადო სახელები: **საბეგრ-ო, სა-ბერ-ო, სა-გლეხ-ო, სა-ეკლეს-ო, სა-ჯალამბრ-ო** (< ჯალამბერი „საკაცე“) და სხვ. ამასთანავე, ამ ტიპის სახელწოდებათა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ამოსავალია საკუთარი სახელი, ძირითადად, გვარსახელი, იშვიათად, პირსახელიც, მაგალითად, **სა-კალად-ო, სა-კობიძ-ო, სა-ბერაძ-ო, სა-გურიელ-ო, სა-დიდი-ო** და სხვ. ა. შანიძეც აღნიშნავდა, რომ „ამგვარ სახელებს ხშირად ფუძედ აქვთ ეროვნულ-ტომობრივი, საგვარეულო ან რომელიმე მფლობელის სახელი, საკუთარი თუ საზოგადო[1].

[1] ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 139.

დანიშნულების სახელები, ჩვეულებრივ, ზედსართაებია, მაგრამ შემდეგ ხდება მათი გასუბსტანტივება საზღვრულის ჩამოცილების გზით (ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა დანიშნულების სახელი, შემდგომში ტოპონიმად ქცეული, ამ გზით იყოს მიღებული). ზედსართაებია (და ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით გამოდიან) **სა-ო** აფიქსიანი სახელები ქვემოთ დასახელებულ ტოპონიმებში: **საგირგოლო ღელე** – ღელე სოფ. კოკათში, **სადაო ტყე** – ტყე სოფ. თხილაგანში, **სათემო ტევრი** – ტყე სოფ. გოგოურში, **საორაო წიფელა** – წიფლის ხე სოფ. ზედა მაკვანეთში და სხვ. გავიმეორებთ, რომ გურიის ტოპონიმიაც ადასტურებს იმ დებულებას, რომ **სა-ო** უფრო პროდუქტიულია, ვინემ **სა-ე** აფიქსებით წარმოება.

სა—ია, სა—იე:

ისტორიულად **სა-ია** და **სა-იე** ცირკუმფლექსებისათვის ამოსაყალია სალიტერატურო ენაში გავრცელებული **სა-ე** პრეფიქს-სუფიქსი. როგორც ცნობილია, **-ია** დაბოლოება მიღებულია **-ე** ბოლოკიდურისა და კნინობითობის **-ა** სუფიქსის ფონეტიკური ურთიერთობის – დისიმილაციის – შედეგად: **ეა > ია**. ზოგ დასავლურ დიალექტში (ზემოგურულში, ქვემოგურულში, ლეჩხუმში) **-ეა** დაბოლოების ნაირსახეობაა **-იე**. აქ პროცესი იწყება რეგრესული ასიმილაციით: **ია-ი > იე-ი**, და მთავრდება ბოლოკიდური **ი** ხმოვნის (სახელობითი ბრუნვის ნიშანი) მოკვეცით[1].

გურიის ტოპონიმიაში **სა-ია** და **სა-იე** აფიქსებით ნაწარმოებ სახელთა რაოდენობა თითქმის ისეთივეა, როგორც **სა-ე-თი** ნაწარმოებისა. ამოსაყალი ძირითადად სახელური ფუძეებია: **სა-წერ-იე** < წერი (თევზია ერთგვარი. სიტყვა მეგრულიდან უნდა იყოს შემოსული), **სა-ხარ-იე**, **სა-წაბლ-იე**, **სა-მამბ-**

[1] ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 213-220.

იე < შამბი// შამბალა (მცენარეა ერთგვარი), **სა-ქორ-იე, სა-ტურ-იე, სა-ჩიჩქნ-იე** < ჩიჩქინი „წყლის სწრაფი დინება“ **სა-ხბორ-ია, სა-ჩელტ-ია, სა-ყორე-ია.**

ზემოთ აღნიშნულ **-ია** და **-იე** დაბოლოებათა განაწილება აღარაა ზუსტად ისეთი, როგორიც მოსალოდნელი იყო არსებული კილოკაური სიტუაციის მიხედვით: **-იე** დაბოლოებიანი დანიშნულების სახელები, მართალია, ძირითადად ზემოგურული კილოკავის ზონაშია, მაგრამ არაიშვიათად გვხვდება ქვემოგურულშიც და, პირიქით, **-ია** დაბოლოებიანი დანიშნულების სახელები ძირითადად ქვემოგურულის მიკროტოპონიმიაშია ფიქსირებული, მაგრამ ზემოგურულშიც ხშირად გვხვდება. ნათქვამს დაუასაბუთებთ მაგალითებით: ტოპონიმი **საკეციე** ორგან გვხვდება ზემო გურიაში (სოფლები განახლება, შუა განახლება) და ორგანაც ქვემო გურიაში (სოფლები ზემო აკეთი და გაგური); **სატურიე** ზემო გურიაში ეწოდება ოთხ მიკროობიექტს (სოფლები განახლება, ბჟოლეთი, ხიდისთავი, შუა განახლება, ხოლო ქვემო გურიაში-ექვსს (სოფლები ჯიხანჯირი, შრომისუბანი, არჩეული, ზემო ჩიბათი, ჯუნეწერი, ზემო აკეთი); ტოპონიმი **საქორიე** ზემო გურიაში ფიქსირებულია ოთხგან, ხოლო ქვემო გურიაში – სამგან და ა.შ.

-ია დაბოლოებიან დანიშნულების სახელებში თითქმის ასეთივე სიტუაცია გვაქვს: **საკეცია** ორ მიკროობიექტს ეწო-ღება ქვემო გურიაში (სოფლები ჭალა, ჭანჭათი) და ერთსაც ზემო გურიაში (სოფ, შუა სურები); ქვემო გურიაში ფიქსირებული: **სამელია, საოკია, საგახია, საღორია** და სხვ. ხოლო ზემო გურიაში – **საგველია, სადათვია, საკალმახია, საკაკვია, სანისლია, საგურია** და სხვ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს **სა-** პრეფიქსთან გამოყენებული **-ია** და **-იე** სუფიქსთა ტერიტორიული განაწილება გაქრა და მოხდა მათი უნიფიცი-

რება, ამის შემდეგ ჩანს გამოყენება პარალელურ სახელწოდებებში ზემო გურიაში. აი, მაგალითები საილუსტრაციო: **სახარია//სახარიე** (სოფ. ინტაბუეთში), **საცხენია//საცხენიე** (სოფ. ბუკისციხე), **სატურია//სატურიე** (სოფ. ჩემოთი) და სხვ. ისიც ხდება, რომ ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში **სა-ია** გვხვდება ზემო გურულში (მაგალითად, **სათებზია** სოფ, ჩხაკოურაში), ხოლო **სა-იე** – ქვემო გურულში (მაგ. სათებზიე სოფ. გვიმრალაურში). **სა-ია** და **სა-იე** იშვიათად გმნ-ური ფუძეებიდანაც აწარმოებს დანიშნულების სახელებს. გადასაძახებელ ადგილს ეწოდება **საკიჟინიე** (კიჟინი „გადაძახება"). ეს ტერმინი ტოპონიმად ქცეულა სოფ. ზემო ონჭიკეთში (ზემო გურია); საახოე მიწას ასვენებენ, ატყევებენ, კაფავენ, „ტეხენ". ამგვარი ადგილების სახელებია **სატეხია** (ქვემო გურულში სამგან) და **სატეხიე** (ზემო გურიაში სამგან); მგზავრის შესავენებელი ადგილის საზოგადო სახელია **სასვენიე//სასვენია**. შესვენებისთვის განსაკუთრებით მოსახერხებელია გზისპირას მდგარი ტოტებგაფაჩხული ხე ან ფართო ლოდი და სხვ. მართლაც, სოფ. ბუქსიეთში გზისპირა ლოდს, ეწოდება „**სასვენიე ქვაი**", სოფ. ჭანჭათში რცხილისათვის უწოდებიათ „**სასვენიე ცხმელა**" და სხვ. მაგრამ, ჩვეულებრივ, საბღვრული სიტყვა ჩაკარდნილია, კონსტრუქცია გამარტივებულია: **სასვენია** – სამგან გვხვდება ტოპონიმად, ხოლო **სასვენიე** – რვაგან.

როგორც ჩანს, **სა--ია** აფიქსებით დანიშნულების სახელების წარმოება საერთო-ქართული მოვლენაა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ აღნიშნული პრეფიქს-სუფიქსი, ისევე, როგორც **სა-ე**, და **სა-ო**, თითქმის ყველა დიალექტის ტოპონიმიაში ამყარებს გარკვეულ პროდუქტიულობას: ერწოთიანეთში ფიქსირებულია ტოპონიმები სა -ბჟოლ-ია, სა-დათე-

ია, სა-ჯვარ-ია, სა-შველ-ია[1] და სხვ. მთიულეთ-გუდამაყარში სა-ქობ-ია, სა-წმინდ-ია, სა-ყოლ-ია და სხ[2]. აჭარაში — სა-ჭინჭრ-ია, სა-მაჩვ-ია, სა-გველ-ია, სა-სწორ-ია-ი და სხვ[3]. ასეევა ლეჩხუმში, ზემო იმერეთში და ა.შ.

შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ მთელ საქართველოში, თუ ეიმსჯელებთ ტოპონიმიის მსალების მიხედვით, დანიშნულების სახელების საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიულია **სა-ე, სა-ო** და **სა-ია**. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია და ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ **-იე** (< ია-ი დადასტურებულია ზემოგურულში, ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურში[4]. მაგრამ ტოპონიმიური მასალის ჩვენებით ეს **-იე** არაა იშვიათი ქვემოგურულშიც (იხ. მაგალითები ზემოთ) და ზემოიმერულშიც. კერძოდ, ზემო იმერეთის ტოპონიმიის მასალებში ფიქსირებულია სა-ლეკვ-იე, სა-მაჩვ-იე, სა-ქორ-იე, სა-გოჭ-იე, სა-ძროხ-იე და სხვ.

მეზობელი რეგიონის, აჭარის, ტოპონიმიაში ხშირია **-იებ** დაბოლოებიანი დანიშნულების სახელები. მათი წარმომავლობა ასეა ახსნილი: **სა-ე-ებ სა-ი-ებ**. „ორი ერთიანი აფიქსისეული ხმოვნის შეხვედრის შედეგად დისიმილაციაა მოსდის ერთერთს, ჩვეულებრივ, წინამავალს. მაშასადამე, ბოლოკიდური **-ი-ებ -ე-ებ** მრავლობითის **-ებ-ისა** და აფიქსისეული **-ე-ს** შეხვედრის პირობებში". საილუსტრაციოდ დასახელებულია: სა-კარ-ი-ებ-ი, სა-კიტრ-ი-ებ-ი, სა-კეც-ი-ებ-ი და სხვ[5] ჩვენი აზრით, ამგვარი სტრუქტურის ტოპონიმთათვის, შესაძლოა, ამოსავალი იყოს მზა ფორმა სა-კეც-იე ტიპისა, რაც შეცვლიდა საბოლოო

---

[1] გ. ბელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.
[2] გ. ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 49
[3] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30.
[4] მ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 220.
[5] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

ვარიანტის მიღების გზას: სა-კეც-იე > სა-კეც-იე-ებ-ი > სა-კეც-ი-ებ-ი (ორი ერთნაირი ხმოვნიდან ერთ-ერთი დაიკარგა). გურიის ტოპონიმიაში დანიშნულების გამომხატველ სახელთა შორის ერთადერთი ამგვარი წარმოების ტოპონიმი აღმოჩნდა. ესაა **სა-ბოლოკ-ი-ებ-ი** (ბუჩქნარი სოფ. სანიკიძნებში, ზემო სურების ტერიტორიაზე). ახლა ძნელი დასადგენია, ეს -ებ გამოყენებულ იქნა თავისი პირდაპირი ფუნქციით (მრავლობითობის გამოხატვა) თუ მას აქ მატოპონიმებელი ფუნქცია აქვს. გურიაში მრავალგან დამოწმებული ტოპონიმები – **საციები** და **საცივები** წარმოქმნილია გეოგრაფიული ტერმინისაგან **საცივი**. მაშასადამე, აქ დანიშნულების სახელი წარმოქმნილია საზოგადო (და არა ტოპონიმიკური) სიტყვათწარმოების დონეზე.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში **სა-** პრეფიქსთან გამოყენებული სხვა სუფიქსებიდან გურულში გვხვდება, ისიც ძალზე იშვიათად, **-ურ//-ულ, -ერ//ელ, -ელ-ა, -არ//-ალ, -ალა;** მოგვყავს დადასტურებული ტოპონიმები: **სა-ბუდ-ურ-ი** (საყანე სოფ. ჭალაში, საძოვარი სოფ. ქვემო ჩიბათში, ჭაობი სოფ. გვიმრალაურში), **სა-გვერდ-ულ-ი** (ტყე, სოფ. უკანავაში. შდრ. საგვერდო – ტყე სფუ. განთიადში), **სა-ყაჭ-ურ-ი** < ყაჭი „აბრეშუმის ჭია“ (უბანი სოფ. ორმეთში), **სა-ბეკნ-ელ-ი** < ბეკნა „მიწის ტკეპნა“ (ჩაის პლანტაცია სოფ. ლესაში), **სა-რეცხ-ელ-ე** (ოთხვან), **სა-რეცხ-ელ-ა-ი** (ორვან). **სა-ხრჩობ-ელ-ა** (საბანაო სოფ. ზოტში), **სა-ფენ-ელ-ე** (შეფენება სოფ. გაღმა დობიროში), **სა-ფერხვ-ელ-ა-ი** (ჩაი ქვედა მამათში), **სა-ფეხვ-ელ-ე** (ტყე სოფ. ხევში), **სა-ყივ-არ-ა** (ტყე სოფ. ზემო რიბათში), სა-ყუდ-არ-ა-ი (ჩაის პლანტაცია სოფ. ჩოჩსათსა და ხაჯალიაში, შდრ. ქვემოიმერული „საყუდარი“, „კეცის საყენებელი“), **სა-ყურძნ-ალ-ა-ი** (საყანე სოფ. აცანაში, ყურძენა მცენარეა), **სა-ცეხვ-ელ-ე** (ხევი სოფ. დაბლაციხეში) და სხვ.

ქართულში პროდუქტიულ სუფიქსთა შორის **-ეთ**-საც გამოყოფენ. იგი ზოგ შემთხვევაში **სა-** პრეფიქსსაც ეხმარება[1]. სა-ეთ აფიქსიანი ფორმები ქართველურ ოიკონიმიაშიც გეხვედება[2]. გურიის მიკროტოპონიმიაში კი მხოლოდ სამი მაგალითი აღმოჩანდა, სადაც ეს პრეფიქს-სუფიქსი გამოიყოფა. ესენია: **სა-ბუ-ეთ-ი** (ტყე სოფ. ტობახჩაში. შდრ. სა-ბუ-ე, რაც გურიაში 8 მიკროობიექტს ეწოდება). **სა-სტაკ-ეთ-ი** (ტყე სოფ. გოგიეთში), **სა-წილ-ეთ-ი** (ტყე სოფ. ორაგეევში. შდრ. **სა-წილ-ე** ჩაის პლანტაცია სოფ. ჭინათში). უადგილო არ იქნება აღინიშნოს, რომ მეგობელ რეგიონებში – აჭარასა და იმერეთში **სა-ეთ** უფრო პროდუქტიულია.

თავი II

სუფიქსური წარმოება

§1. -ურ სუფიქსი

-ურ ქართული ენის (შეიძლება ითქვას, ქართველური ენების) ერთ-ერთი უძველესი და უპროდუქტიულესი სუფიქსია. არ. ჩიქობავას გამოკვლევით, მისი თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო სახელის დეტერმინაცია[3]. ხოლო ვ. თოფურიას აზრით, -ურ უქონლობასაც გამოხატავდა[4].

-ურ სუფიქსის ფუნქცია თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში ამომწურაედაა ჩამოყალიბებული ჩვენ მიერ ამ

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973 წ.

[2] შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

[3] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ 81.

[4] ვ. თოფურია, ქართველუ ენათა სიტყვათწარმოებიდან: II -ედ, -ურ, რ აფიქსებისათვის, „ენიმკი-ს მოამბე, V-VI, გბ., 1940, გვ. 537-538.

ნაშრომში არაერთხელ დასახლებული „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“[1]. თუ შევაჯამებთ აღნიშნულ ლექსიკონში წარმოდგენილ მასალას, შეიძლება გამოიყოს ორი მთავარი სფერო **-ურ** (რ – ნარევ ფუძეებთან -ულ) სუფიქსის გამოყენებისა: იგი არსებით სახელთაგან აწარმოებს რაიმე ნიშანთვისების გამომხატველ მედსართავებს, ხოლო ადგილთა სახელთაგან და მმნისართებისაგან – წარმომაელობის სახელებს. ამჟვარი წარმომაელობის სახელები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ვაზისა და ხეხილის ჯიშების სახელწოდებად. ამასთანავე, **-ურ** გამოიყენება პრეფიქსებთანაც: „-ურ სუფიქსი შესაძლოა მიერთოს ადამიანის საკუთარ სახელსაც. იწარმოება: ა) აღმოსაელეთ საქართველოს მთის დიალექტებში (მოხეურში, მთიულეთში, ხევსურულში ....) -გვარები: ბუჩუკ-ი → ბუჩუკ-ურ-ი, ღუდუშა → ღუდუშა-ურ-ი, ჭინჭარა → ჭინჭარა-ურ-ი → ჭინჭარა-ულ-ი... ბ) დასაელეთ საქართველოს დალექტებში (იმერულში...) – გათხოეილ ქალთა ქალიშვილობის გვარები: კვინკა-ურ-ი → კვინიკურ-ი – „კვინიკაძის ქალი, ბრეგა-ურ-ი → ბრეგო-ულ-ი „ბრეგვაძის ქალი...“[2] მაგრამ ყურადღება არაა გამახვილებული იმაზე, რომ აღნიშნული სუფიქსი ანთროპონიმთაგან (პირსახელი, მეტსახელი, გვარსახელი) აწარმოებს, ისევე როგორც **-ეულ-**[3]. განკუთვნების, მიკუთვნების გამომხატველ სახელებს, რომლებიც ხშირად გეხვდება ქართული ენის როგორც აღმოსაელური,

---

[1] ჯორბენაძე ბ. კობაიძე მ., ბერიძემ. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკა, თბ., 1988 წ. გვ. 396-400.

[2] ბ. ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფენებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკა, თბ., 1988, გვ. 396-400.

[3] გ. ხორანაული, -ურ სუფიქსის ფუნქციისათვის მთიულეთის ტოპონიმთა მიხედვით, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1973.

ისე დასავლური დიალექტების ტოპონიმურ (განსაკუთრებით მიკროტოპონიმურ) მასალაში.

მთიულეთის ტოპონიმიაში **-ურ** სუფიქსის ერთ-ერთი ფუნქცია კუთვნილების გამოსატვაა. ზემო სამეგრელოს ტოპონიმიაში ეს სუფიქსი გამოხატავს კუთვნილებასაც და ე.წ. კუთვნილებითს წარმომავლობასაც[1] (მაგალითად, ჯანაშური ის ადგილია, რომელიც ეკუთვნის ან ეკუთვნოდა ჯანაშიას). მსგავსი სურათია ზემო აჭარის – ტოპონიმიაშიც, სადაც **„-ურ(//ულ) სუფიქსი წარმომავლობა-კუთვნილებაზე** (საბგასმა ჩვენია - რძ.) მიუთითებს, ე.ი. გუნდაური, ბაგრატაული, გორგოშაული... ტიპის სახელებში აღნიშნულია გუნდას (გუნდაძის), ბაგრატის, გორგოშას (გორგოშაძის) ჩამომავლობა და მათი კუთვნილი საცხოვრებელი ადგილი[2]. სუფიქსის ეს ფუნქცია აღნიშნულია შ. ნიქარაძის „აჭარულ დიალექტში“, უ. სახლთხუციშვილისა[3] და სხვათა ნაშრომებშიც. მ. ბერიძე ცალკე გამოყოფს **-ურ, -არ,** სუფიქსებს და ფართოდ მსჯელობს მათს ფუნქციებზე, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიაში **-ურ** სუფიქსიანი სახელები „კუთვნილებაზე მიუთითებენ და ანთროპონიმებისაგან იწარმოებიან“, მაგრამ იმავე დროს **ურ(//-ულ)** სუფიქსი აწარმოებს ოიკონიმებისაგან ახალ ტოპონიმებს „მიმართებით ტოპონიმებს“[4]. უფრო ადრე ეს მოვლენა ფ. მაკალათიამ შეამჩნია: **-ურ** სუფიქსით წარმოებისას ამოსავალ ფუძედ აღებულია დამოუკიდებლად არსებული ტოპონიმები[5]“. ერწო-თიანეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიაში

---

[1] პ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 81.

[2] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

[3] უ. სახლთხუციშვილი, ტოპონიმ „პაპარძეულის“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, ტოპონიმიკური კრებული, თბ., 1993, გვ. 67.

[4] ნ. ბერიძე, ჯავახეთი, თბ., 1992, გვ. 46-47.

[5] ფ. მაკალათია, უშავის ტოპონიმიკა, „ტოპონიმიკა –, თბ., 1976, გვ. 47.

მრაელადაა **-ურ(-ულ)** დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელწოდებანი. გემო იმერეთში კი 800-ზე მეტია ამგვარი მიკროტოპონიმი.

-ურ ბოლოკიდური ჩანს გურიის რამდენიმე ასეულ ტოპონიმში, ოღონდ იგი სხვადასხვა წარმოშობისა და დანიშნულებისაა. ტოპონიმთა ერთ ნაწილში ეს **-ურ** შედის იმ საზოგადო სიტყვის, მათ შორის ტოპონიმის, შემდგენლობაში, რომელიც პირდაპირ, დამატებითი მორფოლოგიური გაფორმების გარეშე, ქცეულა ადგილის სახელად. **ჯიხური** – ჭირნახულის შესანახი წნული სახლი (ძარა), ბოძებზე შემდგარი; **მუხური (მუხურო)** – უბანი, კუთხე, **ჩამური** – საცეხველი (მეგრ.), **ოხოჯური** (მეგრ.), **ათინური** – ვაზის ჯიში, **ოფოური** – ვაზის ჯიში ერთგვარი და სხვ. აქვე უნდა დავასახელოთ **ყური, სკური** და სხვ. კომპონენტები, რომლებიც შედიან რთულ ტოპონიმებში, როგორიცაა: **წყავისყური, ტპისყური, ფაფასკური** და სხვ. იშვიათ შემთხვევაში **-ურ** ახლავს წინა ვითარების ან დანიშნულების პრეფიქსებს, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადო სიტყვის ან ტოპონიმის წარმოქმნაში, მაგალითად **ნადაბური** (სოფლის კუთხე, სოფ. ზოტში, ტყე სოფ. ბუქსიეთში, **ნაეკლესური** (სასაფლაო ს. ინგაბუეთში), **ნაგპაური** (ჩავარდნილი ადგილი სოფ. კოხნარში), **ნაციხური** (გორაკი სოფ. კონჭკათში, ფერდობი სოფ. სილაურში), **ნაჯოგური** (საძოვარი სოფ. ახალსოფელში, ტყე სოფ. ვაკიჯვარში...), **საბადური** (სახანაო სოფ. ჭალაში, ჭაობი სოფ. გვიმრალაურში...), **საგვერდული** (ტყე სოფ. უკანავაში), **სამჭედური** (შემაღლებული ადგილი სოფ. ქვედა ძიმითში), **საყაჭური** (ს. კუთხე, სოფ. ორმეთში) და სხვ. არაა გამორიცხული, **-ურ** სუფიქსი გამოხატავდეს განკუთვნებას ამა თუ იმ სოფლის მიმართ, ამ შემთხვევაში ამოსავალია გეოგრაფიული სახელწოდება და მიღებულია ე.წ. მეორადი ტო-

პონიმი, რომელსაც „მიმართებით ტოპონიმებსაც“ უწოდებენ. მაგალითად, ოზურგეთის რაიონში გვაქვს სოფლები ჭანიეთი და ჭანიეთური.

მსგავს პოზიციაში, ე.ი. თანსმოვნის მომდევნოდ, **-ურ** გვაქვს კიდევ ოციოდე ტოპონიმში: აფხაზური, აბეტკაცური, ბუეუნტური, ჭედიშური, ხეცური და სხვ. ამათგან ზოგის ფუძეში ანთროპონიმი ჩანს. ხოლო **-ულ** ვარიანტი იშვიათია და ასეეე სხვადასხვაგვარი წარმომაელობისაა: ოციოდე შემთხვევაში იგი მიმღეობის მაწარმოებელია, ხოლო სათანადო გეოგრაფიული სახელწოდება მნიშვნელობის შემცველია. დავასახელებ ნიმუშებს: **დაფანტული, დასილული, აკიბული, შეწირული, რუხული, გადაკაფული, გაკირული, ჩაყელული, დამიჯნული, მოყვერული** და სხვ. ამოსავალი ფუძე შესაძლოა იყოს არსებითი სახელი, მათ შორის ანთროპონიმიც: **ბერული, თავდგირული, გოგორკული, ნეკრესული** და სხვ. ბ. დარჩია განიხილავს ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში დამოწმებულ ტოპონიმს **გოგორიკული** და მას ასეთ ახსნას აძლევს: „რაკი გვარია გოგორიკიძე, სავარაუდოა, იყო გოგორიკა სახელიც. ამ მონაცემების მიხედვით, დასაშვებად მიგვაჩნია, სილაურის აღნიშნული ადგილი ოდესღაც ჰკუთვნებოდა ვინმე გოგორიკას ან გოგორიკიძეს და აქედან მიგვეღო საძიებელი სახელი გოგორიკული: გოგორიკა//გოგორიკიძე + ურ-ი → გოგორიკა-ულ-ი → გოგორიკ-ულ-ი → გოგორიკული“.[1] თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **-ურ** სუფიქსის წინ ფუძისეული ა ხმოვნის დაკარგვას, როგორც გურიის ტოპონიმიაში იშვიათ მოელენას, ახსნას სჭირდება.

[1] ბ. დარჩია, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

გემოთ განხილული იყო შედარებით იშვიათი შემთხვევები, როცა **-ურ//-ულ** სუფიქსები უშუალოდ მოსდევს ფუძისეულ ხმოვანს. მაგრამ გურიის ტოპონიმიაში გაცილებით, ვთქვათ, ოც-ოცდახუთჯერ მეტია ისეთი შემთხვევა, როცა გვაქვს, ერთი მხრივ, **-ა-ურ** (//-ა-ურ-ე), **-ო-ურ**, ხოლო მეორე მხრივ **-ეულ** (ს-ეულ), **-ო-ულ**(ს-ო-ულ) ბოლოკიდურები.

-აურ დაბოლოება ჩანს ასზე მეტ ტოპონიმში. **-ურ** სუფიქსის წინამავალი **-ა**, ჩვეულებრივ, ფუძისეულია, ხოლო ფუძე ანთროპონიმია. მაგალითები: **გუგუნა-ურ-ი** ← გუგუნა[ვა]; **დონა-ურ-ი** ← დონა[ძე], **გოგიჩა-ურ-ი** ← გოგიჩა[იშვილი], **მსხალა-ურ-ი** ← მსხალა[ძე]* და სხვ.

როგორც ცნობილია, ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად გურულში **-აუ** სუფიქსს შეუძლია მოგვცეს **-ოუ**[1]. ორიოდე შემთხვევაში **-აურ** და **-ოურ** კიდეცაც ენაცვლებიან ერთმანეთს პარალელურ ტოპონიმიკურ ფორმებში, როგორიცაა, **ჩაკიტაური//ჩაკიტოური** – სოფელი ჩოხატაურის რაიონში (პირველი ვარიანტი ოფიციალურია, მეორე გავრცელებულია მეტყველებაში), **ლეხაური//ლეხოური** – ხევები სოფ. ნაკადულსა და ქვემოხეთში, **ყვითელაური//ყვითელოური** – ფერ-დობები ს. გაღმა დონიროში, იშვიათად **-აურ** და **-ოურ** იხმარებიან ერთსა და იმავე ფუძესთან. მაგალითად, ქვ. ჩიბათში, ლესასა და ჭინათში ჩაის პლანტაციების სახელებია **გელაური** (← გელა[ძე]), ხოლო სოფ. განთიადში დავაკებისა – **გელოურ//გელოურა** სოფ. გულიანში საყანეა კაკალაურაი, სოფ. გოგიეთსა და თხილაგანში კი ფერდობებია **კაკალოური** (კაკალა

---

* აქაც და სხვა შემთხვევაში მაგალითებს სრულად არ ვასახელებთ, ნამრომი ძალიან რომ არ გადავტვირთოთ.

[1] ს. ელენტი, გურული კილო, ტფ., 1936, გვ. 51; ბ. ჯორბენაძე, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში, ტოპონიმიკა I, ქბ., 1976, გვ. 249.

მეტსახელია), სოფ. ორაგვეში გორის სახელია ბეჭაური, ხოლო სოფ. ჭაჭიეთში საყანისა – **ბეჭოურე**.

რ- ნარევ ფუძეებთან, როგორც წესი, **-აურ → აულ**. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ტოპონიმიაშიც აისახა. გვაქვს სამ ათეულამდე **-აულ** დაბოლოებიანი ანთროპონიმი. ვასახელებთ მათ ერთ ნაწილს: **გორგანაული** ← გორგანა (მეტსახელია), **გორგაული** ← გორგა[ძე], **გობრონაული** ← გობრონი[ძე], **კინტრაული** ← კ[ვ]ინტრა[ძე] და სხვ.

სავარაუდოა, რომ **-აურ//აულ** დაბოლოებაში წინამავალი **-ა** ყოველთვის არაა ფუძისეული და **-ურ//-ულ** ყოველთვის არაა მიღებული ასიმილაციის გზით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთგვარად დამოუკიდებელ საწარმოქმნო ოდენობად უნდა იყოს ქცეული (შდრ. ს-ეულ, ს-ოულ), ზემოგურულისათვის დამახსიათებელი **-ე** დაბოლოება (← აი), **-ურ//-ულ** სუფიქსებთანაც ჩანს: **ბერეჟოულე** ← ბერეჟ[იანი]; **ბეროულე** ← ბერ[იშვილი], **გელოურე** – გელა[ძე] მგელაძე და სხვ. მაგრამ **-ოულ(ი)** გვაქვს მაშინაც, როცა ამოსავალ ფუძეში **რ** არა ჩანს. ამ საკითხს ქვემოთაც შევეხებით, აქ კი მაგალითებს დავასახელებთ: **ღომოულე//ღომეულე** – ღომია (მეტსახელი შდრ. ღომიაშვილი), **ბოხოულე** ← ბოხო (მეტსახელია) და ხვ. საერთოდ კი, **-აურ//-აულ** ძირითადად ქვემოგურულშია გავრცელებული, **-ოურე//-ოულე** კი ზემოგურულში.

პროდუქტიულია გურიის ტოპონიმიაში **-ეულ**, რომელიც რთული სუფიქსია: მიღებულია **-ევ** და **-ულ (ევ+ულ)** სუფიქსების შეერთებით: და იწვევს ფუძის რედუქციას (როგორც ცნობილია, გვაქვს **-ეურ**, რომელიც მსოლოდ ნა- პრეფიქსთან ერთად იხმარება). „მორფემების ლექსიკონში“ ვკითხულობთ: **ეულ** სუფიქსი, რომელიც გამოხატავს განკუთვნებას, კუთენი-

ლებას და წარმომაელობას“[1] ფშავის ტოპონიმიაში -ეულ სუფიქსით „ნაწარმოები ტოპონიმები მამულს აღნიშნავენ და მიუთითებენ იმაზე, რომ, იგი (მამული) ეინმესგანაა შეძენილი, ვიღაცისეულია“[2].

-ეულ მეტნაკლები პროდუქტიულობით გვხვდება როგორც აღმოსაელურ ქართულში, ისე დასავლურ ქართულ დიალექტებში. მაგალითად, ბემო იმერეთში 250-მდე **-ეულ** დაბოლოდებიანი ანთროპონიმი გვაქვს. აჭარულ დიალექტში ეს სუფიქსი გამოხატავს პირეელმფლობელობას გაყიდვის ან გაჩუქების შემდეგ (მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1992, გვ. 50). გურიის ტოპონიმიაში იშვიათია **-ეულ** სუფიქსის უშუალოდ ფუძეზე დართეა. მოგვყავს ზოგი ფიქსირებული შემთხვევა: **ცისკრეული** ← ცისკ[აა]რ[იშვილი], **გაბრეული** ← გაბრო (სახელია) და სხვ. (ისევ გავიმეორებთ, რომ, **-ეულ** ზოგ შემთხვევაში **-აულ** სუფიქსისაგან შეიძლება იყოს მიღებული).

ბეერად მეტია იმ ტოპონიმთა რაოდენობა, რომლებშიც **-ეულ** მოსდევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. ამოსავალი ფუძე ანთროპონიმია, ჩვეულებრივ, გვარი, რომელიც შესაძლოა იყოს მრავლობით რიცხვშიც: **ბახტაძისეული** ← ბახტაძე, **თოხაძისეული** ← თოხაძე, **იმედაშვილისეული** ← იმედაშვილი და სხვ. ამას გარდა, ერთი მხრივ, ამოსავალ ფუძედ გვხვდება პირსახელიც (ან მეტსახელიც), ხოლო მეორე მხრივ, გვართან ერთად სახელიცაა წარმოდგენილი: **ალექსისეული** ← ალექსი, **გოგისეული** ← გოგი, სიო **ღლონტისეული** ← სიო ღლონტი, **ტარასიონა ღლონტისეული** ← ტარასიონა ღლონტი (< ტარასი).

---

[1] ბ. ჯორბენაძე, მორფემების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 153.

[2] ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმიკა, „ტოპონიმიკა –I“, 1976, გვ. 46.

პირსახელის ჩართვა ტოპოწარმოებაში აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა ადგილის სახელდებისათვის მხოლოდ გვარის გამოყენება არაა საკმარისი ამ გვარის ფართოდ გავრცელების ვამო.

-ეულ, რომელიც დაერთოს არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, „გამოხატავს განკუთვნებას, მიკუთვნებას წარმომავლობის მიხედვით“[1]. იგი „გამოიყენება საკუთარ სახელდებთანაც პეტრეს-ეულ-ი, მერაბის-ეულ-ი ბრუნვის ნიშნისეული **-ს** და **-ეულ** სუფიქსი შეიძლება შეერწყას **-სეულ** (-- **-სოულ**, ასიმილაციით), რომელიც **-ობა** სუფიქსით გაფორმების შემდეგ ზოგ დიალექტში (ქვემოიმერულში, გურულში) გამოხატავს იმავეს, რასაც „ოჯახი“, „ოჯახობა“, სულობა“[2]. ამ -ეულ სუფიქსთან დაკავშირებით აკ. შანიძე აღნიშნავს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“: „ამ დაბოლოებისაგან არსებითი სახელი გაკეთდა: გურიაში იტყვიან „ჩემი სულობა“, „მისი სულობა“ და სხვ., სადაც თავკიდური **-ს** წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილია....“ **-სეულ** („სოულ“) დამოუკიდებელ სიტყვად ქცეულა. გურულის მიერ ნათქამი „ვისი სეულია (// სოულია) ეს მიწა? ამას ნიშნავს: „ეის ეკუთვნის ეს მიწა? მ. ქამადაძეც აღნიშნავს, რომ ზემოაჭარულ მეტყველებაში **-სეულ//-სევლ** ცალკე სიტყვადაც იხმარება[3].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაბოლოება **-აურ** (ფუძისეული **-ა** + **-ურ** სუფიქსი) → **ოურ**, რაც **რ** ნარევ ფუძესთან **-ოულ-ს** გვაძლევს. მეორე მხრივ, რთული შედგენილობის სუფიქსი **-ეურ** ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე იქცევა **-ოურ** სუფიქსად – დასავლეთ საქართველოს

---

[1] ბ. ჯორბენაძე, მორფემების ლექსიკონი, გვ. 154.

[2] ბ ჯორბენაძე, იქვე.

[3] მ. ქამადაძე, დისერტაცია, გვ. 149.

დიალექტებში – იმერულში, გურულში, ლეჩხუმურში, რაჭულში[1]. რაც რ ნარეე ფუძეებთან აგრეთვე -ოულ-ს მოგვცემს. მოიპოვება -ოულ სუფიქსის მიღების მესამე გზაც. იგი -ეულ-ის ფონეტიკური ვარიანტია, მიღებული ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით. მაგრამ არა რ- ნარეე ფუძესთან ხმარება მიანიშნებს, რომ -ოულ (← -ეულ) დამოუკიდებელი სუფიქსია: **ნაკამოული** ← ნაკამიძე, **ბოცოცოული** ← ბოცოცო (მეტსახელი), შდრ. ბოცვაძე, **გუბაზოული** ← გუბაზი (სახელია).

ბევრად მეტია ისეთი შემთხვევა, როცა -ოულ მოსდევს ანთროპონიმის ნათესაობით ბრუნვის ფორმას: **გოგუაძისოული** ← გოგუაძე, **მგელაძისოული** ← მგელაძე, **გოგიბერიძისოული** ← გოგიბერიძე და სხვ,

საზოგადო სიტყვათწარმოებაში -ეულ (→ -ოულ) სუფიქსს ფართო საწარმოქმნო ფუნქცია მოეპოვება: მისთვის ძირითადია კუთვნილება-წარმომავლობის გამოხატვა. მაგრამ ტოპონიმიაში მისი დანიშნულება უფრო კონკრეტულია, შევიწროვდა და ამჟამად აღნიშნავს, თუ ვის ეკუთვნოდა წარსულში აღსანიშნი ობიექტი. თუმცა ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, როგორიცაა **ქვაბისეული, თამაღალასეული**... გვაფიქრებინებს, - რომ ეს სუფიქსი ზოგ შემთხვევაში დაერთვის არაანთროპონიმულ ფუძეს, კერძოდ, ტოპონიმს ან გეოგრაფიულ ტერმინს.

საერთოდ კი, **-სეულ//სოულ** უფრო ხშირია ქვემო გურიის მიკროტოპონიმიაში, **-ეულე//-ოულე** კი ზემო გურიისაში. დაბოლოება **ს-ეულ-ე//ს-ოულ-ე** ძალზე იშვიათია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბ. დარჩიას ნაშრომი „სოფელ სილაურის ტოპონიმია“, რომელიც თავდაპირველად პირველ რესპუბლიკურ ონომასტიკურ კონფერენციაზე იქნა წაკითხული

[1] ბ. ჯორბენაძე, მორფემების ლექსიკონი, გვ. 354.

1980 წელს[1]. ამ ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ტოპონიმ **სილაურის** ეტიმოლოგია და, შესაბამისად, **-ურ** სუფიქსის დანიშნულების გარკვევა. განხილულია **-აურ, -ოურ, -ოულ** დაბოლოებიანი ტოპონიმების ერთი ნაწილი, მოძიებულია XVI ს-ის დამლევს შეწირულობის განახლების წიგნში დაფიქსირებული ვარიანტი სირეული, რომელსაც სტატიის ავტორი თელის სილაურის თავდაპირველ ვარიანტად და აღადგენს ტოპონიმის ფონეტიკური გადასხვაფერების ასეთ გზას: სირ-ეულ-ი ← სირ-ოულ-ი → სილ-ოურ-ი → სილ-აურ-ი. ფონეტიკური გადასვლა ეუ—ოუ ბუნებრივია (შეუშვა → შოუშვა, შეკურთხა → შოუკურთხა), მაგრამ საეჭვოა ოუ → აუ. თუმცა კი ბ. დარჩიას საამისოდ სხვა მაგალითიც მოჰყავს. რეხეული//ლეხეური → ლეხოური → ლიხაური. ავტორი მსჯელობას იწყებს ისეთი დებულებით: „სახელში სილაური ფუძისეული სილა მეორეულია, პირველადია სირი. ეს კი კარგად ცნობილი ძველქართული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს ჩიტს“[2]. ცოტა ქვემოთ ნათქვმია: „ვიმეორებთ, შესაძლებელია სილაური ← სირეული წარმომავლობით რომელიმე პიროვნების კუთვნილებას აღნიშნავდეს: სირასეული, სირიასეული, სირაძისეული და ა.შ. მაგრამ ჩვენ მაინც უფრო გვგონია, იგი უშუალოდ სირი (=ჩიტი) სახელისაგან მოდის“[3] და კიდევ ერთხელაა ნათქვამი: სირეული//სიროული ეტიმოლოგიურად უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ჩიტის ძველქართულ სახელს სირი და ნიშნავდეს **საჩიტე, „ჩიტიან ადგილს**, თუმცა კი, მსჯელობის დასკვნით ნაწილში ავტორს თავისსავე ნათქვამში ერთგვარი ეჭვიც შეაქვს: „ამრიგად, ჩვენი დასკვნით, უეჭველია, სოფელ სილაურის სახელწოდება წარმოდგენა ჩიტის ძველქართული სახ-

---

[1] ბ. დარჩია, „სოფელ სილაურის ტოპონიმია“, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, №3, 1991, გვ. 61-85.

[2] ბ. დარჩია „სოფელ სილაურის ტოპონიმია“, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, №3, გვ. 67.

[3] იქვე, გვ. 68.

ელისაგან სირ-ი: სირ-ეულ-ი//სირ-ეულ-ი → სირ-ოურ-ი//სილ-ოურ-ი → სირ-აულ-ი//სილაურ-ი. შესაძლოა იგი მოდიოდეს ამ სიტყვისაგან მიღებული ადამიანის სახელის ან გვარისაგან (სირასეული, სირიასეული, სირაძისეული). უფ-რო კი მოსალოდნელია, საფუძვლად ედოს უშუალოდ მისი პირველადი მნიშვნელობა ნიშნავდეს: საჩიგე, ჩიტიანი ადგილი[1].

რა თქმა უნდა, ფრინველის ზოგადი სახელწოდება, როგორიცაა ჩიტი, სირი, შესაძლოა ჩანდეს ტოპონიმის ფუძეში, მაგრამ სხვა, ჩვეულებრივ, დანიშნულების აფიქსებით გაფორმებული (სა-ჩიტ-ია, სა-სირ-ე ...). მეორე მხრივ, **-ურ//-ულ**; **-ეულ** შესაძლოა დაერთოს არაანთროპოიმულ ფუძესაც (იშვიათად), მაგრამ ფრინველის სახელთან იგი არ დასტურდება.

ბ. დარჩია სვამს კითხვას: „ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი, დღეს რომ **-აურ//-აულ** და **-ოურ//-ოულ-ით** ბოლოვდება, თავიდან ისინი **-ეურ//-ეულ** სუფიქსიანები ხომ არ ყოფილან?“. ჩვენ საეჭვოდ არ გვეჩვენება, რომ რთული სუფიქსი **-ეულ** (— **ევ-ულ**) სხვა წარმომავლობისაა, ხოლო **-ოურ//-ოულ** მიღებულია **-ა-ურ//ა-ულ** დაბოლოებისაგან. თუმცა, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საკუთრივ **-ოულ** ვარიანტი შეიძლება მოგვცეს როგორც **-ეულ**, ისე **ა-** ხმოვანფუძიან სახელზე დართულმა **-ურ** სუფიქსმა.

აქვე აღვნიშნავთ ერთ ფონეტიკურ მოვლენას: **-აურ** კომპლექსი იშვიათად გვაძლევს **-ავრ-ს**, რაც გამოჩნდა რამდენსამე ტოპონიმში: **თიკავრა//თიკაურა** — ღელე სოფ. გაგურში (ლანჩხუთის რ.), **გონჯავრა// გონჯაურა** — ტყე სოფ. აცანაში (ლანჩხუთის რ.), **კიტავრაი//კიტაურაი** — ციტრუსის პლანტაცია ს. ბაღლეფში (ლანჩხუთის რ.) ჩვენ მიერ სოფ. ნიაბაურში ჩაწერილი ტოპონიმი **შომტაულა** ი. სიხარულიძეს ფიქსირებული აქვს, როგორც **შომტავლა**[2].

---

[1] იქვე, გვ. 70-71. (იხ. ბ.დარჩია)

[2] ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971.

მ. ქამადაძის მიერ ზემო აჭარაში ჩაწერილ ტოპონიმურ მასალაში **-ავრ** დაბოლოების ადგილას მასიურად ჩანს **-აურ**: ახიაური, გუნდაური, გოგინაური, ვარჯანაული, ჭახაური, თიკანაური, ცეცხალური, და ა.შ.[1]

§2. -ნარ

რთული შედგენილობის სუფიქსი **-ნარ** (-ნ მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსია, -არ – კრებითობისა) ფართოდაა გავრცელებული სალიტერატურო ქართულსა და ქართულის დიალექტებში. იგი აღნიშნავს ფუძით გამოხატული საგნის კრებითობას, ერთობლიობას. ამოსავალი ფუძეა არსებითი სახელი, უპირატესად, მცენარეთა, იშვიათად – ნიადაგის ნაირსახეობის აღმნიშვნელი ტერმინები. **-ნარ** იწვევს ფუძის კუმშვას და კვეცას. **რ-** ნარევ ფუძეებთან მისი ფონეტიკური ვარიანტია **-ნალ**[2].

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების ტოპონიმიურ მასალებში **-ნარ** არ ჩანს (აქ მას ცვლის -იან, -ოვან და სხვა აფიქსები), მაგრამ დასავლეთ საქართველოს დიალექტებში იგი ხშირია. მ. ქამადაძე ზემო აჭარაში მრავლად აღუნუსხავს ამგვარი მიკროტოპონიმები: ალიბნარი – ტყე, არყნალი – სათიბი, კესჭნარი – სათიბი, თხმელნარა და სხ[3]. ზემო იმერეთ-ის ტოპონიმიიდანაც დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: თხილნარი, თხმელნარი, რცხილნარი, წაბლნარი, ტყემნარი, ეკრანი[4].

გურიის ტოპონიმაში **-ნარ** (ვარიანტები: -ნალ, -ნარ-ე, -ნალ-ე, -ნარ-აი, -ნალ-აი) პროდუქტიული სუფიქსია. ამოსავალი ფუძეები,

---

[1] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.

[2] ბ. ჯორბენაძე, მორფემების ლექსიკონი, გვ. 316

[3] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[4] შ. აფრიდონიძე, ი. ბაქრაძე, ე. ჯოჯუა, „საქართველოს სსრ ტოპონიმია...“, თბ., 1987, გვ. 419-423.

როგორც მოსალოდნელი იყო, მცენარეთა და ნიადაგის სახეობათა სახელებია, აგრეთვე ლანდშაფტური ტერმინები (პიდროგრაფიული, ოროგრაფიული, დენდროლოგიური), ცალკე შენობათა სახელები და სხვ. მოგვყავს მაგალითები: ნიგვწნარი ← ნიგოზი, რცხილნარი ← რცხილა, ტაბელნარი ← ტაბელი და სხვ.

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, ზოგ შემთხვევაში **-ნარ** აღნიშნავს არა კრებითობას, ერთობლიობას, არამედ **-იან** სუფიქსის მსგავსად ქონებას: **მამულნარი** ნიშნავს მამულიან ადგილს და არა მამულს, ასევე: **ბაღნარი** ბაღიანი ადგილია, **ტალახნარი** ტალახიანი ადგილია და სხვ.

ზემო გურულის მიკროტოპონიმებში ხშირია **-ნარ-ე, -ნალ-ე** ვარიანტები: წიფნარე ← წიფელი, წაბნარე ← წაბლი და სხვ.

ამის გარდა, **-ნარ//-ნალ, -ნარ-ე//-ნალ-ე** სუფიქსების დართვა იწვევს რიგ ფონეტიკურ ცვლილებებს:

იკარგება ფუძისეული **ლ, რ**: წიფნარე ← წიფლნარი ← წიფელნარი, ისნარი ← ისლნარი, ვაშნარი ← ვაშლნარი, წაბნარე ← წაბლნარე, ეკნარე ← ეკლნარე, ცხინარე ← ცხილნარე ← რცხილნარე, თხინარე ← თხილნარე, კეჭნარე ← კენჭნარე[1].

არაა იშვიათი დისიმილაციის ნიადაგზე სუფისისეული **ნ** თანსმოვნის დაკარგვა, ან კიდევ ბგერათგადასმა, რის შედეგადაც ვიღებთ ახალ ფორმებს: თხმელარი ← თხმელნარი, ლუკუმფხარი ← ლუკუმფხნარი, მამულარი ← მამულნარი, ჩქოლარი ← ჩქოლნარი, ისლარე ← ისლნარე, წაბრალი (//←წაბლარი) ← წაბლნარი, ჩხამნარა//ჩხამრანა და სხვ. იშვიათად **-ნარ** სუფიქსს დაერთვის **-ა**, რომელსაც მატოპონიმებელი ფუნქცია უჩანს: თხმელნარა, ლეკნარა, ჩხავნარა (უფრო დაწერ. იხ. ქვემოთ).

---

[1] ს. ჯენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 54-55 (ლ, რ-ს დაკარგვას ხსნის)

და ბოლოს ერთი გარემოება: **-არ** ბოლოკიდურიან ტოპონიმებში, როგორიცაა **კურკანტლარი, მამულარი,** ი. მეგრელიძე გამოყოფს ლაზურ-მეგრული სუფიქსს **-არ**[1], რომელიც, როგორც ა. შანიძეს აქვს გამორკვეული, გამოხატავს წარმომაელობას, იგი წარმოადგენს ქართული **-ელ, -ურ** სუფიქსების სემანტიკურ ეკვივალენტს. როგორც ზემოთ დამოწმებული მაგალითებიდან ხდება ცხადი, ეს **-არ -ნარ** სუფიქსის ნაშთია: თავკიდური **ნ** იკარგება ფუძისეული **ლ** ან **რ** თანხმოვნების მეზობლობისას. მოვიყვანთ სხვა მაგალითებსაც: **თხილარე** (ფერდობი, ს. ქადაგოური, წითელი გორი) ← თხილ-ნარ-ე, **ცხემლარაი** (ფერდობი, სოფ. ორაგვე) ← ცხემლ-ნარ-აი... შესაძლებელია ამავე პოზიციაში (**ლნ, რნ** კომპლექსები) დაიკარგოს ფუძისეული **რ, ლ** და მაშინ ასეთ ფორმებს მივიღებთ: **ცხინარე** (ტყე, ს. თავპანრა, ქვემო ერკეთი) ← ცხილ-ნარ-ე, **ცხემნარე** (ტყე, ს. აგარაკი) ← ცხემლნარა, თხინარე (4-გან), **თხინარა** (3-გან), **თხინარაი** ← თხილნარე, თხილნარა. მაშ ასე, მამულარისა და კურკანტალის ამოსავალი ფორმები უნდა იყოს მამულ-ნარ-ი და კურკანტ-ნარ-ი (→ კურკანტლარი).

§3 -ოვან

რთული **-ოვან** სუფიქსი (←ოვ+ან) დაერთვის არსებით სახელს, აწარმოებს ზედსართაგს და აღნიშნავს რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობას. დიალექტებში წარმოდგენილია ფონეტიკური ნაირსახეობებით: **-ვან, -ონ** (ვა → უ), **-ოან, -მან** (← ვან), **-ევან**[2].

-ოვან ძველ ქართულშივე აქტიურად გამოიყენებოდა. ი, აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ მრავლადაა

---

[1] ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[2] ბ. ჯორბენაძე, მორფემების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 348-349.

სათანადო მაგალითები: ძნელოვანი, ღელოვანი ყუაე-ილო[ე]ანი, ცხემლოვანი, ციხოვანი, ცისფეროვანი, ხალო[ვ]ანი, ხელო[ე]ანი და მრ. სხვ. **-ოვან** სუფიქსიანი სახელები ჩვეულებრივ აღნიშნავენ ადგილს, სადაც ფუძით აღნისნული საგანი, ობიექტი მდებარეობს. „ღირღლოვანი“ ოღროჩოღროიანი საგანი, ობექტი მდებარეობს. „ღირღლოვანი“ ოღროჩოღროიანი ადგილია. X საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ერთგან ეკითხულობთ: „ხოლო სათესაე ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს: არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა“.

-ოვან (და მისი ვარიანტები) ხშირია აღმ. საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს ღიალექტების ტოპონიმიაში. მაგალითად, თხილოვანი, კილდუანი, კოტრუანი (← კოტოროვანი), მაღლოვანი (არაგვის ხეობის ფშავში), ჭინჭროვანი, ეკლოვანი (მთიულეთში), ლეკოვანი, ღელოვანი (ერწო-თიანეთში), ჭილოვანი, ჭალოვანი, ლეღვანი (ზემო იმერეთში), ზემო აჭარის ტოპონიმიაში აღნიშნული სუფიქსების თავკიდური ო ხმოვანი არა ჩანს: ყორვანი, ლელვანი, თხილვანა, თელვანა, ბალვანა[1].

გურიის ტოპონიმიაში გაბატონებულია **-ვან** ვარიანტი: თელვანი ← თელა, ურთხვანი ← ურთხელი, თეთრიშვანი ← თეთრიშა (ვაზის ჯიშია ერთგვარი). სხვა ვარიანტი იშვიათია: **-ოვან**: თელოვანი – თელა, მაღლოვანი ← მაღლარი, **-მანე**: კუდმანე//კუდვანე//კუდანე – კუდი; **-უან**: კაპრუანი – კაპარი (სეა, საჯონჯოლე), კამუანი – კამური (ვაზის ჯიშია); **-ონ**: თეთრიშონა – თეთრიშა (ვაზის ჯიშია); -ან: თეთრუშანე –

[1] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1992, გვ. 28.

თეთრიშა (ვაზი); -უნ: ატამუნაი – ატამი, ატამუნე – ატამი, კალამუნაი – კალამი (ბამბუკი).

-ოვან (და მისი ვარიანტები) დაახლოებით თანაბრადაა გავრცელებული ზემო და ქვემო გურიის ტოპონიმიაში. საინტერესოა, რომ **-ოვან** სუფიქსს ზოგ შემთხვევაში ენაცვლება ამავე ფუნქციის მქონე **-იან**. ამის შედეგია ტოპონიმიაში დადასტურებული ასეთი პარალელური ფორმები: ურთხვანი//ურთხლიანი ← ურთხელი, თელვანი//თელიანი ← თელა, გულვანი//გულიანი ← გული.

§4. -ოსან

-ოსან სუფიქსი სიძველითაც და ფუნქციითაც **-ოვან-ის** გვერდით დგას. **-ოსან** რთული შედგენილობის სუფიქსი ჩანს: **-ოს** და **-ან**. გაურკვეველია **-ოს** ელემენტის ეტიმოლოგია: **-ან** იმავე რიგისა უნდა იყოს, რაც **ი[ვ]-ან, -ოვ-ან** სუფიქსებშია წარმოდგენილი[1]. გურიის ტოპონიმიაში იგი თითქმის არ გამოიყენება. გვაქვს ერთადერთი ტოპონიმი **თეთროსანი**, რაც დასახელებული უბნის სახელწოდებაა სოფელ კალაგონაში (ჩოსატაურის რ.), ეს სახელი შეიძლება იმავე შინაარსს შეიცავდეს, რასაც სოფ. ხუცუბნის ტოპონიმი თეთროსანი, რომელსაც მკვლევარი ა. იოსელიანი აკავშირებს თეთრი ანუ წმინდა გიორგის კულტთან[2].

---

[1] ბ. ჯორბენაძე. მორფემების ლექსიკონი. გვ. 353.

[2] ა. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

§5. -იან

-იან რთული სუფიქსია (←-ივ-ან ან ← -ევ-ან). მისი ძირითადი დანიშნულებაა ყოლა-ქონების გამოხატვა. გადააზრების შეღეგად შეძენილი აქვს სხვა ფუნქციებიც, რაც დეტალურადაა გაანალიზებული „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ – გვ. 214-216. აღნიშნულ სუფიქსს ფართო გამოყენება აქვს ტოპონიმიაშიც. განსაკუთრებით პროდუქტიულია იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებში, კერძოდ, ერწო-თიანეთში, სადაც იგი „მხოლოდ მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმებში გეხვდება[1]. მთიულეთ-გუდამაყარშიც -იან, „... როგორც წესი აწარმოებს მცენარეულ ტოპონიმებს (? რ.ძ.) სახელწოდებაში ამ სუფიქსით მინიშნებულია ამა თუ იმ მცენარის „ქონა“, ამა თუ იმ ადგილას“[2]. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ -იან გვხვდება სხვა ფუძეებთანაც: ბეჟანიანი – უბანი სოფ. ბურსაჭირში, მამუკიანი – ნასახლარი ამავე სოფელში, კლდიანაი – გორი სოფ. კიტოხში, ქვიშიანა – მთა სოფ. ლუთხუბში, ჩიბუხიანი – წიფლის ხე სოფ. ანანურში (გ. ხორნაულს ასეთი განმარტება ჩაუწერია: „შაუპოერის გორაზე დგას ტყეში დიდი წიფელი, ერთი ტოტი ისე აქვს, თითქოს ჩიბუხის ტარიაო“) და სხვ. ფშაურის ტოპონიმიაში -იან სუფიქსიანი სახელებისათვის ამოსავალია არა მარტო არსებითი სახელები, არამედ ზედსართავებიც[1].

დასავლეთ საქართველოს ქართულენოვან რეგიონებში, კერძოდ, ზემო იმერეთსა და ზემო აჭარაში, ხშირია -იან სუფიქსიანი სახელწოდება. გურიის ტოპონიმიაში მათი რაოდენობა ორ ასეულამდეა. მათი ერთი ნაწილი გამოხატავს აღვი-

---

[1] ვ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 46.

[2] გ. ხორნაული, მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 46..

ლის ნიშან-თვისებას. მაგალითად, ოთხპექტარიანი, ორმწკრიევიანი, ჯვრიანი, აბანოიანი, ჭაიანი, ჭიშკრიანი, ჭალიანი, სილიანი, მაზუტიანი, გოროხიანი, მამულიანი, წისქვილიანი, ვენახიანი, ვაზიანი... მაგრამ, თუკი ამოსავალი ფუძე მცენარის სახელია, მაშინ უფრო მოსალოდნელია, რომ ამ მცენარის სიმრავლე, კრებითობა იგულისხმებოდეს: ეაშლინი, მუხიანი, ნაძვიანი, სსმარტლიანი, სხლებიანი, ჭადრიანი, ოუტრიანი, ნიგვზიანი, ტყემლიანი, თელაიანი, ლელეებიანი, ტუნგოიანი და ა.შ. მცენარის სახელი ჩანს 120-ზე მეტ **-იან** სუფიქსიან ტოპონიმში.

-იან სუფიქსი, წესით, ბედსართავ სახელს უნდა აწარმოებდეს. მართლაც, მაგალითად, მთიულეთში გვხვდება ტოპონიმები, რომლებშიც **-იან** სუფიქსი ბედსართავს აწარმოებს: ღორღიანი სევაი – ხევი სოფ. ბურსაჭირში, კლდიანი მთა – მთა ამავე სოფელში, ღარიანა კლდეები – კლდეები სოფ. საჩალის ჭალაში, წყლიანი ხევი – ხევი სოფ. ფახვიქში და სხვ. მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს გურიის ტოპონიმიაშიც: **ბურკიანი კვიჭიჭე** – ტყე სოფ. თხილაგანში, **ეკლიან ვაკე** – საძოვარი ბახმაროში, **ვარდიანი ქვაი** – ქვა სოფ. გურისტყეში და სხვ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, **-იან**, და **-ნარ** სუფიქსებს ზოგ შემთხვევაში ერთნაირი ფუნქცია უჩანს[2]. მართალია, ტოპონიმთა პარალელურ ფორმებში ისინი არ დასტურდება, მაგრამ, არაა იშვიათი ერთი და იმავე ფუძისაგან წარმოქმნილ სახელწოდებებში, მაგალითად, გვაქვს როგორც ნაძვნარი (5-გან), ისე ნაძვიანიც, როგორც წიფნარი (10-გან), ისე წიფლიანი (3-გან), როგორც წყაენარე (3-გან), ისე წყავიანაი (4-გან) და ა.შ.

---

[1] ფ. მაკალათია, ფშაეის ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა I, თბ., 1976. გვ. 46

[2] რ. ძნელაძე, ტოპონიმიკური წარმოების ზოგიერთი საკითხი, რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები, თბ., 1983.

ერთსა და იმავე სოფელში შეიძლება შეგვხდეს როგორც **-ნარ**, ისე **-იან** სუფიქსიანი მიკროტოპონიმები. მაგალითად, სოფ. ქვიანის (ლანჩხუთის რ.) მიკროტოპონიმებია: **მსხლიანი** – სახნავი, **მაზუტიანი** – სახნავი, **საცივიანი** – გორა, **წიფნარი** – სახნავები, **ლელვნარი** – გორა, **როკნალი** – გორა და სხვ. **-იან -ნარ** სუფიქსების მონაცვლეობა სხვა რეგიონების ტოპონიმიაშიც შეიმჩნევა.

-იან მაწარმოებელი ზოგ შემთხვევაში კრებითობაზეც რომ უნდა მიუთითებდეს, ეს შენიშნულია ზემო აჭარის ტოპონიმიურ მასალაზე დაყრდნობითაც. მ. ქამადაძე წერს: „შემთხვევითი არაა, რომ **-იან** სუფიქსით გაფორმებული ზოგიერთი სახელწოდება სხვაგან შეიძლება **-ნარ//-ნარ-ა** ფორმანტითაც შეგვხდეს“[1]. მეორე მხრივ, გურულში ძალზე იშვიათია **-იან** სუფიქსის გართულება **-ებ** სუფიქსით, ან **-ებ-ისა -იან** სუფიქსით. **-იან** ამკარად კრებითობას გამოხატავს **-ებ** მრავლობითობის ნიშნის მომდევნოდ. ამას ტოპონიმთა პარალელური ფორმებიც ადასტურებს: **მანცქლებიანი//მანცქლნარი, სხლებიანი//მსხალნარი.**

-იან სუფიქსიანი წარმოება დამახასიათებელია ქვემო გურიის ტოპონიმიისათვის. იგი დამატებით საფუძველს ქმნის გურულის კილოკავური დაყოფისათვის (ისევე, როგორც **-ა** და **-ე** ტოპოსუფიქსები, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი).

§6. ებ

-ებ აწარმოებს არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს. ეს მისი ძირითადი და თავდაპირველი ფუნქციაა (იშვიათად, გარკვეულ შემთხვევაში იხმარება ზეღსართავ, რიცხ-

[1] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22

ვით და ნაცვალსახელებთან). როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად[1]. ეს თითქმის -ებ სუფიქსიან სახელებზეც, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ფუძით აღნიშნული საგნის სიმრავლეს აღნიშნავდნენ, მაგრამ თანდათანობით გადაიქცნენ იმ ადგილს საკუთარ სახელებად, ანუ ტოპონიმებად, სადაც ამ ფუძით აღნიშნული საგნები მდებარეობენ, იმყოფებიან.

გურიის -ებ სუფიქსიანი ტოპონიმები წარმოქმნილნი არიან ა) საზოგადო სახელთაგან; ბ) ანთროპონიმთაგან.

-ებ სუფიქსიანი ტოპონიმის ამოსავალ ფუძედ გამოყენებული საზოგადო სახელი შეიძლება გამოხატავდეს მცენარეს (ყველაზე ხშირი შემთხვევა), სმელეთის დადებით ან უარყოფით ფორმებს, მიწის სახეობებს, ნაგებობებს და სხვ.

მუხები, მსხლები, ვაშლები, ლეღვები, მანცქლები სერები, ტერასები, კოერები, კენჭები, თეთრკტიები, მსხალწითელები, გძელი ჩები, გრძელრიაღები, საბოლოკიები, ომანოები, ტრანშეკბი, ნალიები, წისქვილები, დაბები ...

ამგვარ ტოპონიმებს არაიშვიათად ახლავს მართული მსაზღვრელი: იასონის წყავები, შუშანეს გორები, ჯიქიების აკაციები, ცემენტის ბოგები, ელიოტის ქვები, იღორაის ტერასები, ოლიეს ბამბუჯები, ნოეს ნიგვზები ...

საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც -ებ სუფიქსიანი კომპოზიტური ტოპონიმების მსაზღვრელი კომპონენტი რიცხვითი სახელია: ორნიგვზები ← ნიგოზი, ოთხპანტები ← პანტა.

პ. ჯაჯანიძის დაკვირვებით, -ებ სუფიქსი ზოგ შემთხვევაში გამოხატავს გეოგრაფიული ობიექტის სიდიდეს (და არა მრაე-

[1] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 137-138.

ლობითობას, კრებითობას[1]. ამ თვალსაზრისით ჩვენ სპეციალურად დავაკვირდით საკვლევ მასალას, მაგრამ უდავო მაგალითებს ვერ მივაგენით. მეორე მხრივ, ისეთი იშვიათი მაგალითი, როგორიცაა – **სასირე//სასირები** (ტყე, შეფენება სოფ. განახლებაში), ბადებს ეჭვს, **-ებ** ხომ არაა გამოყენებული მატოპონიმებელი ფუნქციით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **-ებ** სუფიქსიანი ტოპონიმების ერთი ნაწილისათვის ამოსავალია ანთროპონიმები, ჩვეულებრივ, გვარი, იშვიათად ჯგუფური მეტსახელი. ფუძედ გამოყენებულ გვარებს აქვთ დაბოლოება: **-შვილი, -ძე, -ია, -უა** (ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ **-ნებ**, გარდა ერთი გამონაკლისისა, მხოლოდ ძე-ზე ღაბოლოებულ გვარებს დაერთვის. ამაზე ცოტა ქვემოთ): მგალობლიშვილები, გოგიშვილები, ეაჩეიშვილები, ცინცაძეები, ანთაძეები, ლორიები, მარშანიები, ჯღერიები, თოდუები, გაგუები...

ქვემოთ დასახელებული მიკროტოპონიმები თავდაპირველად შტოგვარებს, მეტსახელებს წარმოადგენენ, შემდეგ კი იმ ადგილის სახელები გახდნენ, სადაც ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ: კამუზნები, ბუტები, კვარიები, ქაიდელები, ცეხვები და სხვ. ისევე, როგორც გვარები, ეს მეტსახელებიც თავისუფლად შეიძლება ვიხმაროთ მეტყველებაში არატოპონიმიკურ კონტექსტში: **კვარიები** სოფლის კუთხეა ზემო ფარცხმაში. მაგრამ როცა ვინმე იტყვის, კვარიებს ოზურგეთში შევხვდიო, აქ ამ სიტყვას კრებითი მნიშვნელობა აქვს. იშვიათად **-ებ** სუფიქსი ემატება წარმომაყლობის სახელს და ვიღებთ კრებით სახელს, რომელიც მიკროტოპონიმად ქცეულა. სოფელ ლესაში ერთ-ერთ კუთხეს **გაღმიელები** ეწოდება.

---

[1] პ ჯაჯანიძე, წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1976.

გურიის ტოპონიმიაში ბევრად მეტია ისეთი შემთხვევა, როცა -ებ ახლავს -ნა პრეფიქსს: **ნაწისქვილები, ნაჩაიაები, ნაეკლესიები, ნაჯიხურები, ნაბოსლები, ნაფარეხები**... სადაც -ებ ცვლის -ევ-ს. ხოლო სხვა შემთხვევაში ნა-ებ მიმღეობას აწარმოებს: **ნა-დინ-ებ-ი, ნა-ტან-ებ-ი**...

§7. -ნ-ებ

-ნ-ებ მრავლობითობის გამომხატველ რთულ სუფიქსად ითვლება, რომელიც შედგება **-ნ** და **-ებ** სუფიქსებისაგან. აღნიშნულია, რომ **-ნ-ებ** გვხვდება გურულში, ქვემოიმერულში, აჭარულში... თავს იჩენს ქართლურში, მესხურ-ჯავახურში...[1]

აღმოჩნდა, რომ გურიის ტოპონიმიაში **-ნებ** რთულ სუფიქსი (გარდა ერთადერთი გამონაკლისისა — კეშელაენები, ჩვეულებრივ მეტყველებაში კი ეა-ზე დაბოლოებული გვარების დიდი ნაწილი სწორედ -ნებს-ს დაირთავს) დაერთვის მხოლოდ ძე-ზე დაბოლოებულ გვარებს, ამასთანავე, მოკვეცილია ბოლოკიდური -ე: ბერაძნები, გიორგაძნები, დოლიძნები, გურიელიძნები, ახალაძნები, კვაჭანტირაძნები, მარგალიტაძნები, უშვერიძნები, ცენტრაძნები და სხვ.

ჩვენი ვარაუდით, გურულში თავდაპირველად გვარსახელისაგან მრ. რიცხვის ან კრებითობის გამოსახატავად გამოყენებული უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, **-ნ** ან **-ენ** სუფიქსი. **-ებ** სუფიქსის ფართოდ გავრცელების შემდეგ იგი დაერთო უკვე მრავლობითი (თუ კრებითი) შინაარსის მქონე სახელს ბერაძე-ნ-ი → ბერაძ-ნ-ებ-ი და ა.შ. დროთა განმავლობაში **-ნებ** და-

[1] ბ. ჯორბენაძე, ნ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

მოუკიდებელ რთულ სუფიქსად იქცა და ღღემღე ფუნქციონირებს (შდრ. ს-ეულ).

§8. -ნ

ბრაელობითობის უძველესი სუფიქსი **-ნ** ტოპონიმიაშიც ამავე ფუნქციითაა ცნობილი, თუმცა კი ზოგი მკვლევარის აზრით, მას, ისევე, როგორც **-ებ** სუფიქსს შესაძლოა მატოპონიმებელი ფუნქციაც მოეპოვებოდეს. მისი ხმარება დასაელეთ საქართველოს დიალექტებში იშვიათია. შეიძლება დავასახელოთ ბემო იმერეთის ტოპონიმიიდან: **ტბანი, ფათელნი,... ზემო აჭარის ტოპონიმიიდან ტბანი, გომანი, გვალანი...**

გურიის ტოპონიმიაში გვაქვს ერთადერთი **იარნალნი** – ყერდობი სოფელ ჯაპანაში (ლანჩხუთის რ.), ხომ არ მიმდიანრეობს საერთოდ **-ნ** აღმოსაელეთ საქართველოს, ხოლო **-ებ** დასავლეთ საქართველოს დიალექტური წრიდან?.

§9. -თ

ა. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქართულში, მოგვეპოვება ერთადერთი სპეციფიკური ტოპონიმიკური მაწარმოებელი (ე.წ. ტოპოფორმანტი): „საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად მოიპოვება სუფიქსი **-ეთ**, რომლის ვარიანტია **-ათ**. ეს **-ეთ** შეიძლება გაძლიერებულ იქნეს დანიშნულების პრეფიქსით (სა-ეთ). აქვეა აღნიშნული, რომ ეს **-ეთ** „არის ჩვეულებრივი და ყველაზე გავ-

რცელებული სახე გეოგრაფიულ სახელთა საკუთარი მაწარმოებლებისა, ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელს...[1]

უფრო ადრე თ თანხმოვანიანი ბოლოსაროთის წარმომავლობისა და დანიშნულების საკითხებს შეხებიან მ. ბროსე, ნ. მარი, ს. ჯანაშია, ვ. დონდუა, ვ. თოფურია... საბოლოოდ გაზიარებულია ის შეხედულება, რომ -ეთ (და მისი ვარიანტები: -ეთ, -ით, -ოთ, -უთ), რომელიც უძველესი მაწარმოებელია გეოგრაფიული სახელწოდებებისა, თაცდაპირველად გამოხატავდა მრავლობითობას, კრებითობას[2].

ს. ჯანაშია -ათი, -ეთი, -ითი, -ოთი, -უთი დაბოლოებებში ძირეულ ელემენტად გამოყოფდა მხოლოდ თ თანხმოვანს და მას უკავშირებდა მეგრულ ლექსიკურ ერთეულს თი[3]. ხოლო ეს თი არის „სახლი, ოჯახი, გვარი, მეთაური[4]. ხოლო -თა სუფიქსი თავდაპირველა წარმოადფენდა მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომელიც თანდათანობით ადგილის სახელთა მაწარმოებლად იქცა[1].

თ თანხმოვნის შემცველ სუფიქსებთან დაკავშირებით „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის" ავტორებს რამდენადმე განსხვავებული შეხედულება აქვთ. მათი აზრით, უთუა მხოლოდ -ეთ-ის სუფიქსობა. იგი „დაერთვის ეთნიკურ სახელებს და აწარმოებს ტოპონიმებს (კუთხის ან ქვეყნის სახელწოდებებს).... ორ შემთხვევაში გამოიყენება სა- პრეფიქსთან ერთად: სა-ფრანგ-ეთ-ი, სა-ბერძ-ეთ-ი

---

[1] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973

[2] თ. ბურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961, გვ. 144.

[3] ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 152.

[4] ი. ყიფშიძე, Граматика мингельского языка, Ленинг., 1914, с. 242.

(ანალოგითაა სა-სომხეთ-ი, შდრ. სომხეთი). ისტორიულად აწარმოებდა კრებითი მრაელობითობის ფორმებს: პაელ-ეთ-ი – პაელე და მისი მიმდევარნი". პოეტურ მეტყველებაში გამოიყენება ფიქტიური ტოპონიმების საწარმოებლად: გზ-ეთ-ი („გზიანი ადგილი"), ბნელ-ეთ-ი, შავ-ეთ-ი, სულ"-ეთ-ი... გვარსახელების მიხედვით აწარმოებს სოფლის სახელწოდებებს: სიმონ-ეთ-ი (შდრ, სიმონი, სიმონიშვილი...), დარჩი-ეთ-ი (შდრ. დარჩია, დარჩიძე)[2]. აქვე -ათ სუფიქსთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ მას გამოყოფენ (ხაზგასმა ჩვენია – რ.ძ.) გეოგრაფიულ სახელთა (ტოპონიმთა) მაწარმოებლად: მამათ-ი, ბობყვ-ათ-ი, ვან-ათ-ი (შდრ. ბან-ი, ვან-ეთ, ვან-თა)... **-ათ** სუფიქსს თვლიან **-ეთ** სუფიქსის განურ შესატყვისად. **-ათ** სუფიქსის გამოყოფა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად სადაოა"[3]. **-ით** სუფიქსზე ნათქვამია, რომ იგი იეარაუდება ერთი რიცის ტოპონიმებში[4].

-ოთ და **-უთ** მაწარმოებელ სუფიქსებად არაა ჩათვლილი და არცაა შეტანილი „მორფემების ლექსიკონში", სამაგიეროდ **-თ (//-თ-ა)** სუფიქსთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ბობოყვა-თ-ი, ბობო-თ-ი, მუხუ-თ-ი ტიპის ფორმებში **-ათ, -ოთ, -უთ** სუფიქსების გამოყოფა პრობლემატურია[5]. ი. მეგრელიძეს თავის ცნობილ ნაშრომში „Лазский и мегрельскиций слой в гурийском" ორი პარაგრაფი აქვს მიზღვნილი **-ათ, -თ** ლაზურ-მეგრული სუფიქსისადმი[6], სადაც დასაწყისშივეა ნათქვამი „Оформ-

---

[1] ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, ჩვენი მეცნიერება, № 11-12, 1923, გვ. 10.

[2] ბ. ჯორბენაძე... მორფემების ლექსიკონი, გვ. 137-138.

[3] ბ. ჯორბენაძე... მორფემების ლექსიკონი", გვ. 26.

[4] იქვე, გვ. 229.

[5] იქვე, გვ. 183.

[6] ი. მეგრელიძე დასახ. ნაშრომი, §19, §20.

ление - а о → о тоже лазское-мегрельское"[1]. წიგნში გაანალიზებულია გურული ტოპონიმები: ჯუმა-თ-ი (← ჯუმა-ათ-ი ჯუმა, ლაზ. „ძმა"), გეაბრა-თ-ი (← გეაბრა-ათ-ი. გუმბრა გურ. „გიმრა"), ბულღეა-თ-ი, თოფურია-თ-ი, იმნა-თ-ი და მრავალი სხვ. დასახელებული მაგალითები მე-19 პარაგრაფიდანაა. მომდევნო პარაგრაფში დამატებითაა დასახელებული კიდევ რამდენიმე ტოპონიმი: ბურნათ-ი, გვარა-ყათ-ი, თიანათ-ი. თეკლათ-ი, თინათ-ის ღელე, მამათ-ი, შინოყვათ-ი, ჯონჯუათ-ი//ჯურჯუათ-ი[2].

-ათ სუფიქსზე დამთავრებულ ტოპონიმთა მარაგი გურიაში ამით არ ამოიწურება. მოგვყავს ჩვენ მიერ მოპოვებული დამატებითი მასალა: **ამანათი** – სახნაი სოფ. ლესაში, ქვემო ჩიბათში, **ბერნათი-ტყე** სოფ. ფარცხმაში, **ბუჭუნათი** – ჩაის პლანტაცია სოფ. გონებისკარში. სულ 24 ტოპონიმი. თითოეულ ამ სახელწოდებას ცალკე და გამოწვლილვით სჭირდება შესწავლა. ზოგადად კი იმის თქმა შეიძლება, რომ გურიის **-ათ** სუფიქსიან ტოპონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი სემანტიკურად ანთროპონიმთან ჩანს დაკავშირებული.

-ეთ უძველესი ქართული სუფიქსია. მასზე ზოგადად ზემოთ გვექონდა საუბარი. გურიაში **-ეთ-ზე** დაბოლოებულ ტოპონიმთა რაოდენობა ცხრა ათეულის ფარგლებში მერტყეობს **-ათ-ზე** დაბოლოებული – 7 ათეულის ფარგლებში (აქაც და ყველგან ვერყდნობით ტოპონიმიკური ექსპედიციების შედეგად ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას). სხვაობა ამ სუფიქსების გამოყენებაში ცოტათი განსხვავდება. შედარებისათვის მოვიყვანთ ზემო იმერეთის მასალას. ზემო იმერეთში -ათ დაბოლოება უჩანს 70-მდე ტოპონიმს, ხოლო -ეთ – ორჯერ მეტს. -ეთ სუფიქსი ხშირად გეხვდება ზემო აჭარის ტოპონიმიაშიც, სადაც იგი უპირა-

[1] ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 68.
[2] იქვე, გვ. 75-76.

ტესად გვარსახელებს დაერთვის. -ეთ სუფიქსის წარმომაელობის საკითხს არ განვიხილავთ, მაგრამ გავიხსენებთ ორიოდე მოსაზრებას: 1) „ეთ სუფიქსი ფუნქციით და, ალბათ, მასალობრივადაც უდრის -ედ-ს. აქედან გამომდინარე, ტბეთი იქნება ტბიანი ადგილი, ხოლო სვანეთი – „სვან მოსახლეობიანი[1]. 2) სხვა მოსაზრებით -თ თანხმოენის წინა ხმოენები გოგიერთ შემთხვევაში ეკუთენის ფუძეს. ეს იმას ნიშნაეს, რომ ეს -თ წარმომაელობით მრ. რიცხვის ნიშანია, ხოლო ტოპონიმი საზღერულდაკარგული მსაზღერელი სახელია[2]. აღ. ღლონტი აღნიშნაეს: „-ეთ, ტოპონიმთა მაწარმოებელი უძველესი მორფემა, თ ელემენტის ეოკალიზებითაა მიღებული და მრავლობითობის მაჩვენებელია“[3]. უფრო ადრე კი, -ეთ-იან ტოპონიმთა სისტემასა და არეალთან დაკავშირებით აღნიშნულ აეტორს ნათქვამი აქვს: -ეთ და მისი ვარიანტები (-ათ, -ით, -ოთ, -უთ) ქმნიან ქართეელურ ტოპონიმთა სისტემას... არეალი -ეთ მორფელებისა ერთობ ერცელია, მოიცავს საქართველოს დღეანდელ მიწა-წყალს მთიანად. ზოგ კუთხეში მეტად, ზოგან ნაკლებად გეხედება“[4]. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და აქაც გავიმეორებთ, რომ გურიის ტოპონიმიაში ცხრა ათეულზე მეტი -ეთ დაბოლოებიანი სახელია. საჭიროდ ვთელით მათ ჩამოთელას (არ შეგეაქვს მხოლოდ – საქარი-ქეთი, ონჭიკეთი//ონჭიქედი, მოქლოქეთი, საძელიქეთი//საძელიქედი – რომლებიც ქეთი ←

---

[1] არნ. ჩიქობაეა. აღგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 70.

[2] ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა//-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, ტ.III, 1959, გვ. 144-145; ვ. ღონდუა, „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თსუ შრომები, ტ. XXXIII 1948; ფ. მაკალათია, არაეის ხეობის ფშაეის ტოპონიმიკა, თბ., 1976წ.

[3] ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, III, თბ., 1981, გვ. 6.

[4] ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975, გვ. 15.

ქედი): **აკეთი** -ზემო და ქვემო აკეთი სოფლებია ლანჩხუთის რაიონში. **ანჯიეთი** – კუთხე სოფ. ყელაში (ლანჩხუთის რ.), **ბაბანეთი** – უბანი სოფ. კაპრუანში (ლანჩხუთის რ.) სულ 83 ტოპონიმი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რამდენიმე მომენტი.

ა) ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ამოსავალია ანთროპონიმი – გვარის ფუძე, პირსახელი ან მეტსახელი (ზოგი მათგანის აღდგენა მხოლოდ ამ ტოპონიმებით შეიძლება, ისე აღარ იზმარებიან); ესენია: აკე, ანჯია, ბანანა, ბასილი, გოგია, გოგორი, გრიგოლ//გრიგოლე, ერკე[ნა], იანი, ვაჩა//ვაჩე, კუდუნა, ლაშხი, მაკარი, მაჩხვარია, მეწია, ტუტკია, ფამფალია, ფაცილე//ფაცირე, ფოცხვერი, ჭანია, ჭაჭია, ხორა...

ბ) -ეთ სუფიქსიანი 83 ტოპოლექსემიდან უმეტესი, კონკრეტულად კი 38, მოდის ტერიტორიულად შედარებით ნაკლებ ლანჩხუთის (ტერიტორია 533,3 კმ^2) რაიონზე, – 23 ჩოხატაურის (ტერიტორია: 834,3 კვ.კმ^2) რაიონზე და 22 ოზურგეთისაზე (ტერ. 675 კვ კმ). ამას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ ლანჩხუთის რ. ეკვრის სამეგრელოს, სადაც საკმაოდ პროდუქტიულია **-თი**, რაც აწარმოებს გვართა განაყოფის სახელებს და ასეთი სახელები ხშირია ტოპონიმიაშიც[1]. ზემოთ ჩვენ უკვე დავიმოწმეთ მკვლევართა მოსაზრებანი იმასთან დაკავშირებით, რომ **-ეთ** სუფიქსის სმოვნითი ნაწილი შესაძლოა ზოგად შემთხვევაში ფუძისეული იყოს. ეს მით უფრო რეალურია ზემოგურულისათვის, სადაც პირსახელებს ჩვეულებრივ, აქვთ **-ე** დაბოლოება.

გ) ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ **-ეთ** დაბოლოებიან ტოპონიმთა ერთი ნაწილი ორმაგი წარმოებისაა: კოლსური **ო-ან** ქართული **სა-** პრეფიქსებით ნაწარმოებ სასელებს ალ-

[1] ჯ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 86-92.

ბათ დროთა განმავლობაში დართვია -თ სუფიქსი. წინამავალი ე სათანადო პრეფიქსებს ახლავს (იგივე შეიძლება ითქვას სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი ტიპის სახელებზეც, სადაც გავრცელებული მოსაზრების თანახმად, -ეთ გამოიყენება სა- პრეფიქსთან ერთად). ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ამ -თ სუფიქსს, რომელიც ისტორიულად ტოპოფორმანტი უნდა ყოფილიყო, ალბათ, მატოპონიმებელი ფუნქცია აქვს.

დ) -ეთ დაბოლოებიან გურულ ადგილის სახელთა ერთი ნაწილი გაანალიზებული აქვს ი. მეგრელიძეს. ესენია: ოზურგეთი, ონჭიკეთი, ონჯალეთი//ონჯარეთი, ომფარეთი, მაჩხვარეთი, ბჟოლიეთი. კერძოდ, მაჩხვარეთთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ მისთვის შესაძლებელია ამოსავალი იყოს ლაგური [მ]ჩხვარი (← მაჩხვარი) „ღმის ღომი“, ხოლო ბჟოლიეთი განმარტებულია, როგორც „ბჟოლნარი“, „თუთნარი“. ე.ი. -ეთ(თუ – თ) სუფიქსი შეიძლება აწარმოებდეს ადგილის სახელს კრებითობის შინაარსით არაანთროპონიმთაგანაც.

-ით

როგორც უკვე აღინიშნა, **-ით** დაბოლოების სუფიქსობა საეჭვოდაა მიჩნეული. „მორფემების ლექსიკონში“ მითითებულია, რომ იგი მაწარმოებლად იყარაულება ერთი რიგის ტოპონიმებში[1]. ე.ი. „ივარაუდება“ და არა „წარმოადგენს“ ან „დაერთვის“. გურიის ტოპონიმიაში შვიდიოდე ერთეული მოგვეპოვება **-ით-ზე** დაბოლოებული: **გვირითი** – ვაკე სოფ. ჯუნმერეში (ლანჩხუთის რ.), **ნიგოითი** – სოფ. ლანჩხუთის რაიონში და სხვ.

---

[1] ბ. ჯორბენაძე. მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988. გვ. 229.

თუკი ჩავთვლით, რომ აქ სუფიქსია **-თ**, მაშინ რაღაა წინამავალი **-ი**? სასელობითი ბრუნვის ნიშნად მას ვერ ჩავთვლით! შესაძლოა **-ით** დაბოლოებიანი ეს ტოპონიმები კოლხური წარმომავლობისა იყოს, სადაც სახელობითი ბრუნვის ნიშანი უუბესთანაა შეზრდილი და მას დაეროვის **-თი**.

-ოთ, -უთ

აღნიშნული დაბოლოებანი გურიის ტოპონიმიაში ძალზე იშვიათია. ჩვენ მხოლოდ მაგალითების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით: **ფოლოთი** – საძოვარი სოფ. ჩომეთში (ჩოხატაურის რ.), **ჯოხოთი//ჯუხუთი** – სახნავი სოფ. ქვემო ჩიბათში (ლანჩხუთის რ. – იყოფა ორ ნაწილად: დიდი ჯოხოთი, პაწა ჯოხოთი, **ზრუგუთი** – სასაფლაო სოფ. ტელმანში (ლანჩხუთის რ.), **ლანჩხუთი** – ქალაქი, რაიონის ცენტრი, **ქაქუთი** – სოფელი ოზურგეთის რაიონში, **შუხუთი** – ზემო და ქვემო შუხუთი, სოფლები ლანჩხუთის რაიონში.

ლანჩხუთის ეტიმოლოგიები ცნობილია. ქაქუთი აჭარაშიც გეხვდება სოფლის სახელწოდებად ქობულეთის რაიონში, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოზურგეთისა და ქობულეთის რაიონების ეს სოფლები ერთმანეთის მეზობელი ერთეულებია. შუბე ყოფს მდინარე ჩოლოქი. ადრე ეს ერთი სოფელი იყო. თურქეთის მიერ ამ მხარის დაპყრობისა და მოსახლეობის გამაჰმადიანების შემდეგ ის ორად გაიყო და ნაწილები მოხვდა სხვადასხვა რაიონებში.

გურიის ტოპონიმიაში ფიქსირებული **-ათ, -ეთ, -ით, -ოთ, -უთ** დაბოლოებიანი ადგილის სახელებში ძირითადი მაწარმოებელი უნდა იყოს **-თ**, რომელიც სემანტიკურად უკავშირდება კოლხურ **თი**-ს.

§10. -თა, -ენთ

-თ(ა), -ეთ(ა) სუფიქსები გურიის ტოპონიმიაში ძალზე იშვიათია, ისევე, როგორც ზემო აჭარის ტოპონიმიაში მ. ქამადაძე მხოლოდ რამდენიმე სახელწოდებას ასახელებს: ბოერეთა, კობალთა, სხალთა, ქვაბთა, ხრამთა[1]... სოფელ იანეთში მიედინება მდინარე იანეთა, სოფ. ყელაში ფერდობია **ჭუნჭულეთა**, სოფ. ბომელთში კი ღელეს ეწოდება **ცილთა**, **შიმლოურთა** ტყეა სოფ. ინტაბუეთში, ბოგი **-თა** დაბოლოებიანი ტოპონიმი წარმომავლობით ალბათ საზღვრულდაკარგული შედგენილი სახელია (შდრ. სხალთა ეაკე-შუენება სოფ. შრომისუბანში). შედარებისათვის ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ **-თა** დაბოლოება პროდუქტიულია ბემო იმერეთის ტოპონიმიაში.

-ენთ მრავლობითი რიცხვის რთული სუფიქსია. გამოიყენება გვარსახელებში, გაერცელებულია რაჭულში[2] „დასავლეთ საქართველოს სხვა დიალექტებში იშვიათია, კერძოდ, ბემო იმერეთის ტოპონიმიაში ფიქსირებულია ერთადერთი სახელწოდება ამ სუფიქსით (სალიენთი), იშვიათია იგი ბემო აჭარის ტოპონიმიაშიც[3]: ხუციენთი, ცეცხლიენთი; შდრ. ოსმანიენთ სერები, ჰაითიენთ ღელე...

გურიის ტოპონიმიიდან შეგვიძლია დავასახელოთ **ჭალიენთი** – უბანი სოფ. ჩხაკოურაში, ჩოხატაურის რ. აქეე უნდა დავსძინოთ, რომ სოფელი ჩხაკოურა მთლიანად დასახლებულია ბემო აჭარიდან გადმოსული მოსახლეობით: სწორედ მაი მიერ

---

[1] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

[2] ბ. ჯორბენაძე, კობაიძე მ, მ, ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბ., 1988, გვ. 150

[3] მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

უნდა იყოს შერქმეული ამ ადგილისათვის ეს სახელი, რომელშიც ზემოაჭარულის თავისებურება აისახა.

§11. -ა, -ე

-ა მრავალფუნქციანია. იგი პრეფიქსიცაა, სუფიქსიც, სუფიქსი-მორფემოიდიც, ე.წ. პროსოდიული ხმოვანიც და სხვ. იგი გვხვდება როგორც ზმნურ, ისე სახელურ ფორმებთან. ყოველივე ეს დაწვრილებითაა აღნუსხული „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში". განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ორი განმარტება ამ სუფიქსისა:

1) „ა სახელადი სუფიქსი, რომელიც გამოხატავს რისამე მწონებლობას... გამოყენებული არის გეოგრაფიულ სახელებშიც (ტოპონიმებში): თხილიანა, ნოღელა[1].

2) „-ა სუფიქსი, რომელიც აწარმოებს სახელის კნინობითსაალერსო ფორმას. დაერთვის 1. საზოგადო სახელებს: ქალა, დედოფალა... 2. საკუთარ სახელებს: ნოდარა, მერაბა, სიმონა...[2]

წინასწარვე შევნიშნავთ, რომ თავისუფლად შეიძლებოდა -ა აფიქსის ფუნქციათა ჩამონათვალში ცალკე შეტანილიყო მისი ონომასტიკური დანიშნულება – საზოგადო სახელის გადაქცევა საკუთარ სახელად-ტოპონიმად ან ანთროპონიმად.

გურულ დიალექტში, ჩვეულებრივ, გვაქვს -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ორი ჯგუფი: 1. ბოლოკიდური -ა ფუძისეულია როგორც არსებით სახელებში, ისე მასდარებში: და, ძმა, ცა, ქვა, მამა, დედა, წყალობა, ცხოვრება, ქსოვა... 2. ბოლოკიდური -ა მქონებლობის ან კნინობითობის სუფიქსია[3].

---

[1] ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 523.

აქვე ისიცაა აღნიშნული, რომ „ქვემოგურულში ამ რიგის ყველა სახელი დაირთვის -ი ბრუნვის ნიშანს... ზემოგურულში ამ რიგის ფორმებთან სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ჩვეულებრივ, არ დასტურდება, მაგრამ შემორჩენილია მისი რეფლექსი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის სახით: ნაფოტაი → ნაფოტეი → ნაფოტე... ანალოგიურად სხვაობს საკუთარი სახელებიც: ქვემოგურული – გაბილაი, თამარაი; ზემოგურული გაბილე, თამარე (ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, ო. კახაძე, გ. იმნაიშვილი, ბ. საბაშვილი), ბოგჯერ -ე დაბოლოებიან სახელებს ისევ დაერთვის სახელობითის -ი (უპირატესად საკუთარ სახელებში): გაბილეი, თამარეი*, მაგრამ ზემოგურულისათვის ნიშანდობლივ მოცლენად ამას ვერ მივიჩნევთ“[1], მაგრამ ყოველივე ეს შეეხება ორ და მეტმარცვლიან სახელებს. ერთმარცვლიანები (ძმაი, დაი, თსაი, ჭრაი) ზემოგურულსა და ქვემოგურულში ერთნაირადაა წარმოდგენილი. მეორე მხრივ, -აი და -ე დაბოლოებანი ზემოგურული და ქვემოგურული კილოკავების ერთ-ერთ ძირითად სადიფერენციო ნიშნადაა მიჩნეული[2].

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში -ა სუფიქსის საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, თ. ზურაბიშვილი, ა. მანჯგალაძე, ო. კახაძე, ფ. მაკალათია, ა. პაპიძე, თ. სანიკიძე, მ. ტუსკია, პ. ცხადაია...). გამოკვლეული და დადგენილია ამ სუფიქსის სიტყვათწარმოებითი ფუნქციები. ფ.

---

* ჩვენი აზრით, გაბილეი, თამარეი ფონეტიკური პროცესის შუა საფეხურის გადმონაშთია (გაბილაი →გაბილეი→გაბილე) და არა სახელობითი ბრუნვის ნიშნის ხელმეორედ დართვის შედეგი.

[1] ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 524

[2] იქვე. გვ. 524.

მაკალათიას ეკუთვნის მოსაზრება მისი მასუბსტანტიეებელ – მატოპონიმებელი ფუნქციის შესახებ[1].

ჩვენ დავინტერესდით **-ა-ს** მატოპონიმებელი ფუნქცია რა სურათს ქმნის რეგიონების მიხედვით. ამ თვალსაზრისით გაეაანალიზეთ გურიის ტოპონიმები, რამაც გვიჩვენა, რომ **-ა** სუფიქსის დადგენილი ფუნქცია სიცოცხლისუნარიანია გურიის ტოპონიმიაშიც. მაგალითად, საზოგადო სახელის დონეზე გვაქვს – ჭილოფი, ტალახი, ტყემალი, ქვაბი, აკვანი. რეგიონის ტოპონიმიაში ვხვდებით: **ჭილოფა** – ვაკე, ს. სილაური (ოზურგეთის რ.), **ტალახა** – დაბლობი, ს. მაღალი ეწერი (ოზურგეთის რ.), გორი, მთა ს. ქვიანი (ლანჩხუთის რ.), საყანე, ს. ჩიბათი(ლანჩხუთის რ.), საძოვარი, ს. ძირჯუმათი (ოზურგეთის რ.); **ტყემალა** – ტყე, ს. ნიაბაური (ოზურგეთის რ.); **ქვაბა** – ჩავარდნილი ადგილი, ს. ვაკიჯვარი (ოზურგეთის რ.), ს. ჭანიეთრი (ოზურგეთის რ.), ქვაბური, ს. განთიადი (ჩოხატაურის რ.); **აკვანა** – საბანაო, ს. ქაქუთი (ოზურგეთის რ.), სერი, ს. გომი (ოზურგეთის რ.), ტყე, ს. ქვედა აჭი (ოზურგეთის რ.), საყანე, ს. შუშანდარი (ოზურგეთის რ.).

სიტყვები – ჭილოფა, ტალახა, ტყემალა, ქვაბა, აკვანა გურულში საზოგადო სახელად არ გაიცება, ისინი უნდა განვიხილოთ საკუთარი სახელის დონეზე, მოცემულ შემთხვევაში ტოპონიმიკურ დონეზე, ე.ი. **ა-ს** დართვამ ეს სიტყვები გამიჯნა საზოგადო სახელთაგან.

მაწარმოებელი **-ა** შეიძლება დაერთოს როგორც მარტივ ტყემალი (ტყემალა), ნიგოზი (ნიგოზა), აკვანი (აკვანა) ასევე ნებისმიერი წარმოების ფუძეებს და აწარმოოს მათგან ტოპონიმები: **ნიგზნარა** – ტყე, ს. ქაქუთი (ოზურგეთის რ.) (შდრ.

---

[1] ფ. მაკალათია, -ა სუფიქსის მასუბსტანტიეებელი-ნატოპონიმებელი ფუნქციისათვის ქართულში, ონომასტიკა, I, თბ., 1987წ.

ნიგვზ-ნარ-ი); **ნათორნალა** – ტყე, ს. ზემო აკეთი (ლანჩხუთის რ.), შდრ. ნათორნ-ალ-ილ; **ნაშვავება** – საყანე, ს. გაგური (ლანჩხუთის რ.), შდრ. ნა-შვაე-ებ-ი.

ცალკე აღებული ნიგვზნარი, ნათორნალი, ნაშვაევები შეიძლება შეეხეხდეს ადგილების სახელებად (ამის მაგალითები საკმაოდ გვაქვს). აქ მოდელი საზიაროა საზოგადო და საკუთარი სახელისათვის (ტოპონიმისათვის), მაგრამ ნიგვზნარა, ნათორნალია, ნაშვაევება გაიაზრება მხოლოდ საკუთარი სახელის დონეზე (ტოპონიმიკურ დონეზე). ამდენად, მოხმობილ მაგალითებში **-ა** სუფიქსი მიჯნავს (გამოყოფს) საკუთარ სახელებს საზოგადო სახელებისაგან.

-ა სუფიქსი შეიძლება დაერთოს მსაზღვრელ-საზღვრულის როგორც პრეპოზიციულ, ასევე პოსპოზიციორო წყობისას: **თეთრღელა** – ღელე, ს. ვაკიჯვარი (ოზურგეთის რ.); **გძელგორა** – გორი, ს. უკანავა (ოზურგეთის რ.); **დიდლეღვა** – ტყე, ს. ნიგოითი (ლანჩხუთის რ.); **ცხენიბურგა** – სერი, ს. იანეული (ჩოხატაურის რ.); **ტპაშავა** – ჩავარდნილი ადგილი, ს. მშვიდობაური (ოზურგეთის რ.), **წვერმაღალა** – მეურნეობა (ოზურგეთის რ.); **წყალწითელა** – ღელე, ს. ასკანა, ს. მშვიდობაური (ოზურგეთის რ.).

ამ ტოპონიმების გვერდით ენაში დასტურდება მსაზღვრელ-საზღვრულის შემდეგი წყვილები: თეთრი ღელე, გრძელი გორი, დიდი ლეღვი, ცხენის ბურგი, ტბა შავი, წვერი მაღალი, წყალი წითელი.

ზოგადენობრივი დონე

მსაზღვრელ-საზღვრული//მსაზღვრელ-საზღვრული+ა

ამათგან მოდელი: მსაზღვრელ-საზღვრული+ა (გრძელგორა, წყალწითელა, ცხნიბურგა) მხოლოდ საკუთარი სახელის (მო-

ცემულ შემთხვევაში ტოპონიმიკურ) დონეზე მოიაზრება ენისათვის.

ამრიგად, მიმოვიხილეთ რა სათანადო მაგალითები, დავძენთ, რომ -ა სუფიქსი გურულში აწარმოებს მიკროტოპონიმებს (არ იხმარება ოიკონიმებთა, როგორც ეს მარჯვედ არის შენიშნული (მიგნებული) სპეციალურ ლიტერატურაში[1] და აქვს მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქცია. იგი იხმარება როგორც მარტივ (ქვაბ-ა, აკვან-ა, ტალა-ხ-ა) ასევე ნებისმიერი წარმოების ფუძეებთან (ნიგზნარ-ა, ნათორნალ-ა), კომპოზიტებთან (ცხენიზურგა, ტპამავა, დიდღელვ-ა და სხვ.).

გურიის ტოპონიმიაში ჩვენი ყურადღება მიიქცია -ე-ზე დაბოლოებულმა მიკროტოპონიმებმა (ნაბადე, ქვაბე, კინჩხე, მუხამაღლე, შავფუხე და სხვ.).

ეს -ე დასანოლოება არა მხოლოდ ტოპონიმებში გვხვდება, არამედ საზოგადო და საკუთარ სახელებშიც:

საზოგადო სახელი	საკუთარი სახელი
დანა//დანე	ვახტანგი//ვახტანგე
ბაბა//ბაბე	ოთარი//ოთარე
ეზალა//ეზალე	თამარი//თამარე
ბაღანა//ბაღანე	იური//იურე
კეიჭიჭა//კეიჭიჭე	
სკვინჩა//სკვინჩე	

ამის შესახებ ს. ჯღენტი წერს: „თუ ზემო და ქვემო გურიისთვის დამახასიათებელი დაბოლოების წარმოების შესახებ დავსვამთ საკითხს, ცხადია, ისინი ერთი წარმოებისანი არიან,

[1] ფ. მაკალათია, -ა სუფიქსის მასუბსტანტიევებელ-მატოპონიმებელი ფუნქციისათვის ქართული, ონომასტიკა, I, თბ., 1987წ.

მაგრამ მასში გარკვეული დიფერენციაციაა მომხდარი ბგერი თი სახეცვლილების ნიადაგზე. ჯერ ერთი -აი ქვემოგურული (დაბოლოებას -რ.ძ.) ზემო გურულში შეესატყვისება -ე.

ზემო გურული	ქვემო გურული
ბაბა//ე	ბაბაი, ბაბეი
ბაღანა//ე	ბაღანაი

საკუთარი სახელი

ვახტანგა/ე	ბახტანგაი"[1]

ცოტა ქვემოთ ს. ჟღენტი შენიშნავს: თავისებურია გურულში საკუთარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები. ისინი განსხვავებული არიან იმის მიხედვით, აღნიშნავს დამცირებას, განდიდებას, ალერსსა თუ კნინობითობას. საკუთარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები სხვადასხვაა ზემო და ქვემო გურულის მიხედვით. მაგ., თუ ქვემო გურულში საკუთარი სახელები ირჩევენ -აი დაბოლოებას, ზემოგურულში მისი ეკვივალენტი -ე არის. ქვემო გურულში იტყვიან გაბილაი, ზემო გურულში გაბილე"[2].

როგორც ეხედავთ, ს.ჟღენტს შენიშნული აქვე დაბოლოება -ე-ს ფუნქცია, გამიჯნოს საკუთარი და საზოგადო სახელების დონეები (დღეს ზემო გურულში -ე სპორადულად საზოგადო სახელებშიც გვხვდება. ვფიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო საკუთარ სახელთა ანალოგიით უფრო -ა ფუძიან სახელებთან დანე, კეიჭიჭე, ეზალე. ამოსავალია დანა, კვიჭიჭა, ეზალა).

---

[1] ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 45.

[2] ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 65.

„ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ **-ე** არის 1) -ა სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა ქართული ენის ზოგ დიალექტში (ქვემო იმერულში, ზემოგურულში...): შავტარ-ე „შავტარა“; ცალთვალ-ე „ცალთვალა“... 2) კნინობითობას -ა სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა ქართული ენის ზოგ დიალექტში (ქვემოიმერულში, ზემოგურულში...) მელიტონიე „მელიტონა“, სპირიდონე „სპირიდონა“.... მიღებულია ასე: შავ-ტარ-ა-ი → შავ-ტარ-ე-ი (რეგრესიული ასიმილაცია) → შავტარ-ე (ბოლოკიდური -ი ხმოვანის მოკვეცით); ანალოგიური ცვლილება მოსდის ფუძისეულ -ა ხმოვანსაც: ბამბა-ი → ბამბე-ი → ბამბ-ე...[1]

ჩვენ შევისწავლეთ -ე-ზე დაბოლოებული გურიის მიკროტოპონიმები, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ **-ე** სუფიქსს ამ მაგალითებში მატოპონიმებელი ფუნქცია უჩანს. მაგალითად, საზოგადო სახელის დონეზე გვაქვს ჩვენ კინჩხი, შუბლი, ტალახი, უნაგირი, ბოსტანი, ქვიშნარი, ჯარგვალი, ხოდაბუნი და სხვ.

ტოპონიმებში ვხვდებით: **შუბლე**, გორი, ს. განახლება (ჩოხატაურის რ.); **კინჩხე** – მთა, ს. ჩომეთი (ჩოხატაურის რ.); **ტალახე** – ჭალა სათესი, ს. შუაგანახლება (ჩოხატაურის რ.); **უნაგირე** – გადასასვლელი (ჩოსატაურის რ.); **ბოსტანე** – ფერდობი, ს. მზიანი (მახარაძის რ.) **ჯარგვალე** – ფერდობი, სათესი, ს. შუა ფარცხმა (ჩოხატაურის რ.); **ქვიშნარე** – დასახლებული უბანი; ს. შუა განახლება (ჩოხატაურის რ.); **ხვადაბუნე** – ფერდობი, ს. ქვემოხეთი (ჩოხატაურის რ.).

შუბლე, კინჩხე, ტალახე, უნაგირე, ბოსტანე, ხვადაბუნე, ჯარგვალე, ქვიშნარე გურულში საზოგადო სახელად არ გაი-

[1] ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 119.

გება, ისინი უნდა განვიხილოთ საკუთარ სახელთა, მოცემულ შემთხვევაში ტოპონიმიკურ დონეზე.

-ე შეიძლება დაერთოს როგორც მარტივ (შუბლე, ტალახე, უნარიგე, კინჩხე) ასევე ნებისმიერი წარმოების ფუძეებს და უნარი შესწევს აწარმოოს მათგან მიკროტოპონიმები: **ნაისლარე** – ფერდობი, ს. ქვემოხეთი (ჩოხატაურის რ.); **ნაციხვარე** – გორაკი, ს. ქვემოხეთი (ჩოხატაურის რ.), ნაჯოგვარე – მთა, ს. შუა ფარცხმა, ვაკე, ს. შუა განახლება, ფერდობი, ს. გოგოლესუბანი (ყველა ჩოხატაურის რ.); **ნაპურალე** – შეფუნება, გორა, ს. ზემო ფარცხმა, ფერდობი, ს. ნაკადული (ყველა ჩოხატაურის რ.); **ნაშენებე** – ღელე, ს. განთიადი, ნასახლარი, ს. წითელი გორი (ყველა ჩოხატაურის რ.), **ლეღვნარე** – პატარა მთა, ს. ჩომეთი (ჩოხატაურის რ.), **დამპალე** – ხევი, ს. ნაკადული (ჩოხატაურის რ.), **ქებულე** – ფერდობი, ს. განთიადი (ჩოხატაურის რ.); **ჩთიღე//შგიღე** – ფერდობი, ს. სამება (ჩოხატაურის რ.).

ამ მაგალითების ანალიზისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას, რომ ჩამოთვლილი სიტყვები გურულში ვერ ქმნიან მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილებს, კერძოდ, **ნაისლარი ფერდობი** (პარალელურად ამისა გურულში არ გვხვდება ჩვენ არსად ნაისლარე ფერდობი), **ნაციხვარი მთა** (და არა ნაციხვარე მთა), **ნაჯოგვარი ფერდობი** (და არა ნაჯოგვარე ფერდობი), **ნაპურალი ფართობი** (და არა ნაპურალე ფართობი), **ნაშენები უბანი** (და არა ნაშენებე უბანი), **გაფხეკილი სათესი** (და არა გაფხეკილე სათესი), **ლეღვნარი ტყე** (და არა ლეღვნარე ტყე), **დამპალი ვაშლი** (და არა დამპალე ვაშლი), **ქებული კაცი** (და არა ქებულე კაცი), **შგილო ადგილი** (და არა შგილე ადგილი).

ეს აღწერილი ფაქტი კი იმის საბუთად გამოგვადგება, რომ -ე დაბოლოებას ტოპონიმებში ნაისლარე, ნაციხვარე, ნაჯოგვარე, ნაპურალე, ნაშენებე, გაფხეკილე, ლეღვნარე, დამპალე, ქებულე, შტილე, მატოპონიმებელი ფუნქცია აქვს (დონეებს მიჯნავს). თანაც გურულში საზოგადო სახელის დონეზე გვაქვს ნაისლარი, ნაჯოგვარი, ლეღვნარი, დამპალი, შტილი..., ხოლო ნაისლარე, ნაჯოგვარე, ლეღვნარე, დამპალე, შტილე ტოპონიმიკუტი დონეა.

-ე სუფიქსი შეიძლება დაერთოს მსაზვრელ-საზღერულს როგორც პრეპოზიციული, ასევე პოსტპოზიციური წყობისას. ამის მაგალითები საკმაოდ მოგვეპოვება გურიის მიკროტოპონიმიაში: **შავფეხე** – საბანაო, ა. ქვემო ერკეთი (ჩოხატაურის რ.); **მწარმებალე** – ტყე, ს. ტობახჩა (ჩოხატაურის რ.), **ყანაშავე** – ფერდობი, ს. გოგოური (ჩოხატაურის რ.) **მუხამაღალე** – უსწორმასწორო ადგილი, ს. განახლება (ჩოხატაურის რ.), **ცხენიმზურგე** – ბორცვი, ს, მოთრე (ჩოხატაურის რ.).

ამ ტოპონიმების (სიტყვების) გვერდით გურულში გვაქვს მსაზღვრელ-საზღერულის წყვილები: შავი ფეხი, მწარე ბალი, შავი ყანა, მუხა მაღალი, ცხენის ზურგი.

აქედან გამომდინარე, მოდელი მსაზღვრელ-საზღვრული საზოგადო სახელის დონეა, ხოლო მოდელი – მსაზღვრელ-საზღერული – ე (შავფეხე, მწარებალე, ცხემიზურგე) საკუთარი სახელის (ტოპონიმიკურ დონეზე) გაიგება და ისიც მხოლოდ ზემო გურულისათვის.

რადგან -ე დაბოლოებაზე ესაუბრობთ, გვინდა დავუმატოთ, რომ ზემო გურულში გვხვდება ტოპონიმები: **გძელე** – ფერდობი, ს. შრომის-უბანი; ტყე, ს. ბეოლეთი; ქედი, ს. წიფნაყაარა (ყველა ჩოხატაურის რ.) **სკელე** – საყენე, ს. შრომის-უბანი

(ჩოხატაურის რ.), **უმადურე** – ფერდობი, საყანე ს. შუა ფარცხმა (ჩოხატაურის რ.).

ამ ტიპის მაგალითებში –ე საბღერულის კომპესაცია უნდა იყოს: გძელი ყანა > გძელყანე > გძელე.

დადგენილია (იხ. ს.ჟღენტი, ო. კახაძე) და ჩვენ არ შეუდგებით აქ იმის დასაბუთებას, თუ რა წარმომავლობისაა ჩვენ მიერ განხილული -ე. დავსძენთ მხოლოდ, რომ გემოგურულში (მიკროტოპონიმიაში) ამ **-ე** დაბოლოებამ დამოუკიდებელი ფუნქცია შეიძინა. შეინიშნება აგრეთვე ბრუნვათა ფორმების ჩამოყალიბების ცდაც. მაგ. გემოგურული ჩვეულებრივი საუბრისას იტყვის „კინჩხეს ბოლოზე ყანა მითესია და იქინე მივალ სამუშაოდ“ (კინჩხეს ნათ. ბრუნვის ფორმაა).

ამრიგად, გავაანალიზეთ რა **-ე**-ზე დაბოლოებული აღგილის სახელები, დავსძენთ, რომ **ე**, როგორც **-ა** სუფიქსი, გურულში აწარმოებს მიკროტოპონიმებს (არ იხმარება ოიკონიმებთან) და აქვს მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქცია. იგი იხმარება როგორც მარტივი (შუბლე, კინჩხე, უნაგირე), ასევე ნაწარმოებ ფუძეებთან (ნაციხვარე, ლელვნარე, გაფხეკილე), კომპოზიტებთან (შავფუხე, მწარებალე, ცხენიბურგე). ამასთან ავე შევნიშნავთ, რომ შეზღუდულია **-ე** სუფქისის მოქმედების გეოგრაფიაც. იგი ზემოაღნიშნული ფუნქციით იხმარება მხოლოდ გემოგურულში.

თავი III

ტოპონიმთა ზმნისართული წარმოება

ზმნისართი, ანუ **ზმნიზედა**, გამოხატავს „მოქმედებას დროსა და ადგილს, ვითარებასა და ოდენობას, მიზეზსა და მიზანს“[1]. მაგრამ ზოგ შემთხვევაში მას აქვს თანდებულის ან ბედსართავი სახელის ფუნქცია.

ქართულში ზმნისართი გაცილებით აქტიურად მონაწილეობს ტოპონიმთა წარმოქმნაში, ვინემ თანდებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება მორფემოიდებს: გადაღმა, გადმოღმა, გაღმა-გამოღმა, ზედა-ქვედა, ზემო-ქვემო, წინა-უკანა – შუა, წიაღ. ისინი გამოიყენებიან: ა) ერთნაირი სახელწოდების მქონე ობიექტების ერთმანეთისაგან გამოსარჩევად; ბ) ამა თუ იმ სახელწოდების მატარებელი გეოგრაფიული ობიექტის ნაწილების აღსანიშნავად; გ) ამა თუ იმ ობიექტთან სხვა ობიექტის სივრცითი მიმართულების გამოსახატავად აქ არ შევეხებით ბედსართავი სახელების – ზემო-ქვემო, ზედა-ქვედა, ზენ(ა), ქვე[ნა], გაღმა, გამოღმა, წინა-უკანა – შუა მონაწილეობით სახელთა წარმოქმნის საკითხს. ეს სიტყვები ამ ფუნქციით დაერთვიან სახ. ბრუნვის ფორმას და უკავიათ ადგილი საზღვრულის წინ.

სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელთან ერთად ქმნიან კომპოზიტურ ტოპონიმებს თანდებულ მორფემოიდები: **დაბლა**: დაბლაეაკე, დაბლანიგვზები, დაბლაჯვარი, დაბლასიპა.

მაღლა: მაღლა გოგიეთი, მაღლაეზო, მაღლა ვაკე, მაღლაისლარი (შდრ. მაღალი ეწერი, მაღალი ნაქალაქები, მაღალი წიფელა...).

---

[1] ა. კიზირია, ქართული ენა, თბ., 1974, გვ. 126.

„დაბლა“ და „მაღლა“ ზმნისართებია, ხოლო „დაბალი“ და „მაღალი“ ზედსართავები. სხვა შემთხვევაში ასეთი ფორმალური განსხვავება არა გვაქვს და დაბეჯითებით ძნელია თქმა, ზმნისართთან გვაქეს საქმე თუ ზედსართავთან. ქვემოთ დამოწმებული მაგალითებში ალბათ უპირატესად ზედსართავი სახელები გვაქვს კომპოზიტური ტოპონიმის პირველ კომპონენტად: **უკანგვერდი** (← უკანა გვერდი), უკანღობირო, უკანღელა, წინაცხვირი, წიტყემალი (← წინა ტყემალი?), ზედობანა (← ზედა უბანი), ზენა ქურაი, გაღმა გორი, გაღმა ყანა. გამოღმა დობირო, გამოღმა სკურღე... გაღმაგორი, გაღმა ველი, გაღმა ყანა,.. შვატყე, შვაქედა შუა განახლება, შუაბურგა, შუბანი ქვენობანი (← ქვენა უბანი), ქვეშეკლდე, წიაღობანი.

ზემოთ დასახლებული ზმნისართ-ზედსართავები და ზოგი სხვა სიტყვები აშკარად მორფემოიდებია. დაერთვიან მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. დავასახელებთ ამგვარ ტოპონიმებს: გზასზედე, გზას ქვედე, გზასქვედაი, ქვაბშკვე, ქვეშაკანა, შავქვედე//შაქვედე, გორზედაი, ღელეს გაღმა, ყანისბოლო, ყანისთავე, ციხისძირე, წყალთაშუე...

ზოგი ზმნისართი ტოპონიმად ქცეულა დამოყკიდებლად, სხვა სიტყვასთან კავშირის გარეშე. ზოგ შემთხვევაში მათ დაერთვის **-ვა, -ვე, -ბე, -ლა**. აი, ეს ტოპონიმები: **გაღმე** – საძოვარი, ს. შუბანი, **გადაღმე** – ტყე, სოფ. ნაკადული, **წიახი//წიაღი** (გაღმა, იმ მხარეს, ძვ. ქართ.) – ტყე ს. ჭაჭიეთი, **უკანავა** – სოფ. ოზურგეთის რაიონში, **უკანავე//უკანავა** – სახნავი, სოფ. დაბლაციხე, **უკანობე//უკანოვე-ფერდობი**, ს. ხევი, **ქვენალა** – სახნავი, სოფ. ბაილეთი.

როგორც ფ. მაკალთია აღნიშნავს, „ტოპონიმებად გამოყენებული თანდებულიანი და ზმნიზედიანი სახელები წარმოადგე-

ნენ საბღვრულ დაკარგულ მსაბღვრელ სახელებს"[1]. ეს მოსაზრება დასტურდება სოფ. ჩაკოტურში ფიქსირებული ასეთი ტოპონიმით, როგორიცაა „კტის ქვეშ ტპა" (საბანაო მდინარეზე). მაშასადამე, გზასზედუ, ქვებშკვე, ქვაუკანა და მისთანა გეოგრაფიული სახელები საბღვრულდაკარგული მსაზღვრელებია, ხოლო უკანავა, უკანოვე და მისთანანი გასუბსტანტივებულ-გატოპონიმებული ზმნისართები.

ძირითადი დასკვნები:

1.. გურიაში ვეხვდება ტოპონიმის სამი ძირითადი სტრუქტურული ტიპი: მარტივი, უაფიქსო (რაც იშვიათია), წარმოქმნილი (როგორც სახელური, ზმნური ფუძეთაგან) და რთული (თხზული, მათ შორის პრედიკატული). წარმოქმნა ხდება პრეფიქსით (პრეფიქს-სუფიქსი ან სუფიქსით. პრეფიქსთა რაოდენობა მცირეა: დანიშნულებას გამოხატავენ კოლხური ო- და მისი ქართული ეკვივალენტი სა-, ხოლო წინა ვითარებას ნა-.

ო- თავკიდურიან გურულ ტოპონიმთა ერთი ნაწილი კოლხური ტოპონიმიკური სუბსტრატია (შექმნილია კოლხთა მიერ, ქართიზაციამდე), მეორე ნაწილი ჰიბრიდულია – კოლხურ-ქართულია (წარმოქმნილია კოლხთა ქართიზაციის პროცესში, როგორც მაგალითად, ოზურგეთი, ოყინეთი, ონჭიკეთი), ხოლო მესამე ნაწილი საკუთრივ გურული დიალექტის წიაღშია წარმოშობილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თავკიდური ო- ფუძისეულია, ხოლო ეს ფუძე შეიძლება იყოს როგორც კოლხური ლექსიკური (და არა ტოპონიმიკური) სუბსტრატი, ისე სალიტერატურო ქართულისა თუ სხვა დიალექტის შენატანი გურულში (ომანო, ორმე, ოთონთო). სავარაუდოა, რომ ქართიზაციის

[1] ფ. მაკალათია, არაგვის ფშავის ტოპონიმიკა, გვ. 66.

შემდეგაც გურიაში აღგილის სახელთა წარმოსაქმნელად კარგა ხანს გამოიყენებოდა კოლხური ო-, რაც შემდეგ თანდათანობით შეცვალა ქართულმა სა- პრეფიქსმა (შდრ. ო-ჩიჩქინ-ე, სა-ჩიჩქინ-ე...)

სა- და **ნა-** პრეფიქსები უპირატესად სხვადასხვა სუფიქსის თანხლებით წარმოქმნიან სახლებს, რომლებიც შემდეგ სათანადო ობიექტების საკუთარ სახელებად იქცევიან. სპეციალური ტოპოპრეფიქსი გურულში არა გვაქვს.

2. გურიის ტოპონიმიაში გამოყენილი სუფიქსები **-ურ//-ულ, ნარ//-ნალ; -ოვან, -ოსან, -იან, -ებ, -ნ-ებ, -ნ, -თ-ათ, -ეთ, -ით, -ოთ, -უთ), -თა, -ენთ, ა//-აი, -ე** (და მათი ფონეტიკური ვარიანტები) მეტნაკლებ პროდუქტიულობას ამჟღავნებენ. სპეციფიკური ტოპონიმიკური დანიშნულება აქვს მხოლოდ ბოლო ორს (ე.წ. ტოპოფორმანტები), რომელთაც განუვითარდათ მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქცია.

3. გურულ დიალექტში ტოპონიმად ან ტოპონიმის შემადგენლობაში ჩვეულებრივია არსებითი, ზედასრთავი, რიცხვითი სახელები, სახელმძნები (როგორც წესი, ვნებითი გვარის მიმღეობანი), ხოლო ფორმაუცველელი მეტყველების ნაწილები, როგორიცაა – თანდებულები ან თანდებულის ფუნქციით გამოყენებული მნისართები, იშვიათია.

გურული დიალექტი ტოპონიმიკური სისტემა ქართულ და ქართველურ ტოპონიმიკურ სისტემას შეესაბამება; ერთგვარ თავისებურებას ქმნის ლოკალური ლექსიკური ერთეულები და ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოელენები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალავიძე მ., ლეჩხუმური ტოპონიმიკური სასელწოდებანი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958 წ.
2. ასათიანი ლ., ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978 წ.
3. აფრიდონიძე შ., მაკალათია ფ., ქართული ოიკონიმები, ტოპონიმიკა II, თბ., 1980 წ.
4. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941 წ.
5. ბაგონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ., 1973 წ.
6. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, სანკტბეპერბურგი, 1878 წ. (ქართულად თარგმნა და გამოსცა ა. ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987 წ.).
7. ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980 წ.
8. ბერიძე მ., ტერმინი „ტბა“ მესხეთის ტოპონიმიაში, ტოპონიმიკური კრებული, თბ., 1973 წ.
9. ბერიძე მ., ჯავახეთი, თბ., 1992 წ.
10. ბერძენიშვილი ნ., ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, მიმოხილველი, II, თბ., 1950 წ.
11. ბერძენიშვილი ნ., სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, მასალები საქართველოსა და კაუკასიის ისტორიისათვის, თბ., 1937 წ.
12. გაბეჩავა რ., ქართული სიტყვათწარმოება და მისი სწავლება სკოლაში, თბ., 1971 წ.
13. გეგეშიძე მ., ჰიდრონიმული წარმოშობის ქართული ტოპონიმები, ორომასტიკა I, თბ., 1987 წ.
14. გვარამაძე კ., „გურია“, ჟურნ. მოგზაური №1, 1901 წ.

15. დარჩია ბ., სოფელ სილაურის ტოპონიმია, მაცნე, ენისა და ლით. სერია № 3, 1991 წ.
16. დონდუა ე., „ლიპარიტეთის“ და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თსუ შრომებში, ტ. XXXIII 1948 წ.
17. ზურაბიშვილი თ., ნა--ევ და ნა- აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ნ.I, 1971 წ.
18. ზურაბიშვილი თ., ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ.II, თბ., 1961 წ.
19. თოფურია ვ., ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, II -ედ, -ურ, რ უფიქსებისათვის, „ენიმკის“ მოამბე, V-VI, თბ., 1940 წ.
20. თოფურია ე., გეოგრაფიულ სახელთა თა სუფიქსისათვის ქართულში, ჩვენი მეცნიერება, № 11-12, 1923 წ.
21. ითონიშვილი ე., ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971 წ.
22. იოსელიანი ა., ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973 წ.
23. კახაძე ო., -ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში, იკე, V, თბ., 1953 წ.
24. კიზირია ა., ქართული ენა, თბ., 1974 წ.
25. კილანავა ბ., „დიხა გუძუბას“ გაგებისათვის, ტოპონიმიკა I, თბ., 1976 წ.
26. კობალაძე მ., გურულის ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VIII, 1958 წ.
27. ლეჟავა ლ., შენიშვნები ზემო სვანების მეტყველებაზე, იკე, ტ. XIV, 1964 წ.
28. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941 წ.

29. მაკალათია ფ., არაგვის ხეობის ფშაეის ტოპონიმიკა, კრებული ტოპონიმიკა I, თბ., 1976 წ.
30. მაკალათია ფ., -ა სუფქსის მასუბსტანტიეებელ-მატოპონიმებელი ფუნქციისათეის ქართულში, ონომასტიკა I, თბ., 1987 წ.
31. მაკალათია ფ., მრავლობითობის „ებ, -ნ სუფიქსთა ტოპონიმიკური ფუნქციისათვის, საქართველოს მეცნ. აკადემია, მაცნე, თბ., 1975 წ.
32. მაკალათია ფ., ტოპონიმთა აეებულებისა და მართლწერის ზოეი საკითხი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, 1974 წ.
33. მანჯგალაძე ა., -ა ხმოვანზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ფუძის გაგებისათეის ქართულში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1965 წ.
34. მაღრაძე ვ., რეგიონული ტოპონიმიის წარმოების საკითხები (კასპის რაიონის მასალაზე), რნომასტიკა I, თბ., 1987 წ.
35. მაღრაძე ე., პიდრომიმები კასპის რაიონში, ონომასტიკური კრებული, თბ., 1994 წ.
36. მაღრაძე ე. ქართველური პიდრონიმები, თბ., 2004 წ.
37. მელიქიძე ს., „ღელე" და „სვანი" ბორკომის ხეობის ტოპონიმიაში. ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლგთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980 წ.
38. ბიჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989 წ.
39. მოლოდინი ღ., ღებვის ხალხური წესები გურიაში, კრებული „გურია", თბ., 1980 წ.
40. მოსაშვილი ი., მეცხოველეობა, თბ., ბათუმი, 1975 წ.
41. ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975 წ.
42. ოსიძე ე., მიმღეობა ქართულში, თსუ შრომები, 1967 წ.

43. პაპიძე ა., -ა სუფიქსის სიტყვათწარმოებითი ფუნქციები, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1974 წ. № 1
44. ელენტი ს., გურული კილო, თბ., 1936 წ.
45. როგავა გ., ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის (ოჩამჩირე, ტყაურუ) შედგენილობისათვის, თსუ შრომები, 93, 1960 წ.
46. სანიკიძე თ., სიტყვათწარმოება აკაკი წერეთლის თხზულებებში (საკანდიდატო დისერტაცია მანქანაზე ნაბეჭდი) თბ., 1972 წ.
47. სარჯველაძე ზ., ზანიზმები გურულში, გორის პედინსტიტუტის შრომები, X, 1965 წ.
48. სახლთხუციშვილი უ., ტოპონიმ „პატარძეულის" ისტორიაეტილოლოგიისათვის. ტოპონიმიკური კრებული, თბ., 1993 წ.
49. ტუსკია მ., სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში (საკანდიდატო დისერტაცია, მანქანაზე ნაბეჭდია), თბ., 1975 წ.
50. უთურგაიძე თ., ქართული ენის მთის კილოკავთა ზოგიერთი თავისებურება, თბ., 1966 წ.
51. ფოჩხუა ბ., თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში, თსუ შრომები, X, 1939 წ.
52. ქავთარაძე ი., ეგნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები, მნათობი, №6,7,8, 1959 წ.
53. ქამადაძე მ., ზემო აჭარის ტოპონიმია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992 წ.
54. ქერქაძე ირ., ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974 წ.
55. ღლონტი ალ., ტოპონიმიკური ძიებანი, I-VIII, თბ., 1971-93 წწ.
56. ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967 წ.
57. ღლონტი ალ., პიდრონიმთა ძირითადი სტრუქტურულ სემანტიკური ჯგუფებისათვის, ა. შანიძის დაბ. 80 წლისათვისადმი მიძღვნილი კრებული „ორიონი", თბ., 1967 წ.

58. შანიძე ა., ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიული სახელებში, თსზულებანი, ტ. II, თბ., 1981 წ.
59. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973 წ.
60. შანიძე მზ., გეოგრაფიულ და წარმომაელობის სახელთა გაღმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956 წ.
61. ჩიქობავა არნ., ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974 წ.
62. ჩიქობავა არნ., -ონ ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952 წ.
63. ჩიქობავა არნ., -ონ სუფიქსი მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, თფილისი, 1026 წ.
64. ჩიქობავა არნ, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942 წ.
65. ჩიქობავა არნ. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938 წ.
66. ჩიქოვანი მ., ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, პუშკინის სახ. პედ. შრომები, VII, 1949 წ.
67. ჩხარტიშვილი ქ., გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985 წ.
68. ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991 წ.
69. ცინცაძე ი., ბახმარო, თბ., 1982 წ.
70. ცხადია პ., კოლხურ ზოონიმთა მოტივაციის საკითხისათვის, ონომასტიკა I, თბ., 1987 წ.
71. ცხადია პ., მეგრული ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია და მისი როლი ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმთა წარმოქმნაში, ტოპონიმიკური კრებული, თბ., 1993 წ.

72. ცხადია პ., მემინდვრეობის ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში, ენათმეცნიერება I (ეძღვნება ა. შანიძის დაბ. 100 წლისთავს), თბ., 1986 წ. (თეზისები)
73. ცხადაია პ., მეტონიმია და მისი როლი ჰიდრონიმთა წარმოქმნაში, ონომასტიკური კრებული, თბ., 1994 წ.
74. ცხადაია პ., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985 წ.
75. ძიძიგური ლ., ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ., 1994 წ.
76. ძიძიგური შ., ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და მანურში, იკე, ტ.I, თბ., 1946 წ.
77. ძიძიშვილი მ., გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში, იკე, ტ. IX-X, 1958 წ.
78. ძნელაძე რ., -ა, -იან, -ოვან სუფიქსთა ფუნქციისა და განაწილებისათვის გურიის ტოპონიმიაში, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, № 1, 1981 წ.
79. ძნელაძე რ., -ა და -ე სუფიქსების მატოპონიმებელი ფუნქციისათვის გურულში, ტოპონიმიკური კრებული, თბ., 1993 წ.
80. ძნელაძე რ., ნამოჩვარის ეტიმოლოგიისათვის, ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოგთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980 წ.
81. ძნელაძე რ., ოროგრაფიული ტერმინოლოგია გურიის ტოპონიმიაში, ონომასტიკური კრებული, თბ., 1994 წ.
82. ძნელაძე, რ., როპონიმიკური წარმოების ზოგიერთი საკითხი, რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები, თბ., 1983 წ.
83. წულაძე ა., ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971 წ.
84. ჭინჭარაული ალ., ეტიმოლოგიური ეტიუდები (ეული), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984 წ.

85. ჭუმბურიძე ზ., ჩხარტიშვილი ქ., გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, თბ., 1993 წ.
86. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბ., 1987 წ.
87. სახუტაიშვილი ნ., ჩოლოქ-ოჩხამურის ორდინარეთი ადრე რკინის ხანაში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის სერია, I, 1986 წ.
88. ხორნაული გ., მთები და სახელები, თბ., 1983 წ.
89. ხორნაული გ., სართიანი ტოპონიმები, ონომასტიკური კრებული, თბ., 1994 წ.
90. ხოშტარია ნ., დიხა გუძუბა – კოლხეთის დაბლობის უძველესი მოსახლეობა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, თბ., 1944 წ.
91. ხუბუტია პ., თუშური კილო, თბ., 1969 წ.
92. ჯავახიშვილი ივ., ქართული ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960 წ.
93. ჯალაბაძე გ., ძველი და ახალი სამეურნეო კულტურები გურიაში, კრებული, „გურია“, თბ., 1980 წ.
94. ჯალაბაძე გ., ხელოსნობის ზოგიერთი დარგი და მეთევზეობა გურიაში, კრებული „გურია“, თბ., 1980 წ.
95. ჯანაშია ს., მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, III, თბ., 1959 წ.
96. ჯაჯანიძე პ., წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1976 წ.
97. ჯორბენაძე ბ., დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში, ტოპონიმიკა I, თბ., 1976 წ.
98. ჯორბენაძე ბ., ონომასტიკური გულანი, თბ., 1993 წ.
99. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989 წ.
100. Агеева. Р.А., Гидронимия Русского Северо-Запада как источник культурно-исторической информации, Москва, 1989 г.
101. Агеева Р.А., Происхождение имен рек и озер, Москва, 1985 г.

102. Беленьская В.Д., Очерки англоязычной топонимики, Москва, 1977 г.
103. Бондарчук Г.П., Ландшафтная микротопонимия центральных областей РСФСР "Теория и практика топонимических исследований", Москва, 1975 г.
104. Воробъева И.А., Орографические термины Западной Сибири и их роль в формировании руской оронимики, Вопросы ономастики №7, Свердловск, 1974 г., стр. 35.
105. Горбаневский М.В., В мире имен и названий, Москва, 1983 г.
106. Камалов А.К., Гидронимия Башкири, Уфа, 1969 г.
107. Карпенко Ю.А. Топонимы и географические термины. "Местные географические тнрмины", Москва, 1970 г.
108. Катонова Е.М., Гидронимия бассейна Западной Двины на территории Белоруссии, Минск, 1975 г.
109. Кипшидзе И., Граматика мингрельского языка, Ленинград, 1914 г.
110. Курилович Е., Очерки по лингвистике, Москва, 1962 г.
111. Лордкипанидзе Г., К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970 г.
112. Марр Н.Я., Из пиринейской Гурии, С. Петербург, 1927 г.
113. Мегрелидзе И.В., Лазский и мегрельский слой в гурийском Горного Алтая, Саратов, 1982 г.
114. Молчанова О.Т., Структурные типы тярских топонимов Горного Алтая, Саратов, 1982 г.
115. Мурзаев Э.М., География в названиях, Москва, 1982 г.
116. Муразаев Э.М., Местные географические термины и их роль в топонимии. Местные географические термины в топонимии, Тезисы докладов и сообщений, Москва, 1966 г.
117. Мурзаев Э.М., Очерки топонимики, Москва, 1974 г.
118. Никонов В.А., Введение в топонимику, Москва, 1965 г.

119. Никонова В.А., Заметки по оронимии Киргизии, Ономастика Средной Азии, Москва, 1978 г., стр. 86.
120. Подольская Н.В., Типовые восточнославянские топоосновы, Москва, 1983 г.
121. Попова В.Н., Гидронимия Павлодарской области (лингвистический анализ), Томск, 1966 г.
122. Рубцова Э.В., Географические термины Подонья в их отношении к донской топонимии, "Топонимика", выпуск №2, Москва, 1967 г.
123. Смелицкая Г.П., Гидронимия бассейна Оки в ее отношении к истории словарного состава русского языка, Москва, 1981 г.
124. Суперанская А.В., Что такое топонимика?, Москва, 1985 г.
125. Таскаева Л.А., Телмографическая терминология в русских говорах Среднего Урала. Русская ономастика и ее взаимодействие с апелятивной лексикой, Свердловск, 1976 г.
126. Теория и методика ономастических исследований, Москва, 1986 г.
127. Топонимия Урала и севера Европейской части СССР, Свердловск, 1985 г., стр. 84-87.
128. Черепанова Е.А., Местная географическая терминология Сеаера-Восточного Полесия Украины. "Вопросы топонимики СССР", Москва, 1972 г.
129. Эйхлер Э., Проблемы исследования ономастического ареала, пераспективы развития славянской ономастики, Москва, 1980 г.

გამოყენებული ლექსიკონები და მასალები

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973 წ.
2. ბაქრაძე ი., აფრიდონიძე წმ., ჯოჯუა ვ., ზემო იმერეთის ტოპონიმია, საქართველოს სსრ ტოპონიმია I, თბ., 1987 წ.
3. ელიავა გ., აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977 წ.
4. ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989წ.
5. მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961 წ.
6. ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978 წ.
7. ორბელიანი სულხან-საბა, თხზულებანი, ტ. IV, -1965, ტ. IV_2 - 1966 წ. (ქართული ლექსიკონი).
8. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987 წ.
9. სიხარულიძე ი., მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971 წ.
10. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ. I, ბათუმი, 1958 წ., წ.II, ბათ მი, 1959 წ.
11. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990 წ.
12. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961 წ.
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII ტ.
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-11 ტ.
15. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984 წ.
16. შამელაშვილი რ., ენათმეცნიერებულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1975 წ.
17. ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსულ-ფრანცუზული ლექსიკონი, სანკტ-პეტერბურგი, 1040 წ.

18. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 წ.
19. ცხადაია პ., ზემო სამგრელოს პიდრონიმია (ხელნაწერი) – ინახება ტოპონიმიკის ლაბორატორიაში.
20. ცხადაია პ., ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988 წ.
21. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989 წ.
22. ბ: ჯორბენაძე, კობაიძე, მ., ბერიძე, მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988 წ.
23. Подольская Н.В. - Словарь русской ономастической терминологии, Москва, 1978 г.

შემოკლებითი განმარტება

აღმ. – აღმოსავლეთი
ა.შ. – ასე შემდეგ
აჭარ. აჭარული
ბოტანიკური ლექსიკონი – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961 წ.
გე. – გეორდი
გურ. – გურული
დას. – დასავლეთი
ე.ი. – ესე იგი
გან. – განური
თბ., – თბილისი
იმერ. – იმერული
იხ. – იხილე
კუთხ. – კუთხური
მაგ. – მაგალითად
მეგრ. – მეგრული
მორფემების ლექსიკონი – ბ. ჯორბენაძე, მ. კობახიძე, მ. ბერიძე – ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988 წ.
რ. – რაიონი
რაჭ. – რაჭული
საბა – სულხან-საბა ორბელიანი
„სიტყვის კონა“ – ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა
სოფ. (ს.) – სოფელი
ტ. – ტომი
ტოპ. – ტოპონიმი

ქიგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI თბ., 19

შღრ. – შეადარე

წ. – წელი

წიგ. – წიგნი

ჭან. – ჭანური

გურიის ადმინისტრაციული დაყოფა

ლანჩხუთის რაიონი

თემის დასახელება	თემის ცენტრი	თემისადმი დაქვემდებარებული სოფლები
1	2	3
საქალაქო		
ლანჩხუთის	ლანჩხუთი	ლამისღელე
სასოფლო		
აკეთის	გაგური	ზემო აკეთი ქვემო აკეთი ჭანჭათი
აცანის	აჯანა	ტყლჩანი
გვიმრალაურის	გვიმრალაური	ჯუნეწერი
ლესა-ჭინათის	ლესა	ჭინათი
მამათის	მამათი	კონჭკათი ქვედა მამათი შათირი
მაჩხეარეთის	მაჩხეარეთი	ორაკევე ჯუნმერე
ნიგვზიანის	ნიგვზიანი	არჩეული ჩანჩეთი ხაჯალია
ნიგოითითი	ნიგოითი	ჩოლაბარგი ჭყონაგორა ქვიანი ჯაპანა ჯიხეთის მონასტერი

1	2	3
ნინოშვილის	ნინოშვილი	ყველა
სუფსის	სუფსა	ახალსოფელი გრიგოლეთი მათაყვა ტაბახათი ჩქუნი ხიღმაღალა
ღრმაღელის	ღრმაღელე	ომფარეთი ორმეთი წყალწმინდა
შუხუთის	ქვემო შუხუთი	ზემო შუხუთი
ჩიბათის	ქვემო ჩიბათი	ზემო ჩიბათი ჭალა
ჩოჩხათის	ჩოჩხათი	გულიანი კოკათი მოედანი შროისუბანი ხორეთი ჯისანჯირი
ჯურუყვეთის	ჯურუყვეთი	ეწერი ბაღლეფი

ოზურგეთის რაიონი		
1	2	3
საქალაქო		
ოზურგეთის	ოზურგეთი	
სადაბო		
ლაითურის	ლაითური	
ურეკის	ურეკი	
ქვედა ნასაკი-რალის	ქვედა ნასაკირალი	
სასოფლო		
ასკანის	ასკანა	ღაბალი ქ̌ერი მწიანი
ბაილეთის	ბაილეთი	ახალსოფელი ჭანიეთური
ბახვის	ზედა ბახვი	მშვიდობაური ოქროსქედი ქვედა ბახვი
ბოხეაურის	ბოხეაური	ჭალა
გურიანთის	ბურიანთა	ციხისფერდი
დვაბზუს	დვაბზუ	გაღმა დვაბზუ
ეაკიჯვარის	ეაკიჯვარი	ფამფალეთი
თხინეალის	თხინეალი	–
კოსჭკათის	კონჭკათი	განთიადი
ლიხაურის	ლიხაური	აჭი კეაჭალათი ნიაბაური
მაკვანეთის	ქვემო მაკვანეთი	გოგოეთი ზემო მაკვანეთი
ოზურგეთის	ოზურგეთი	
მელექედურის	მელექედური	
მერიის	მერია	ნაღობილეები ჭახვათა ხვარბეთი

1	2	3
მთისპირის	მთისპირი	ვანისქედი ოქროსქედი უკანავა
ნაგომრის	მაგომარი	მაღალი ეწერი ქანაურა შუა ისნარი
ნატანების	ქვემო ნატანები	ზემო ნატანები შეკვეთილი
შემოქმედის	შემოქმედი	გომი გონებისკარი კვირიკეთი წითელმთა
სილაურის	სილაური	–
შრომის	შრომა	ვაკე ზედუბანი მოცვნარი ორმეთი ხრიალეთი
ცხემლისხიდის	ცხემლისხიდი	ბაღდაღი ზედა უჩხუბი
ძიმითის	ზედა ძიმითი	ნასაკირალი ქვედა ძიმითი
ჭანიეთის	ჭანიეთი	ვაშტიალი ქაქუთი
ჯუმათის	ჯუმათი	ბოგილი იანეთი ძირიჯუმათი

ჩოხატაურის რაიონი		
1	2	3
სადაბო		
ჩოხატაურის	ჩოხატაური	გუთური
სასოფლო		
ბუკისციხის	ბუკისციხე	იანეული
განახლების	განახლება	სამება
დაბალცისის	დაბალცისე	საყვავისტყე
დიდი ვანის	გურისტყე	გამოღმა დობირო გაღმა დობირო
ერკეთის ,,ზემო ერეკეთი	ზემო ონჭიკეთი ქვემო ერკეთი ქვემო ონჭიკეთი შუბანი	
ზემო სურების	ზემო სურები	თაესურები ტობახჩა მეელაურ- ცაციბაური ჩაკიტაური წითელგორა ჭალა-ქადაგაური
ზემო ხეთის	განთიადი	გოგოური თხილვანი
ზომლეთის	ზომლეთი	ვანი
ზოტის	ზოტი	–
კოხნარის	კოხნარი	ბურნათი ნაკაღული წიფნარი
ნაბეღლავის	ნაბეღლავი	თაეპანტა ქვაბღა ჩხაკურა

საჭამიასერის	ქვემო ხეთი	კალაგონი მამულარი ჩომეთი
ფარცხმის	ზემო ფარცხმა	შუა ფარცხმა
ქვენობნის	ქვემობანი	ბასილეთი ბუკნარი
შუა განასლების	შუა განახლება	გოგოლესუბანი
შუა სურების	შუა სურები	–
ჩაისუბნის	ჩაისუბანი	გორაბერეჟოული ვაზიანი ინტაბუეთი
ხევის	ხევი	ბეოლიეთი ბუქსიეთი
ხიდისთავის	ხიდისთავი	ახალშენი ზენობანი მეწიეთი წიფნაგერა ჭაჭიეთი

შინაარსი

შესავალი 3

თავი I ტოპონიმების პრეფიქსული და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება 5

§1. ო-პრეფიქსი და განური სუბსტრატის საკითხი 5

§2. ნა- პრეფიქსი (მასთან ხმარებული სუფიქსებითურთ) გურიის ტოპონიმიაში 17

§3. სა- პრეფიქსი (მასთან ხმარებული სუფიქსებითურთ) გურიის ტოპონიმიაში 26

თავი II. ტოპონიმების სუფიქსური წარმოება 36

§1. -ურ 36

§2. -ნარ 48

§3. -ოვან 50

§4. -ოსან 52

§5. -იან 53

§6. -ებ 55

§7. -ნ-ებ 58

§8. -ნ 59

§9. -თ 59

§10. -თა, -ენთ 67

§11. -ა, -ე 68

თავი III. ტოპონიმთა ზმნისართული წარმოება 78

ძირითადი დასკვნები 80

გამოყენებული ლიტერატურის სია 82

გამოყენებული ლექსიკონები და მასალები 91

შემოკლებათა განმარტება 93

გურიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 95